ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი

№2, დეკემბერი

Journal of Young Researchers

No. 2, December

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

2015

ISSN: 2346-7754

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. გიორგი ლეკვეიშვილი. საქართველოს მცირე ქალაქებისა და სასოფლო დასახლებების საცხოვრებელი სექტორის (შინამეურნეობების) ენერგომოხმარების სტრუქტურის სივრცობრივიანალიზი ……2

2. სალომე ნამიჭეიშვილი. ოჯახების გაძლიერების პრევენციული როლი ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკაში……26

3. ზურაბ ტატანაშვილი, ლელა სერებრიაკოვა. ზიანის შემცირების მომსახურების მიმწოდებლების კვლევა საქართველოში ……47

4. თამარ ქარაია. საბჭოთა წარსულის გააზრება საქართველოში „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ……67

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №2, დეკემბერი, 2015

Journal of Young Researchers, No. 2, December, 2015

საქართველოს მცირე ქალაქებისა და სასოფლო დასახლებების საცხოვრებელი სექტორის (შინამეურნეობების) ენერგომოხმარების სტრუქტურის სივრცობრივიანალიზი

გიორგი ლეკვეიშვილი *

დოქტორანტი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

საქართველო სუსტი ეკონომიკის მქონე განვითარებადი ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის შემოსავლები საკმაოდ დაბალია და სოფლად, ხშირად ნატურალურ მეურნეობაზეა დამოკიდებული.

შედარებით ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში, საქართველოში, მცირე საქალაქო და სასოფლო დასახლებების ინტერესების პრიორიტეტის დონე საკმაოდ დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტებში,ქვეყნის მასშტაბით, ასობით პროექტი ხორციელდება, არც ერთ მათგანს არ შეუძლია რადიკალურად შეცვალოს არსებული სიტუაცია უკეთესობისკენ. იმ პრობლემათა შორის, რომლის წინაშეც მუნიციპალური ხელისუფლება დგას, ერთ-ერთი წამყვანია ენერგეტიკული სექტორის განვითარება.

საქართველოს პრაქტიკულად არ გააჩნია საკუთარი საწვავი წიაღისეული რესურსები-ის დამოკიდებულია იმპორტირეულ ბუნებრივ და თხევად საწვავზე. მოსახლეობისთვის ენერგიის შეძენა ხშირად პრობლემას წარმოადგენს, რაც იწვევს ენერგოსიღარიბეს[1]. ეს უკანასკნელი ზრდის რეალურ სიღარიბეს, რის გამოც, მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება.

შესაბამისად, მოსახლეობა ორიენტირებულია ადგილობრივი განახლებადი რესურსების (ძირითადად შეშა) გამოყენებაზე, რაც ქმნის რეალურ ეკოლოგიურ პრობლემებს (გაუტყეურება). ამასთან, ენერგია გამოიყენება ძალიან არაეფექტურად და დანაკარგები მაღალია ყველა სექტორში.

ნაშრომის მიზანია შინამეურნეობების ენერგომოხმარების შედარებითი ანალიზი ეფექტურობის თვალსაზრისით საქართველოს წყალშემკრებ აუზებში.

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს 4 წყალშემკრები აუზის (12 მუნიციპალიტეტის) ენერგოსექტორის კვლევის შედეგები.

საკვანძო სიტყვები: ენერგიის მოხმარება, შეშა, გათბობა, საქართველო

---

* *ელფოსტა: gigalekve@gmail.com*

[1] ენერგოსიღარიბე - თანამედროვე ენერგეტიკული სერვისების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. ენერგეტიკულ სერვისებში იგულისხმება შინამეურნეობის ხელმისაწვდომობა ელექტროენერგიაზე და სამზარეულოს სუფთა მოწყობილობებზე (მაგ. საწვავი და გასათბობი ხელსაწყო, რომელიც არ იწვევს სახლში ჰაერის დაბინძურებას). წყარო: საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო http://www.iea.org/topics/energypoverty/

Abstract

Georgia is a developing country, with low population incomes and often subsistence rural economy.

Under the relatively centralized governance, interests of small urban and rural settlements are often neglected. This does not mean that local problems are totally ignored, but priority level is rather low. The energy sector development is one of the most important problems faced by local municipal authorities.

Georgia does not have its own fossil fuel resources and depends on an imported natural gas and liquid fuel. Purchasing energy often poses problem for the local population, which results in energy poverty. In turn, energy poverty causes a real poverty.

Population is oriented towards consumption of local renewable energy sources, such as firewood. This kind of attitude creates real environmental issues (deforestation). Energy is used in very inefficient way - there are high loses in every sector.

The overall objective of the work is comperative analysis of energy consumption efficiency in Georgian watersheds.

This paper presents the results of the survey, which was held in four watersheds (twelve municipalities) of Georgia.

Key words: household, energy consumption, firewood, heating, Georgia

1. შესავალი

2011-2013 წლებში, განხორციელებული, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის – „ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალშემკრებ აუზებში“ – ფარგლებში, საქართველოს ორი მდინარის, 4 წყალშემკრებ აუზში ჩატარდა ენერგოსექტორის კვლევა. კვლევა მოიცავდა შვიდ მუნიციპალიტეტს – ოთხს მდინარე რიონზე (ამბროლაური, ონი, სენაკი, ხობი) და სამს – მდინარე ალაზანზე (თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო).

პროექტის ენერგეტიკული სექტორის კვლევის მიზანი იყო ადგილობრივი ენერგოსექტორის გამოკვლევა (მუნიციპალურ დონეზე) - განსაზღვრა, თუ სად იკვეთებოდა ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობა ენერგოსექტორში, სად გადიოდა წყალგამყოფი ხაზი ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის; აგრეთვე, ადგილობრივი ენერგოსექტორის სტრუქტურისა და განვითარების მიმართულებების ანალიზი.

ენერგომოხმარების სტრუქტურის სივრცობრივი ანალიზის შესახებ თეორიული მასალა და ანალოგიური კვლევების ანგარიშები არ არსებობს, შესაბამისად წარმოდგენილი სტატია ეფუძნება მხოლოდ ჩემ მიერ ჩატარებულ, ემპირული კვლევის შედეგების ანალიზს.

კვლევის ფარგლებში მოხდა მუნიციპალიტეტების დონეზე, ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო სექტორისა და მოსახლეობის ენერგიის მოხმარების თავისებურებების დადგენა და შემდეგ, ამ ინფორმაციის საფუძველზე, კომპიუტერული პროგრამის შექმნა, რომელიც დაეხმარება მუნიციპალურ მთავრობას ეფექტური ენერგომენეჯმენტის განხორციელებაში.

კვლევამ აჩვენა, რომ ადგილობრივდონეზე არასაკმარისი ორგანიზაცია და რესურსებია - მუნიციპალურ ხელისუფლებას ნაკლებად, ან თითქმის არ შეუძლია ადგილობრივ ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე პროცესებზე გავლენის მოხდენა. ხშირად,მუნიციპალური ხელისუფლების წარმომადგენლებს მხოლოდ არაფორმალური ურთიერთობა აქვთ ადგილობრივი ენერგოსექტორის წარმომადგენლებთან. მაშინ, როდესაც მუნიციპალიტეტის ინტერესებში უნდა შედიოდეს ადგილობრივი ენერგოსექტორის ეფექტური მართვა და მოსახლეობის მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

პროექტში,ფორმატიდან გამომდინარე, კვლევის ობიექტად, თავიდანვე შერჩეული იყო მცირე მუნიციპალიტეტების საქალაქო და სასოფლო დასახლებები. კვლევას აწარმოებდა მდგრადი განვითარებისა და პოლიტიკის ცენტრი, ხოლო სტატიის ავტორი თავიდანვე იყო ჩართული კვლევის მიმდინარეობაში მისი განხორციელების ყველა ეტაპზე.

2. კვლევის მეთოდოლოგია

შინამეურნეობების ენერგომოხმარების სტრუქტურის სივრცობრივი კვლევისათვის გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ პირისპირ ინტერვიუ. შინამეურნეობები შეირჩა მიზნობრივად პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროექტის ჩარჩოდან გამომდინარე, საკვლევი ობიექტების რაოდენობა შეზღუდული იყო და არ მოიცავდა საქართველოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილს.

შესაბამისად, კვლევა გაგრძელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით და მოიცვა რეგიონები, რომელთაც ახასიათებთ შესწავლილი მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებული კლიმატური პირობები, ტყის საფარი, ადმინისტრაციული მოწყობის თავისებურება და ეთნიკური მრავალფეროვნება.

კვლევის ახალი ეტაპისთვის სპეციალურად შეირჩა ისეთი რეგიონები, რომლებიც გამოირჩევიან ეთნიკური მრავალფეროვნებით (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი), ან ადმინისტრაციული მოწყობის თავისებურებით (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა).

ახალი კვლევა მოიცავს კიდევ ოთხ წყალშემკრებ აუზს - ზემო მტკვრის, ქვემო მტკვრის, ზემო აჭარისწყლისა და ქვემო აჭარისწყლისას. მტკვრის წყალშემკრები აუზი, რომელიც ფარავს საქართველოს ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში მდებარე მუნიციპალიტეტებს, გამოირჩევა განსხვავებული კლიმატური პირობებით, ეთნიკური/კულტურული მრავალფეროვნებით - შესაბამისად, განსხვავებული ცხოვრების წესით. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, უნდა განაპირობებდეს განსხვავებას ენერგიის მოხმარებაში.

აჭარისწყლის წყალშემკრებ აუზშიმდებარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც ვრცელდება არსიანის ქედიდან, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში შავი ზღვის ნაპირამდე და მოიცავს როგორც მაღალმთიან, ისე ზღვისპირა მუნიციპალიტეტებს.

ცხრილი 1

შესწავლილი წყალშემკრები აუზები, მუნიციპალიტეტები, შინამეურნეობები

წყალშემკრები აუზი	მუნიციპალიტეტი	შინამეურნეობა
ზემო რიონი	ამბროლაური, ონი	25
ქვემო რიონი	სენაკი, ხობი	49
ზემო ალაზანი	თელავი, ახმეტა	50
ქვემო ალაზანი	დედოფლისწყარო	34
ზემო მტკვარი	წალკა	30
შუა მტკვარი	კასპი, ბორჯომი	40
ზემო აჭარისწყალი	შუახევი	20
ქვემო აჭარისწყალი	ხელვაჩაური	25
სულ		**273**



სურათი 1. სამიზნე მუნიციპალიტეტები შერჩეულ წყალშემკრებ აუზებში

სამუშაოს ფარგლებში, უკვე გამოკვლეულია, აჭარისწყალზე– ორი (ხელვაჩაური და შუახევი) და მტკვარზე სამი (წალკა, კასპი, ბორჯომი) მუნიციპალიტეტი. იგეგმება ზემო და ქვემო მტკვრის წყალშემკრებ აუზებში მდებარე კიდევ ორი მუნიციპალიტეტის (ნინოწმინდა, მარნეული) გამოკვლევა.

კვლევის პროცესში გადაჭრილი იყო შემდეგი ამოცანები:

- გამოვლინდა ადგილობრივი ენერგოსექტორის ის ნაწილები, რომელზეც მუნიციპალურ ხელისუფლებას შეუძლია რეალური გავლენის მოხდენა;
- ჩატარდა შერჩეულ სექტორებში ენერგიის მოხმარების ანალიზი, დადგინდა მოხმარების სტრუქტურა;
- დადგინდა ის ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს შერჩეულ სექტორებში ენერგიის მოხმარების ტიპზე, სტრუქტურასა და მოცულობაზე (გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-უთნიკური და ა.შ.).

კვლევის ახალი ეტაპის ჩასატარებლად, მტკვრისა და აჭარისწყლის წყალშემკრებ აუზებში, შემდეგი გეგმა შემუშავდა:

- შეირჩა სამიზნე მუნიციპალიტეტები მტკვრისა და აჭარისწყლის წყალშემკრებ აუზებში, კერძოდ, ხუთი მუნიციპალიტეტი შეირჩა მტკვრის აუზში, ხოლო ორი -აჭარისწყლის აუზში.
- შეგროვდა სტატისტიკური მონაცემები შერჩეულ მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის, ადგილობრივი ენერგოსექტორისა და მუნიციპალური მთავრობის კვლევისშედეგად.

მოცემული სტატია არ ფარავს პროექტის და მისი შემდგომი კვლევის მთლიან არეალს და შემოიფარგლება მხოლოდ შინამეურნეობების კვლევით.

შინამეურნეობების ენერგომოხმარებაზე აქცენტის გაკეთება განპირობებულია ჩატარებული კვლევის შედეგებით. როგორც აღმოჩნდა, ადგილობრივ დონეზე,მოსახლეობის ენერგომომარაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

თითოეულ მუნიციპალიტეტში ჩატარდა შინამეურნეობების შემთხვევითი გამოკითხვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონსულტაციების გავლის შემდეგ, შეირჩა საკვლევი ტიპური დასახლებები.

შინამეურნეობის კვლევისას ფოკუსი გაკეთებული იყო შენობაზე, რომელშიც ეს შინამეურნეობები არიან დასახლებული. დასახლებებში უბნების შერჩევა ხდებოდა ყველაზე რეპრეზენტატიული შენობების შესაბამისად.

დიდი წილი (უმეტეს შემთხვევაში 100%) ნებისმიერი შინამეურნეობის მიერ მოხმარებულ ენერგიისა მოდის სწორედ შენობის შიგნით მოხმარებულ ენერგიაზე. ამიტომ შენობის მახასიათებლები გადამწყვეტია ენერგიის მოხმარების თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევა მოიცავს საკმაოდ დიდ პერიოდს (2011-2014), ის მაინც რეპრეზენტატიულია,რადგან შინამეურნეობების მიერ ენერგიის მოხმარების თავისებურებები ძალიან ინერციულია და განსხვავებით შედარებით განვითარებული ქვეყნებისგან, საქართველოში პრაქტიკულად არ იცვლება ათწლეულების მანძილზე. მოსახლეობა ძირითადად თბება შეშით, ხოლო გასათბობად იყენებენ ღუმელებს, რომლებიც თითქმის არ შეცვლილა მეოცე საუკუნის დასაწყისიდან. გარდა ამისა, ტიპური საცხოვრებელი შენობა საკმაოდ ძველია (საშუალოდ 40-50 წლის) დაძალიან იშვიათად გვხვდება 1980-იანი წლების შემდეგ აშენებული სახლი. შენობების უმეტესობას არ აქვს ჩატარებული საფუძვლიანი რეკონსტრუქცია. საცხოვრებელი სახლების უმეტესობა აღჭურვილია ძველი, ხის, კარ-ფანჯრებით - შესაბამისად საკმაოდ დიდია სითბოს დანაკარგები.

თითოეული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეირჩა 3-4 დასახლება. შერჩეულ დასახლებებში ჩატარდა გამოკითხვა.

გამოკითხვის ანკეტა მოიცავდა შემოდეგ პუნქტებს:

1. ძირითადი მონაცემები - ინფორმაცია შინამეურნეობის წევრთა რაოდენობის, მათი ასაკის, დასაქმების სფეროების და შემოსავლების კატეგორიის შესახებ;
2. ძირითადი მონაცემები ენერგიის წყაროებზე - ინფორმაცია შინამეურნეობის მიერ მოხმარებული ენერგიის წყაროების და ამ მხრივ არსებული პრობლემების შესახებ;
3. ძირითადი მონაცემები შენობაზე - ინფორმაცია საცხოვრებელი შენობის წლოვანებისა და მისი რეკონსტრუქციის შესახებ;
4. შენობის შემომზღუდი კონსტრუქციის მონაცემები - შენობის ტიპი და პარამეტრები, კონსტრუქციის მასალა, გარე კედლების, იატაკის, ჭერის, კარ-ფანჯრის მდგომარეობა, ზომა, მასალა და ა.შ.
5. გათბობის/კონდიცირების სისტემები;
6. დანახარჯები ენერგიაზე - ყოველწლიურად გაწეული დანახარჯები ენერგიის ტიპებზე. გაწეული დანახარჯების გავლენა შინამეურნეობის წევრთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ინფორმაციის მოპოვების შემდეგ დამუშავდა მონაცემები - დადგინდა ძირითადი ენერგიის წყაროები საქართველოს მუნიციპალიტეტებში, თითოეული მათგანის ეფექტიანობა და ენერგეტიკული ღირებულება (ცხრილი 2).

თითოეული წყალშემკრები აუზისთვის იყო დათვლილი ენერგომოხმარება და ენერგიაზე გაწეული დანახარჯები, სხვადასხვა ენერგიის ტიპების მიხედვით. იმისათვის, რომ დადგენილიყო სხვადასხვა ფაქტორების გავლენა ენერგომოხმარების სტრუქტურაზე, ცალ-ცალკე იყო გამოთვლილი სხვადასხვა კატეგორიაში მოხვედრილი შინამეურნეობების მაჩვენებლები (მაგ. საქალაქო და სასოფლო

შინამეურნეობები).

ცხრილი 2.[2]
სხვადასხვა ტიპის ენერგიის წყაროს ერთეულის კვტსთ-ებში გადამყვანი კოეფიციენტები და 1 კვტსთ ენერგიის ფასი

ენერგიისტიპი	ერთეული	ერთეული კვტსთ-ში	საშუალოდ1 კვტსთფასი(ლარი)
ელექტროენერგია	1 კვტსთ	1	0.112
ბუნებრივიაირი	1 მ^3	9.37	0.053
თხევადიაირი	1 კგ	12.87	0.256
შეშა	1 მ^3	1780	0.03

მოცემულ სტატიაში მოსახლეობაში ენერგომოხმარების სტრუქტურის შესადარებლად აღებულია მხოლოდ ის შინამეურნეობები, რომლებსაც არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი.

3. კვლევის შედეგები

3.1. შინამეურნეობების მიერ ენერგიის მოხმარება

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ რეგიონებში მოსახლეობის უმეტესობას არ გააჩნია საკუთარი სატრანსპორტო საშუალება, ამიტომ შინამეურნეობის საბოლოო ენერგომოხმარება, როგორც ზემოთ აღინიშნა, უმეტესწილად დამოკიდებულია შენობის შიგნით მოხმარებულ ენერგიაზე[3].

შინამეურნეობების უმეტესობა საკმაოდ მოძველებულ შენობებში ცხოვრობს, რომლებშიც რეკონსტრუქცია ან საერთოდ არ განხორციელებულა, ან ძალიან დიდი ხნის წინ ჩატარდა (სურათი 2). შინამეურნეობების უმეტესობა, ზამთრის პერიოდში მთელი დღის მანძილზე მოთავსებულია 1-2 ოთახში, სახლის დანარჩენი ნაწილი კი არ თბება.

---

[2]Integrated Natural Resources Management in the Republic of Georgia Program. (2012). Energy Analysis of Upper Alazani Pilot Watershed Area (Telavi and Akhmeta Municipalities, Kakheti Region). (გვ. 39).

[3]შენობის გარეთ ენერგიის გამოყენება ფაქტობრივად არ ხდება, თუ არ ჩავთვლით იშვიათ შემთხვევაში ნათურას, რომელიც ასევე სახლიდან არის გადაყვანილი სათავსოებში, გომურში, თავლაში და ა.შ.



სურათი 2. გამოკითხული შინამეურნეობების საცხოვრებელი შენობის საშუალო ასაკი წყალშემკრები აუზების მიხედვით.

შენობის შიგნით მოხმარებულ ენერგიას განსაზღვრავს ზამთარში გათბობაზე მოხმარებული ენერგია. გამოკითხული შინამეურნეობების აბსოლუტური უმეტესობა გასათბობ საშუალებად იყენებს შეშას. შედარებით იშვიათად გვხვდება გათბობა ბუნებრივიაირით. ისეთი შინამეურნეობა, რომელიც ამ ორი ენერგიის წყაროდან არც ერთს არ იყენებდა - არ დაფიქსირებულა. გამონაკლის შემთხვევებში გათბობის დამხმარე საშუალებადიყენებენ ელექტროენერგიასაც (სხვადასხვა ტიპის ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლები), თუმცა ისეთი შინამეურნეობა, რომელიც სრულად ელექტროენერგიითთბება არ გამოვლენილა.



სურათი 3. გამოკითხული შინამეურნეობების პასუხი კითხვაზე: „მოიხმართ თუ არა შეშას?“(%)წყალშემკრები აუზების მიხედვით.

როგორც სურათი 3-დან ჩანს, შინამეურნეობების აბსოლუტური უმეტესობა მოიხმარს შეშას. მაგალითად, ზემო რიონის, ზემო ალაზნისა და ზემო აჭარისწყლის წყალშემკრებ აუზებში გამოკითხულთა 100% მოიხმარს შეშას. ყველაზე ნაკლები წილი შეშის მოხმარებისა დაფიქსირდა შუა მტკვრის წყალშემკრებ აუზში, სადაც 40 გამოკითხული შინამეურნეობიდან 26 მოიხმარს შეშას.



სურათი 4. გამოკითხული შინამეურნეობების პასუხები კითხვაზე: „მოიხმართ თუ არა ბუნებრივ აირს?“ (%) წყალშემკრები აუზების მიხედვით.

გრაფიკზე (სურათი 4) მოცემულია შინამეურნეობების პასუხი კითხვაზე - „მოიხმართ თუ არა ბუნებრივ აირს?“. ყველაზე მეტი ბუნებრივი აირის მომხმარებელი შინამეურნეობა დაფიქსირდა შუა მტკვრისა (28) და ქვემო ალაზნის (27) წყალშემკრებ აუზებში, შემდეგ მოდის ზემო ალაზანი (15).

დანარჩენ წყალშემკრებ აუზებში ბუნებრივი აირის მომხმარებელთა რიცხვი ძალზედ მცირეა. ზოგიერთ რეგიონში ეს გამოწვეულია ბუნებრივი აირის ინფრასტრუქტურის არ არსებობით - მაგალითად ზემო რიონის წყალშემკრებ აუზში ბუნებრივი აირი მიეწოდება მხოლოდ ქალაქ ამბროლაურს, ხოლო ზემო აჭარისწყლის წყალშემკრებ აუზს ბუნებრივი აირი საერთოდ არ მიეწოდება.

სურათი 5იძლევაწარმოდგენას მხოლოდ იმ შინამეურნეობების შესახებ, რომლებსაც მიეწოდებათ ბუნებრივი აირი. როგორც გრაფიკიდან ჩანს, დიდი ნაწილი იმ შინამეურნეობებისა, რომლებსაც მიეწოდებათ ბუნებრივი აირი, მაინც მოიხმარს შეშას.

გრაფიკებიდან (სურათი 3, 4, 5, 6) შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, რომ შინამეურნეობის ენერგომოხმარების თვალსაზრისით დომინანტი ენერგიის წყაროარის შეშა.



სურათი 5. გამოკითხული შინამეურნეობების პასუხი კითხვაზე: „მოიხმართ თუ არა შეშას?“ წყალშემკრები აუზების მიხედვით (შინამეურნეობები, რომელთაც მიეწოდებათ ბუნებრივი აირი).



სურათი 6.შინამეურნეობების მიერ გასათბობად გამოყენებული საწვავის ტიპი წყალშემკრები აუზების მიხედვით (%). ბუნებრივი აირის კატეგორიაში გაერთიანებულია ყველა შინამეურნეობა, რომელსაც გააჩნია ბუნებრივ აირზე მომუშავე გასათბობი მოწყობილობა.

შეშის მოხმარების ყველაზე დიდი წილი არის ზემო რიონისა (100%) და ზემო აჭარისწყლის (100%) წყალშემკრებ აუზებში. შემდეგ მოდის ქვემო რიონი (95,9%) და ზემო ალაზანი (94%). ყველაზე დაბალი წილი შეშის მოხმარებისა ფიქსირდება შუა მტკვრისწყალშემკრებ აუზში.

გრაფიკზე (სურათი 6)ჩანს ტენდენცია - წყალშემკრები აუზების ქვედა ნაწილში უფრო მეტი შინამეურნეობა თბება ბუნებრივიაირით, ვიდრე ზემო ნაწილში. ეს შესაძლებელია აიხსნას მაღალმთიან რეგიონებში ბუნებრივი აირის ინფრასტრუქტურის გაუმართავობითა და არ არსებობით.

იქაც კი, სადაც დასახლების დონეზე გაზიფიცირების პრობლემა არ არსებობს, მოსახლეობის დიდი ნაწილი მაინც შეშით თბება. ამის ძირითადი მიზეზებია პირველადი ინვესტიციის სიძვირე (სახსრების უქონლობა ბუნებრივი აირის სახლში შესაყვანად და გასათბობი მოწყობილობის შესაძენად) და მოსახლეობის მაღალი ინერციულობის დონე გასათბობი ტექნოლოგიების მიმართ (არ სურთ გადასვლა სხვა ტიპის გასათბობ მოწყობილობაზე).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დათვლებით, იმ დასახლებებში, სადაც ბუნებრივი აირის ცენტრალური მილი არის გაყვანილი, შინამეურნეობაში ბუნებრივი აირის ქსელზე მიერთება მინიმუმ 400 ლარი ღირს. თუ შინამეურნეობა ცენტრალური მილიდან დაშორებულია 300 მეტრზე მეტი მანძილით, ამ შემთხვევაში ქსელზე მიერთების საფასურს ემატება საპროექტო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებით განსაზღვრული ღირებულება.[4] ამ ხარჯებს ემატება გასათბობი მოწყობილობის ღირებულებაც, მაგალითად კედელზე დასამონტაჟებელი (ე.წ. „კარმას“ ტიპის) გამათბობელი საშუალოდ 600 ლარი ღირს, ხოლო ცენტრალური გათბობის სისტემა კიდევ

[4]საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. http://gnerc.org/ge/new-user-calculator

რამდენიმეჯერ აღემატება მის ღირებულებას (საშუალოდ 2,5-5 ათასი ლარი, დამოკიდებულია გასათბობ ფართობზე).[5]

ბუნებრივი აირის გამათბობლის დამონტაჟების შემთხვევაშიც, სერიოზული ეფექტის მისაღებად საჭიროა შენობის კარგი იზოლაცია, რაც კიდევ დამატებით ხარჯებს მოითხოვს. გამოკითხული 273 შენობიდან მხოლოდ 15 მათგანს გააჩნია თანამედროვე მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯარა.

ბუნებრივი აირით გათბობა ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც შინამეურნეობა აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი კილოვატი შეშისგან მიღებული ენერგია ბევრად უფრო იაფია, ვიდრე ბუნებრივი აირისგან მიღებული, მისი მოხმარება იმდენად არაეფექტურია, რომ ერთ კვადრატულ მეტრზე გადაანგარიშებით ეს 2,5-3-ჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე გათბობა, საჭმლის მომზადება და ცხელი წყლით მომარაგება თანამედროვე ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური სისტემით.[6]

მსგავსი სისტემის დამონტაჟების შესაძლებლობა კი საქართველოს რეგიონების მოსახლეობის უმეტესობას არ აქვს. რაც შეეხება კედელზე დასამონტაჟებელ ღუმელებს, მათი გამოყენებაც ეფექტურია შეშასთან შედარებით - როგორც დანახარჯების, ისე კომფორტისა და სისუფთავის თვალსაზრისით - მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ძირითადი პრობლემა პირველადი ინვესტიციაა.

ბუნებრივ აირს პროცენტულად ყველაზე მეტი შინამეურნეობა მოიხმარს შუა მტკვრისა (47,5%) და ქვემო ალაზნის (26,47%) წყალშემკრებ აუზებში. შემდეგ მოდის ქვემო აჭარისწყალი (12%), ზემო მტკვარი (10%), ზემო ალაზანი (6%) და ქვემო რიონი (4%).

შედარებით განსხვავებული სიტუაციაა ზემო მტკვრის წყალშემკრებ აუზში - სადაც, ხშირ შემთხვევაში, გასათბობად იყენებენ წივას შეშასთან ერთად. მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა ეთნიკურად სომეხ საქართველოს მოქალაქეებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი გამოკითხული შინამეურნეობა გასათბობად მხოლოდ წივას არ მოიხმარს - შინამეურნეობები მოიხმარენ წივას მხოლოდ შეშასთან ერთად.

შეშისა და ბუნებრივი აირის გარდა საქართველოში შინამეურნეობებისთვისენერგიის ძირითადი წყაროებია ელექტროენერგია და თხევადი აირი. ელექტროენერგიის მოხმარება ძირითადად განათებისთვის და სხვა ელექტრომოწყობილობების ფუნქციონირებისთვის ხდება. შინამეურნეობები, რომელთაც არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი, სამზარეულოს საჭიროებისთვის იყენებენ თხევად აირს.

წელიწადის ცივ დროს, შინამეურნეობებში სადაც გასათბობად შეშის ღუმელი ფუნქციონირებს, საჭმლის მომზადებაც შეშით ხდება. ამიტომ, სამზარეულოზე დახარჯული ენერგიის გამოყოფა მთლიანი შეშის მოხმარებიდან საკმაოდ რთულია.

---

[5] ტექნიკის მაღაზია „ელიტ ელექტრონიქსი“ http://www.ee.ge/

[6] მელიქიძე ვ, მელიქიძე კ. (2013). ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტების(წყალშემკრები აუზი1) ენერგოსექტორისანალიზის ძირითადი შედეგები. (გვ 8).



სურათი 7. ერთი შინამეურნეობის საშუალო წლიური ენერგომოხმარება (კგტსთ) წყალშემკრები აუზების მიხედვით (შინამეურნეობები, რომელთაც არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი).

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში შინამეურნეობების მიერ მოხმარებული ენერგიის უდიდესი ნაწილი მოდის შეშაზე (ზამთარში გათბობაზე) (სურათი 9). მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება ყველა შესწავლილწყალშემკრებ აუზში. ყველაზე მეტ შეშას ქვემო რიონის წყალშემკრებ აუზში მოიხმარენ, შემდეგ მოდის ზემო რიონის წყალშემკრები აუზი. ყველაზე ცოტა შეშას მოიხმარენ ზემო და ქვემო აჭარისწყლის წყალშემკრებ აუზებში.

ზოგადი ტენდენცია შემდეგია - წყალშემკრები აუზების ზედა ნაწილში, უფრო მეტ ენერგიას მოიხმარენ გათბობაზე, ვიდრე ქვემო ნაწილებში (გამონაკლისია რიონის წყალშემკრები აუზი).

განათებაზე და სხვა ელექტრომოწყობილობებზე ყველაზე მეტ ენერგიას ქვემო აჭარისწყლის წყალშემკრებ აუზში მოიხმარენ (სურათი 10), შემდეგ მოდის ზემო მტკვარი და ქვემო რიონი. ყველაზე ნაკლებს - ზემო რიონის წყალშემკრებ აუზში მოიხმარენ. შინამეურნეობების აბსოლუტური უმეტესობა მიზანმიმართულად ზოგავს ელექტროენერგიას - ეკონომიის ძირითადი მეთოდია შუქის ჩაქრობა. ყველა წყალშემკრებ აუზში საღამოს პერიოდში ძირითადად 1-2 ნათურას ტოვებენ ანთებულს, სახლის უმეტეს ნაწილში კი განათება გამორთულია. მხოლოდ მცირე ნაწილი (7%), გამოკითხული შინამეურნეობებისა, ელექტროენერგიას ზოგავს ტექნოლოგიების გამოყენებით (ძირითადად ეკონომ-ნათურები).



სურათი 8.მოხმარებული ენერგიის ტიპების ხვედრითი წილი ერთი შინამეურნეობის საშუალო წლიურ ენერგომოხმარებაში (%), წყალშემკრები აუზების მიხედვით (შინამეურნეობები, რომელთაც არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი).

გრაფიკზე ჩანს (სურათი 10), რომ შეშა მნიშვნელოვნად აჭარბებს ენერგიის დანარჩენ წყაროებს შინამეურნეობის ენერგომოხმარების სტრუქტურაში. ძირითად შემთხვევაში, შინამეურნეობის ენერგომოხმარების სტრუქტურაში შეშა 80%-ზე მეტია, ზემო რიონის წყალშემკრებ აუზში კი 90%-საც აჭარბებს. გამონაკლისია ქვემო აჭარისწყლის წყალშემკრები აუზი, სადაც შეშის წილი 76%-ია, რაც ასევე ახლოსაა 80%-იან ზღვართან.

კითხვაზე - „საშუალოდ რამდენ ხანს ათბობთ შენობას წლის განმავლობაში?“ - ყველა წყალშემკრებ აუზში დაახლოებით ერთნაირი პასუხი გაგვცეს, - 6-7 თვე. მიუხედავად იმისა, რომ კლიმატური ფაქტორები (გათბობის სეზონის ხანგრძლივობა) გარკვეულწილად აისახება მოხმარებული ენერგიის მოცულობაში, ის ნაკლებ გავლენას ახდენს საერთო ენერგომოხმარების სტრუქტურაზე.

ცხრილი 3.

ერთი შინამეურნეობის მიერ ენერგიის საშუალო წლიური მოხმარება შესწავლილ წყალშემკრებ აუზებში(2011-2014 წლების საშუალო მონაცემები)

ენერგიისტიპი	საშუალო წლიურიმოხმარება (კვტსთ)	1 კვტსთ ენერგიისფასი (ლარი)	საშუალო წლიურიდანახარჯები (ლარი)
ელექტროენერგია	1331	0.112	199
თხევადიაირი	806	0.25	210
შეშა	15229	0.03	534

ვინაიდან მოცემულ სტატიაში მხოლოდ ის შინამეურნეობებია განხილული, რომლებსაც არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი, ცხრილში ამ უკანასკნელის შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის.

თუმცა, ინფორმაციისათვის აღსანიშნავია, რომ მოსახლეობისთვის 1 კვტსთ. ბუნებრივი აირის ფასი დაახლოებით 0.053 ლარია.



სურათი 9. ერთი შინამეურნეობის საშუალო წლიური ენერგომოხმარება (კვტსთ.) შესწავლილ წყალშემკრებ აუზებში (2011-2014).

3.2. შინამეურნეობის მიერ გასათბობად გამოყენებული ენერგიის წყაროები ევროპის ქვეყნებში



სურათი10. შინამეურნეობების მიერ გასათბობად გამოყენებული ენერგიის წყაროები (%) ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. საქართველოს სვეტში მოცემულია წყალშემკრებ აუზებში ჩატარებული კვლევის შედეგები.

გრაფიკზე შედარებულია ევროპის რამდენიმე ქვეყნის მონაცემები საქართველოს წყალშემკრებ აუზებში ჩატარებული კვლევის შედეგებთან. ჰოლანდიის, გერმანიის, ჩეხეთისა და უნგრეთის მონაცემები აღებულია გრონინგენის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგებიდან,[7] ხოლო ესტონეთის მონაცემები მოპოვებულია ესტონეთის სტატისტიკის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული კვლევის ანგარიშიდან.[8]

გრაფიკიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის უფრო მეტად არის დამახასიათებელი შეშის გამოყენება შინამეურნეობის სივრცის გასათბობად დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით.

თუმცა, ისეთი მაღალი წილი შეშის მოხმარებისა, როგორც საქართველოში შესწავლილ წყალშემკრებ აუზებში დაფიქსირდა, გრაფიკზე მოცემულ არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია.

---

[7] Meirmans, K. (2013). Household direct energy consumption and CO_2 emissions in European countries. University of Groningen. გვ 18.

[8] Statistics Estonia.(2012). Household energy consumption survey final report. გვ 15, 30, 31.

3.3. შინამეურნეობების ენერგომოხმარების შედარება დასახლების ტიპის მიხედვით: საქალაქო და სასოფლო

ცხრილი 4.

შინამეურნეობის საშუალო წლიური ენერგომოხმარების სტრუქტურა (კვტსთ) საქალაქო და სასოფლო დასახლებებში წყალშემკრები აუზების მიხედვით (შინამეურნეობები, რომლებსაც არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი) 2011-2014.

წყალშემკრებ-ბი აუზი	ქალაქი				სოფელი			
	შეშა	ელექტრო-ენერგია	თხევადი აირი	სულ	შეშა	ელექტრო-ენერგია	თხევადი აირი	სულ
ზემო რიონი	18200	1544	450	20194	20358	1144	250	21752
ქვემო რიონი	28803	2130	1499	32432	24528	1800	1126	27454
ზემო ალაზანი	22124	1751	1201	25076	21360	1400	1029	23789
ქვემო ალაზანი	14240	1132	463	15835	17800	811	1235	19846
ზემო მტკვარი	20173	1850	1184	23207	16020	1283	1280	18583
შუა მტკვარი	15842	2266	1049	19157	12638	1644	901	15183
ზემო აჭარისწყალი	14418	1920	1570	17908	13172	1413	1377	15962
ქვემო აჭარისწყალი	1570	2520	1467	15557	12992	2064	1634	16690
საშუალო	18951	1855	1098	21904	17835	1431	1071	20337

საქალაქო და სასოფლო დასახლებებში შინამეურნეობების ენერგომოხმარება განსხვავდება წყალშემკრები აუზების მიხედვით. მაგალითად, ზემო რიონის, ქვემო ალაზნისა და ქვემო აჭარისწყლის წყალშემკრებ აუზებში სასოფლო დასახლებებში შინამეურნეობები უფრო მეტ ენერგიას მოიხმარენ, ვიდრე საქალაქო დასახლებებში. შინამეურნეობები დაახლოებით თანაბარი რაოდენობის ენერგიას მოიხმარენ ზემო აჭარისწყლისა და ზემო რიონის წყალშემკრები აუზების საქალაქო და სასოფლო დასახლებებში.

ყველაზე დიდი რაოდენობის ენერგიას, როგორც საქალაქო, ისე სასოფლო დასახლებებში მოიხმარენ ქვემო რიონის წყალშემკრებ აუზში, შემდეგ მოდის ზემო ალაზნის წყალშემკრები აუზი.

ყველაზე ცოტა ენერგიას საქალაქო დასახლებებში მოიხმარენ შინამეურნეობები ქვემო ალაზნის წყალშემკრებ აუზში, ხოლო სასოფლო დასახლებებში - შუა მტკვრის წყალშემკრებ აუზში.

მიუხედავად არსებული განსხვავებებისა, შინამეურნეობის მოხმარების სტრუქტურა დაახლოებით ერთნაირი რჩება როგორც საქალაქო, ისე სასოფლო დასახლებებში. ძირითადი მახასიათებელია - შეშის მაღალი წილი შინამეურნეობის ენერგომოხმარებაში.

იმის გამო, რომ საქალაქო და სასოფლო დასახლებებში შინამეურნეობები წევრთა რაოდენობის მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდება, უმჯობესია ენერგომოხმარების რეალური სურათის მისაღებად, ერთმანეთს შევადაროთ შინამეურნეობის ერთ წევრზე გაწეული ენერგოდანახარჯები (სურათი 13).



სურათი 11. პირდაპირი ენერგომოხმარება შინამეურნეობის ერთ წევრზე (კვტსთ.), დასახლებული პუნქტების ტიპის მიხედვით, თითოეული წყალშემკრები აუზისთვის.

საქალაქო დასახლებებში, შინამეურნეობის ერთ წევრზე ყველაზე მეტ ენერგიას ქვემო რიონის წყალშემკრებ აუზში მოიხმარენ. შემდეგ მოდის ზემო ალაზნისა და შუა მტკვრის წყალშემკრები აუზები. ყველაზე ცოტას - ქვემო აჭარისწყლის წყალშემკრებ აუზში მოიხმარენ. დაახლოებით ერთნაირია ენერგომოხმარება შინამეურნეობის ერთ წევრზე ზემო მტკვრისა და ზემო აჭარისწყლის წყალშემკრებ აუზებში (სურათი 13).

რაც შეეხება სასოფლო დასახლებებს, აქაც ყველაზე მეტ ენერგიას შინამეურნეობის ერთ წევრზე ქვემო რიონისა და ზემო ალაზნის წყალშემკრებ აუზებში მოიხმარენ. ყველაზე ცოტას - ზემო და ქვემო აჭარისწყლის წყალშემკრებ აუზებში (სურათი 13).

3.4. შინამეურნეობების მიერ ენერგიაზე გაწეული დანახარჯები

შეშის ფასი არ არის ყველგან ერთნაირი და განსხვავდება რეგიონების მიხედვით (სურათი 14). ფასზე დიდ გავლენას ახდენს გეოგრაფიული და კლიმატური ფაქტორები. მაგალითად წალკის მუნიციპალიტეტში (ზემო მტკვრის წყალშემკრებიაუზი) ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდება ტყის საფარი, რის გამოც, შეშის ჭრა თითქმის საერთოდ აკრძალულია. წალკა მარაგდება სხვა მუნიციპალიტეტებიდან შემოტანილი შეშით და ამიტომ, ფასში მისი ტრანსპორტირების ხარჯიც მნიშვნელოვნად აისახება. გარდა ამისა, ზემო მტკვრის წყალშემკრებ აუზშიშესწავლილი აუზებიდან ყველაზე მკაცრი ზამთარია, რაც იწვევს გასათბობ ენერგიაზე მოთხოვნის ზრდას და გავლენას ახდენს შეშის ფასზეც. დასახელებული ფაქტორების გათვალისწინებით ზემო მტკვრის წყალშემკრებ აუზში 1 $მ^3$ შეშა შესწავლილი აუზებიდან ყველაზე ძვირი - საშუალოდ 100 ლარი ღირს.



სურათი 12. 1 მ^3 შეშის საშუალო ფასი (ლარი)ადგილობრივ ბაზარზე, წყალშემკრები აუზების მიხედვით.

გრაფიკზე (სურათი 14) ფიქსირდებაშემდეგი ტენდენცია – წყალშემკრები აუზების ზემო წელზე შეშა უფრო ძვირია, ვიდრე ქვედა ნაწილში. ზემო მტკვრის შემდეგ ყველაზე ძვირიშეშა ზემო რიონისა და ზემო აჭარისწყლის აუზებში ღირს (საშუალოდ 70 ლარი 1 მ^3), შემდეგ მოდის შუა მტკვარი (65), ზემო ალაზანი და ქვემო აჭარისწყალი (60). ყველაზე იაფი შეშა ქვემო რიონისა და ქვემო ალაზნის წყალშემკრებ აუზებში ღირს (50 ლარი).



სურათი 13.პასუხი კითხვაზე: „შინამეურნეობის საერთო წლიური ბიუჯეტის დაახლოებით რა ნაწილი იხარჯება ენერგიით უზრუნველყოფაზე?“ (%), წყალშემკრები აუზების მიხედვით.

გრაფიკის (სურათი 15) მიხედვით, შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გამოტანა - შინამეურნეობის ენერგიით უზრუნველყოფა უდიდეს და ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობის ჩამოყალიბებაში.



სურათი 14. ერთი შინამეურნეობის მიერ ენერგიაზე გაწეული საშუალო წლიური დანახარჯები (ლარი), წყალშემკრები აუზების მიხედვით (შინამეურნეობები, რომელთაც არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი).

გრაფიკზე (სურათი 16) მოცემულია შინამეურნეობის ენერგიაზე გაწეული წლიური დანახარჯები. ყველაზე მეტს ენერგიაზე ხარჯავენ ზემო მტკვრის წყალშემკრებ აუზში, შემდეგ მოდის ქვემო აჭარისწყალი და ქვემო რიონი. ყველაზე ცოტას ზემო რიონისა და შუა მტკვრის წყალშემკრებ აუზებში ხარჯავენ.

მიუხედავად იმისა, რომ შეშა ყველაზე იაფი ენერგიის წყაროა, მასზე მაინც ყველაზე დიდი ფინანსური რესურსი იხარჯება თითოეულ წყალშემკრებ აუზში (სურათი 16). ყველაზე მეტს, შეშაზე ზემო მტკვრის წყალშემკრებ აუზში ხარჯავენ, შემდეგ მოდის ზემო და ქვემო რიონის წყალშემკრები აუზები და ზემო ალაზნის წყალშემკრები აუზი.



სურათი 15. ენერგიაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი (%) ერთი შინამეურნეობის წლიურ დანახარჯებში, წყალშემკრები აუზების მიხედვით (შინამეურნეობები, რომლებსაც არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი).

დანახარჯების უკეთესი ილუსტრაციისთვის მოცემულია სურათი 17, რომელზეც ნათლად ჩანს, რომ ენერგიაზე გაწეული ხარჯების უდიდესი წილი მოდის შეშაზე. წყალშემკრები აუზების უმეტესობაში შინამეურნეობების ენერგიაზე გაწეული ხარჯების ნახევარზე მეტი შეშაზე მოდის. გამონაკლისია შუა მტკვრის (49%), ზემო (48%) და ქვემო აჭარისწყლის (45%) წყალშემკრები აუზები, რომლებიც ასევე ახლოს არიან 50%-იან ზღვართან. პროპორციულად ყველაზე მეტს შეშაზე ზემო რიონის წყალშემკრებ აუზში (72%) ხარჯავენ, შემდეგ მოდის ზემო მტკვარი (64%) და ზემო ალაზანი (55%).



სურათი 16. პასუხი კითხვაზე: „რა წყაროებიდან ხდება შეშის მოპოვება?“ წყალშემკრები აუზების მიხედვით.

როგორც გრაფიკი აჩვენებს (სურათი 18), საქართველოს რეგიონებში შინამეურნეობების უმეტესობა ბაზარზე შეძენილ შეშას მოიხმარს. გამონაკლისია ზემო აჭარისწყლის წყალშემკრები აუზი, სადაც 55% შინამეურნეობებისა საკუთარი ჭრით მოიპოვებს შეშას. ზემო ალაზნის, ქვემო ალაზნის, ზემო მტკვრისა და შუა მტკვრის წყალშემკრებ აუზებში გამოკითხულთა თითქმის 100% ბაზარზე შეძენილი შეშით თბება.

ზემოხსენებული მიზეზის გამო, შეშის ფასი საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს შინამეურნეობის შეშით მომარაგებაზე - მაღალი ფასის გამო შესაძლოა შინამეურნეობას უფრო დიდი ეკონომიის გაწევა, და შეშის მოხმარების შემცირება მოუწიოს.



სურათი 17. ერთი შინამეურნეობის მიერ გაწეული საშუალო წლიური ენერგოდანახარჯები (ლარი)შესწავლილ მუნიციპალიტეტებში (2011-2014).

4. დასკვნები

- ენერგიის მოხმარების სტრუქტურას მცირე დასახლებებში განსაზღვრავს გათბობა;
- შინამეურნეობების აბსოლუტური უმეტესობა თბება შეშით, შესაბამისად ენერგოდანახარჯების უდიდესი ნაწილი მოდის სწორედ ამ უკანასკნელზე. ხშირ შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ოჯახისთვის ხელმისაწვდომია ბუნებრივი აირი, გასათბობად მაინც შეშა გამოიყენება;
- რაც უფრო ღარიბია ოჯახი, პროპორციულად მით უფრო მეტი უჯდება ენერგიით უზრუნველყოფა და მინიმალური კომფორტული პირობების შექმნა;
- ტრადიციული შეშის ღუმელით გათბობა ძალიან არაეფექტურია. თბება მხოლოდ საცხოვრებელი სახლის შეზღუდული ნაწილი (1-2 ოთახი) რამდენიმე საათის განმავლობაში;
- ფაქტობრივად ყველა საცხოვრებელი სახლი ცუდად არის იზოლირებული და გათბობაზე მიმართული ენერგიის დიდი ნაწილი უქმად იკარგება;
- ენერგომოხმარების სტრუქტურა ნაკლებად იცვლება კლიმატური ფაქტორების (გათბობის სეზონის ხანგრძლივობა) ზეგავლენით, თუმცა გარკვეულწილად აისახება მოხმარებული ენერგიის მოცულობაზე;

- გეოგრაფიული მდებარეობა, გარკვეულშემთხვევებში, გავლენას ახდენს ადგილობრივ ბაზარზე შეშის ფასზე. ეს ფაქტორი საგრძნობლად ზრდის შეშაზე გაწეულ დანახარჯებს, თუმცა ენერგომოხმარების სტრუქტურაზე გავლენას ვერ ახდენს;
- შინამეურნეობის შემოსავლები და წევრთა რაოდენობა განსაზღვრავს მოხმარებული ენერგიის მთლიან რაოდენობას, თუმცა საერთო სტრუქტურაში წილობრივი შემადგენლობა ენერგოწყაროებისა იგივე რჩება;
- ცალკეული ეთნიკური ერთობების შინამეურნეობების ენერგიის მოხმარების სტრუქტურაში გარკვეული განსხვავებები შეიმჩნევა, მაგრამ შეშის მასობრივ მოხმარებაზე ვერც ეს ფაქტორი ახდენს გავლენას;
- შენობების ცუდი თბური მახასიათებლები და გათბობის დანადგარების არაეფექტურობა ჩრდილავს სხვა ყველა დანარჩენი ფაქტორის მოქმედებას;
- შეშის ზედმეტი გამოყენება და მასობრივი ტყის გაკაფვა იწვევს გაუტყეურებას და მის თანმდევ პრობლემებს.

ბიბლიოგრაფია

- Integrated Natural Resources Management in the Republic of Georgia Program. (2012). Energy Analysis of Lower Alazani-Iori Pilot Watershed Area (Dedoplistskaro Municipality, Kakheti Region). http://www.globalwaters.net/wp-content/uploads/2014/03/Technical_Report-21.-Lower-Alazani-Energy-Analysis.pdf.
- Integrated Natural Resources Management in the Republic of Georgia Program. (2012). Energy Analysis of Lower Rioni Pilot Watershed Area (Khobi and Senaki Municipalities, Samegrelo and Zemo Svaneti Region). http://www.globalwaters.net/wp-content/uploads/2014/03/Technical_Report-22.-Lower-Rioni-Energy-Analysis.pdf
- Integrated Natural Resources Management in the Republic of Georgia Program. (2012). Energy Analysis of Upper Alazanii Pilot Watershed Area (Akhmeta and Telavi Municipalities, Kakheti Region). http://www.globalwaters.net/wp-content/uploads/2014/03/Technical_Report-23.-Upper-Alazani-Energy-Analysis.pdf
- Integrated Natural Resources Management in the Republic of Georgia Program. (2012). Energy Analysis of Upper Rioni Pilot Watershed Area (Ambrolauri and Oni Municipalities, Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti Region). http://www.globalwaters.net/wp-content/uploads/2014/03/Technical_Report-24.-Upper-Rioni-Energy-Analysis.pdf
- Meirmans, K. (2013). Household direct energy consumption and CO_2 emissions in European countries. University of Groningen. https://www.rug.nl/research/portal/files/14422209/EES-2013-171T_KoenMeirmans.pdf
- Statistics Estonia. (2012). Household energy consumption survey final report.https://www.stat.ee/dokumendid/68249

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №2, დეკემბერი, 2015

Journal of Young Researchers, No. 2, December, 2015

ოჯახების გაძლიერების პრევენციული როლი ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკაში

სალომე ნამიჭეიშვილი*

დოქტორანტი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

კვლევის მიზანია, შევაფასოთ, საქართველოში რამდენად შეძლო, ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმამ ეპასუხა არსებული გამოწვევებისათვის; ბავშვების მშობლებისაგან განცალკევების პრევენციისა და სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების ოჯახებში რეინტეგრაციის მიმართულებით. კვლევის ფარგლებში შემუშავდა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მიმდინარე ეტაპზე გასათვალისწინებელი საჯარო პოლიტიკის რეკომენდაციები.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები, კერძოდ: ა) დოკუმენტების ანალიზი; ბ) ფოკუს-ჯგუფები, რომლებიც ჩატარდა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის სოციალური მომსახურების მენეჯერებთან, პრაქტიკოსებთან და ბენეფიციარებთან; გ) ექსპერტული ინტერვიუები განხორციელდა ბავშვზე ზრუნვის სფეროს ექსპერტებთან, კერძოდ, მთავრობის წარმომადგენლებთან, პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემქმნელებსა და გადაწყვეტილების მიმღებებთან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

კვლევამ გამოავლინა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ხარვეზები, ბავშვის ოჯახისაგან განცალკევების პრევენციის თვალსაზრისით, ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის ნეგატიური დისკრიმინაციის პრობლემა, მომსახურების დეცენტრალიზაციის საჭიროება, ინსტიტუციური ზრუნვის ალტერნატიული მომსახურებების სიმწირე და დასაქმების ხელშემწყობ მომსახურებათა შექმნა/განვითარების საჭიროება.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა საჯარო პოლიტიკის რეკომენდაციები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მოღვაწე ძირითადი დაინტერესებული პირების კოორდინაცია; ოჯახის მხარდამჭერ და დასაქმების ხელშემწყობ მომსახურებათა განვითარება; სფეროში მოქმედი დაინტერესებული პირების ცოდნისა და უნარების გაძლიერება; სამიზნე ჯგუფების წარმომადგენელთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა. კვლევის ერთ-ერთი რეკომენდაციაა ბავშვის ბიოლოგიური ოჯახისათვის სოციალური დახმარების გაზრდა.

საკვანძო სიტყვები: ბავშვთა კეთილდღეობა; ოჯახის მხარდამჭერი მომსახურება; სოციალური მუშაკი; სოციალური დაცვა; ბავშვის ოჯახისგან განცალკევების პრევენცია; საჯარო პოლიტიკა.

Abstract

The study was to assess whether the Child Welfare Reform was able to respond to the existing challenges concerninig prevention of child-parents separation and reintegration of children from state care back to their families. The research aimed at elaboration of public policy recommendations due to be considered at the ongoing stage of the child welfare reform.

* *ელფოსტა: salome.namitcheishvili@tsu.ge*

The study used qualitative methods of research - a) documantation analysis; b) focus groups with representatives of governmental and non-governmental social services and service users; c) in-depth interviews with child care experts.

The research has revealed flaws in the child welfare system with regard of prevention of child-family separation, negative discrimination of child's biological family, need for decentralization of the services, lack of family and community based services alternative to institutional care and employment support services creation/development need.

Based on the results of the study public policy recommendations were developed with regard to main stakeholders coordination in child welfare field; family support and employment support service development; stakeholders' knowledge and skills development; and the target groups' participation in the decision-making process. One of the recommendations was to increase social assistance to children's biological families.

Keywords: *Falkland's conflict, political elites, diversionary war, public opinion*

1. შესავალი

2012 წლის 24 აპრილს დამტკიცდა „ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა“. აღნიშნული გეგმა მიზნად ისახავს, გააგრძელოს 2008-2011 წლებში განხორციელებული ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის კურსი და ხელი შეუწყოს განსაკუთრებით, მოწყვლადი ბავშვებისა და მათი ოჯახების გაძლიერებას. გეგმის მიხედვით, დღესაც მიმდინარეობს რეფორმა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. რეფორმის არსი იყო და არის ბავშვებზე ზრუნვის დეინსტიტუციონალიზაცია, რაც გულისხმობს დიდი ზომის ინსტიტუციების დახურვას და თემზე დაფუძნებულ ზრუნვაზე გადასვლას.

რეფორმა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ინსტიტუციური ზრუნვა არ შეესაბამება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას და უგულებელყოფს ბავშვის უფლებას, იზრდებოდეს ოჯახში ან ოჯახთან მიახლოებულ გარემოში (OHCHR, 1989). რეფორმის პროცესში სახელმწიფოსთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ოჯახსა და თემზე დაფუძნებულ ალტერნატიულ ზრუნვაზე გადასვლისათვის საკმარისი ძალისხმევის უზრუნველყოფა, იმ პირობებში, როცა დიდ ინსტიტუციებზე უარის თქმით დაიკარგა, დიდი მასშტაბიდან გამომდინარე, ეკონომიის შესაძლებლობა.

რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ბავშვების მშობლებისგან განცალკევების პრევენცია იყო ადეკვატური მხარდაჭერით; ბავშვების მშობლებთან რეინტეგრაციითა და მათი ოჯახების გაძლიერებით. ამასთანავე, რეფორმის მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენდა როგორც ოჯახსა და თემზე დაფუძნებული ზრუნვისა და მომსახურების მიწოდების გაზრდა, ისე ზრუნვის სისტემიდან გასვლისთვის (გადასვლა დამოუკიდებელ ცხოვრებაზე) ახალგაზრდების მომზადება, მათი სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობით.

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, ინსტიტუციური ზრუნვის გრძელვადიანი გავლენა ბავშვის ჯანმრთელობასა და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ვლინდება 18 წლის შემდეგაც (Browne, 2009). ბავშვებს, რომლებიც იზრდებიან ინსტიტუციებში, არ უყალიბდებათ უწყვეტი მიჯაჭვულობის გრძნობა ძირითად მზრუნველთან ამ ტიპის ზრუნვის ფორმისთვის დამახასიათებელი რიგიდულობისა და არაინდივიდუალური გარემოს გამო (J. Williamson, 2010).

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესი დაცული უნდა იყოს ოჯახის მხარდაჭერით. ოჯახის მხარდამჭერი მომსახურება აძლიერებს და ინარჩუნებს ოჯახის მთლიანობას. მას შეუძლია მშობლების კომპეტენციების ჩამოყალიბება და ოჯახის ცხოვრების ხარისხის გაზრდა, რაც აისახება ბავშვების მდგომარეობაზე (EuroChild, 2013). ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების ეფექტიანობის მტკიცებულებები ძირითადად მოიპოვება მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. მათი დადებითი გავლენა დასტურდება დაბადების რეგისტრაციაზე, ბავშვთა შრომაზე, ბავშვთა ქორწინებასა და ოჯახების დაშლის პრევენციაზე. ამასთანავე, სიღარიბის შემცირების სტრატეგიებს გავლენა აქვთ ბავშვთა ძალადობის შემცირებაზე (Barrientos A.J., 2013). ხანგრძლივ პერიოდში დაკვირვების მეთოდით განხორციელებულმა ნორვეგიულმა კვლევამ (NOVA, 2009) აჩვენა, რომ სიღარიბე ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებასა და მშობლობაზე, რაც საჭიროს ხდის ოჯახის მხარდამჭერი საჯარო პოლიტიკის არსებობას.

საზოგადოებისათვის საინტერესოა, საქართველოში რამდენად შეძლო რეფორმამ, ეპასუხა არსებული გამოწვევისათვის და დაეკმაყოფილებინა ის საჭიროება, რამაც სათავე დაუდო ალტერნატიული ზრუნვის სისტემის განვითარების რეფორმას. კერძოდ, კვლევის კითხვები უკავშირდება რეფორმის იმ მიმართულების ეფექტიანობას, რომელიც ეხებოდა პრევენცია/რეინტეგრაციასა და ოჯახების გაძლიერებას. ჰქონდა თუ არა და რა ხარვეზები ახალ სისტემას გამოყენებული რესურსების,

დამკვიდრებული პროცესებისა და შექმნილი მომსახურებების თვალსაზრისით? ამ კითხვების საპასუხოდ კვლევამ მიზნად დაისახა, შეეფასებინა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება – პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა ძირითადი საჭიროებები და ჩამოყალიბდა რეკომენდაციები ბავშვთა დაცვის არსებული პოლიტიკისა და პრაქტიკის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით. გამოყენების თვალსაზრისით, კვლევა ნიშანდობლივია სამოქალაქო საზოგადოებისთვის ბავშვთა და ახალგაზრდათა უფლებების ადვოკატობისას ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

წინამდებარე სტატია სამი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი მოიცავს დოკუმენტების ანალიზს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. ამ ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ღირებულებებს, უფლებადაცვით დოკუმენტებსა და კარგ პრაქტიკებს გულისხმობს ბავშვთა კეთილდღეობის დაცვა თანამედროვე ეტაპზე; მეორე ნაწილი აღწერს კვლევის მეთოდებს; მესამე ნაწილში კი მოცემულია კვლევის შედეგები და მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ განსხვავდება დღევანდელი პრაქტიკა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს იმ საერთაშორისო სტანდარტებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ უფლებების დაცვას, რომლებსაც საქართველოც აღიარებს.

2012 წლის 24 აპრილს დამტკიცდა „ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა“. აღნიშნული გეგმა მიზნად ისახავს, გააგრძელოს 2008-2011 წლებში განხორციელებული ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის კურსი და ხელი შეუწყოს განსაკუთრებით, მოწყვლადი ბავშვებისა და მათი ოჯახების გაძლიერებას. გეგმის მიხედვით, დღესაც მიმდინარეობს რეფორმა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. რეფორმის არსი იყო და არის ბავშვებზე ზრუნვის დეინსტიტუციონალიზაცია, რაც გულისხმობს დიდი ზომის ინსტიტუციების დახურვას და თემზე დაფუძნებულ ზრუნვაზე გადასვლას.

რეფორმა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ინსტიტუციური ზრუნვა არ შეესაბამება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას და უგულებელყოფს ბავშვის უფლებას, იზრდებოდეს ოჯახში ან ოჯახთან მიახლოებულ გარემოში (OHCHR, 1989). რეფორმის პროცესში სახელმწიფოსთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ოჯახსა და თემზე დაფუძნებულ ალტერნატიულ ზრუნვაზე გადასვლისათვის საკმარისი ძალისხმევის უზრუნველყოფა, იმ პირობებში, როცა დიდ ინსტიტუციებზე უარის თქმით დაიკარგა, დიდი მასშტაბიდან გამომდინარე, ეკონომიის შესაძლებლობა.

რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ბავშვების მშობლებისგან განცალკევების პრევენცია იყო ადეკვატური მხარდაჭერით; ბავშვების მშობლებთან რეინტეგრაციითა და მათი ოჯახების გაძლიერებით. ამასთანავე, რეფორმის მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენდა როგორც ოჯახსა და თემზე დაფუძნებული ზრუნვისა და მომსახურების მიწოდების გაზრდა, ისე ზრუნვის სისტემიდან გასვლისთვის (გადასვლა დამოუკიდებელ ცხოვრებაზე) ახალგაზრდების მომზადება, მათი სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობით.

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, ინსტიტუციური ზრუნვის გრძელვადიანი გავლენა ბავშვის ჯანმრთელობასა და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ვლინდება 18 წლის შემდეგაც (Browne, 2009). ბავშვებს, რომლებიც იზრდებიან ინსტიტუციებში, არ უყალიბდებათ უწყვეტი მიჯაჭვულობის გრძნობა ძირითად მზრუნველთან ამ ტიპის ზრუნვის ფორმისთვის დამახასიათებელი რიგიდულობისა და არაინდივიდუალური გარემოს გამო (J. Williamson, 2010).

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესი დაცული უნდა იყოს ოჯახის მხარდაჭერით. ოჯახის მხარდამჭერი მომსახურება აძლიერებს და ინარჩუნებს ოჯახის მთლიანობას. მას შეუძლია მშობლების კომპეტენციების ჩამოყალიბება და ოჯახის ცხოვრების ხარისხის გაზრდა, რაც აისახება ბავშვების მდგომარეობაზე (EuroChild, 2013). ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების ეფექტიანობის მტკიცებულებები ძირითადად მოიპოვება მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. მათი დადებითი გავლენა დასტურდება დაბადების რეგისტრაციაზე, ბავშვთა შრომაზე, ბავშვთა ქორწინებასა და ოჯახების დაშლის პრევენციაზე. ამასთანავე, სიღარიბის შემცირების სტრატეგიებს გავლენა აქვთ ბავშვთა

ძალადობის შემცირებაზე (Barrientos A.J., 2013). ხანგრძლივ პერიოდში დაკვირვების მეთოდით განხორციელებულმა ნორვეგიულმა კვლევამ (NOVA, 2009) აჩვენა, რომ სიღარიბე ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებასა და მშობლობაზე, რაც საჭიროს ხდის ოჯახის მხარდამჭერი საჯარო პოლიტიკის არსებობას.

საზოგადოებისათვის საინტერესოა, საქართველოში რამდენად შეძლო რეფორმამ, ეპასუხა არსებული გამოწვევისათვის და დაეკმაყოფილებინა ის საჭიროება, რამაც სათავე დაუდო ალტერნატიული ზრუნვის სისტემის განვითარების რეფორმას. კერძოდ, კვლევის კითხვები უკავშირდება რეფორმის იმ მიმართულების ეფექტიანობას, რომელიც ეხებოდა პრევენცია/რეინტეგრაციასა და ოჯახების გაძლიერებას. ჰქონდა თუ არა და რა ხარვეზები ახალ სისტემას გამოყენებული რესურსების, დამკვიდრებული პროცესებისა და შექმნილი მომსახურებების თვალსაზრისით? ამ კითხვების საპასუხოდ კვლევამ მიზნად დაისახა, შეეფასებინა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება – პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა ძირითადი საჭიროებები და ჩამოყალიბდა რეკომენდაციები ბავშვთა დაცვის არსებული პოლიტიკისა და პრაქტიკის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით. გამოყენების თვალსაზრისით, კვლევა ნიშანდობლივია სამოქალაქო საზოგადოებისთვის ბავშვთა და ახალგაზრდათა უფლებების ადვოკატობისას ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

წინამდებარე სტატია სამი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი მოიცავს დოკუმენტების ანალიზს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. ამ ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ღირებულებებს, უფლებადაცვით დოკუმენტებსა და კარგ პრაქტიკებს გულისხმობს ბავშვთა კეთილდღეობის დაცვა თანამედროვე ეტაპზე; მეორე ნაწილი აღწერს კვლევის მეთოდებს; მესამე ნაწილში კი მოცემულია კვლევის შედეგები და მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ განსხვავდება დღევანდელი პრაქტიკა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს იმ საერთაშორისო სტანდარტებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ უფლებების დაცვას, რომლებსაც საქართველოც აღიარებს.

2. დოკუმენტების ანალიზი

2.1. ბავშვის ოჯახისაგან განცალკევება

2.1.1. ოჯახისაგან განცალკევების მიზეზები

ხშირად სხვადასხვა სოციალური ფაქტორი, მათ შორის, ოჯახური და საზოგადოებრივი სტრესორების კომბინაცია, განაპირობებს ბავშვების მშობლებისგან განცალკევებასა და მათ სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მოხვედრას. ეს ფაქტორებია: მშობლების, ასევე, ბავშვის გარშემო სხვა მზრუნველის არარსებობა, სიღარიბე, უმუშევრობა, უსახლკარობა, ოჯახის წევრების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ოჯახის შემადგენლობის შეცვლა (განქორწინება, მშობლის მეორე ქორწინება), ეთნიკური წარმომავლობა, ოჯახის მიგრაცია, ძალადობა ოჯახში, ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობა და ბავშვის ასოციალური ქცევა. ამ ფაქტორებს შორის, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ერთ-ერთ წამყვან ფაქტორად ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობა სახელდება. გაეროს ბავშვთა ფონდის თანახმად, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები 17-ჯერ უფრო მეტი ალბათობით ხვდებიან ინსტიტუციებში, ვიდრე ჯანმრთელი ბავშვები (Palayret, 2012).

ბავშვის უფლებებზე ზემოაღნიშნული ფაქტორების ნეგატიური გავლენების ნიველირება სახელმწიფოს ერთ-ერთი ამოცანაა თანმიმდევრული ოჯახის გაძლიერების პოლიტიკის დანერგვით (UNICEF, 2010). სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს 24 საათიან ზრუნვაში ბავშვების განთავსების

საფუძვლების დაცვა. 24 საათიან ზრუნვაში ბავშვის განთავსების ლეგიტიმური საფუძვლები, ძირითადად, შემდეგია: ბავშვი არის ძალადობის მსხვერპლი, ან რისკის წინაშე; ბავშვი მიტოვებულია ან ორივე მშობლით ობოლია და არ არსებობს ისეთი პირი, რომელიც იზრუნებს მასზე. სიღარიბის, გაბატონებული ცრურწმენების, შეზღუდული შესაძლებლობისა და სოციალური გარიყულობის გამო არ უნდა ხდებოდეს ბავშვის ოჯახისგან განცალკევება. ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების, ფინანსური ტრანსფერების, სოციალური საცხოვრისისა და სიღარიბის დაძლევის სხვა ზომების მეშვეობით ოჯახებმა უნდა შეძლონ, გაუმკლავდნენ ცხოვრებისეულ სირთულეებს.

2.1.2. ოჯახისგან განცალკევებულ ბავშვებზე ზრუნვის ფორმები

ინსტიტუციური ზრუნვა

დღესდღეობით თანხმდებიან იმაზე, რომ ინსტიტუციური ზრუნვა არ შეესაბამება უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას (Parker, 2011). ინსტიტუციური ზრუნვის კულტურისთვის დამახასიათებელია შემდეგი ელემენტები: დეპორსონალიზაცია, მკაცრი რუტინები, კოლექტიური მოპყრობა და სოციალური გაუცხოება. რაც უფრო დიდი ზომის არის დაწესებულება, ბავშვებს ინდივიდუალური განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის უფრო ნაკლები შანსები აქვთ (Costa, 2012).

ინსტიტუციური ზრუნვის გავლენა გრძელვადიანია და მისი ეფექტები ვლინდება 18 წლის შემდეგაც, როდესაც გარემოსთან ადაპტაციის პრობლემები იჩენს თავს, განათლების მიღებისას და დასაქმებისას (Mare, 2006). ხშირია სკოლის მიტოვება, დაუსაქმებლობა, უსახლკარობა, კანონთან კონფლიქტში ყოფნა, რაც, თავის მხრივ, სიღარიბესა და სოციალურ გარიყულობას განაპირობებს.

ინსტიტუციური ზრუნვა, რომელშიც ასევე იგულისხმება მცირე საოჯახო ტიპის სახლები, ბავშვებისთვის უნდა იყოს უკიდურესი ზომა (COUNCIL OF EUROPE, 2005).

ზრუნვის ალტერნატიული ფორმები

ოჯახისგან განცალკევებული ბავშვებისათვის ინსტიტუციური ზრუნვის ალტერნატივაა ოჯახსა და თემზე დაფუძნებული ზრუნვა (ნათესაური მინდობით აღზრდა ; მინდობით აღზრდა ; ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვის სხვა სახეები; ზედამხედველობის ქვეშ ნახევრად დამოუკიდებელი და დამოუკიდებელი ცხოვრების ფორმები).

ერთი მხრივ, რეზიდენტული ზრუნვა, რომელიც ერთი ინსტიტუციის ფარგლებში ბევრ ბავშვს ემსახურება, უფრო იაფი ჯდება ვიდრე ზრუნვის ალტერნატიული ფორმები, თუმცა ამ შემთხვევაში ზრუნვის სტანდარტების ხარისხი და ბავშვის ფუნდამენტური უფლებები არ არის გათვალისწინებული (Costa, 2012). მეორე მხრივ, დაბალი ხარისხის ინსტიტუციური ზრუნვა სახელმწიფოს გრძელ ვადაში უფრო ძვირი უჯდება სოციალური კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და საჯარო უსაფრთხოების ხარჯების გამო. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ხარისხის ოჯახსა და თემზე დაფუძნებული მომსახურება ძვირია, კომპლექსური და სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის პრიორიტეტი უნდა მიეცეს ბავშვის ცხოვრების ხარისხს (Costa, 2012). ამავე დროს, ბავშვთა მომსახურებების რეფორმა, რომელიც აქცენტს აკეთებს ადრეულ ინტერვენციაზე, ოჯახის მხარდაჭერასა და რეინტეგრაციაზე, საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, დაზოგოს დანახარჯები გრძელვადიან პერსპექტივაში (Costa, 2012).

2.2. ბავშვის ოჯახისგან განცალკევების პრევენცია და ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია

ბავშვზე ზრუნვის სისტემის მთავარი მიზანია ბიოლოგიური ოჯახისგან ბავშვების განცალკევების პრევენცია. ბავშვის ოჯახისგან განცალკევების მთავარი ამოცანა კი მათი კვლავ ოჯახში რეინტეგრაციაა (Costa, 2012).

2.2.1. ოჯახის მხარდამჭერი პოლიტიკები

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა იყოს დაცული ბავშვის ოჯახის მხარდაჭერით (მე-18 მუხლი). კონვენციის მე-9 მუხლი ხაზს უსვამს ოჯახში ცხოვრების უპირატესობას. 27-ე მუხლი აღნიშნავს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს ბავშვიანი ოჯახები მატერიალური დახმარებითა და მხარდაჭერის პროგრამებით. მე-19 მუხლის თანახმად, ბავშვის უფლება დაცული უნდა იყოს ყველა ტიპის ძალადობისგან, აქ ყურადღება გამახვილებულია ისეთი სოციალური პროგრამების დანერგვის აუცილებლობაზე, რომელთა მიზანია პრევენციული ღონისძიებების გატარება, ბავშვიანი ოჯახების დასახმარებლად.

სახელმწიფოსა და ოჯახს შორის ურთიერთობა უმნიშვნელოვანესია ბავშვის უფლებების რეალიზებისათვის. ეს უფლებები უნივერსალურია და მოიცავს ბავშვის განვითარების ყველა ეტაპს. მხარდაჭერა განსაკუთრებით ეფექტიანია ბავშვის ადრეული განვითარებისა და მოზარდობის ეტაპზე (OHCHR, 1989).

ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკისთვის ცენტრალურია პოზიტიური მშობლობის მხარდაჭერა. პოზიტიური მშობლობა ეფუძნება რა ბავშვის უფლებების აღიარებას, გულისხმობს ბავშვზე ზრუნვას, ზედამხედველობას, გაძლიერებასა და არაძალადობრივ აღზრდას (Council of Europe, 2006).

ბავშვზე ზრუნვის პოლიტიკაში მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული საზოგადოების ჩამოყალიბების პრინციპი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს ინვესტიციას ბავშვიან ოჯახებში. ევროპული მიდგომები აქცენტს აკეთებს, ერთი მხრივ, უნივერსალური პოლიტიკების არსებობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, დამატებითი მიზნობრივი პოლიტიკების შემუშავებაზე, რომლებიც ორიენტირებულია მოწყვლად მოსახლეობაზე (Council of Europe, 2006).

ოჯახის მხარდამჭერი პოლიტიკების ამოცანები შემდეგია: შრომის ბაზარზე მშობლების მონაწილეობის მხარდაჭერა; ადრეული ბავშვობის პერიოდში ინვესტირება; ადეკვატური ცხოვრების სტანდარტების შეთავაზება ოჯახებისთვის სხვადასხვა ბენეფიტის კომბინირების მეშვეობით; ბავშვების მხარდაჭერა მონაწილეობა მიიღონ თამაშში, კულტურულ ცხოვრებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში; ოჯახის მხარდამჭერი და ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებების გაძლიერება (Council of Europe, 2006).

2.2.2. ოჯახის მხარდამჭერი მომსახურება

ოჯახის მხარდამჭერი მომსახურება აძლიერებს და ინარჩუნებს ოჯახის მთლიანობას. მას შეუძლია მშობლების კომპეტენციების ჩამოყალიბება და ოჯახის ცხოვრების ხარისხის გაზრდა, რაც აისახება ოჯახში ბავშვების მდგომარეობაზე (EuroChild, 2013). ამ ტიპის მომსახურების მიმართულებებია მშობლების განათლება, ბავშვზე ზრუნვაში, დღის განმავლობაში დახმარება, ოჯახებისთვის სამართლებრივი კონსულტაციები, ოჯახის/ინდივიდუალური თერაპიული მხარდაჭერა და მომსახურებებთან დაკავშირება.

ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების ეფექტიანობის მტკიცებულებები, ძირითადად, მოიპოვება მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. მათი დადებითი გავლენა დასტურდება დაბადების რეგისტრაციაზე, ბავშვთა შრომაზე, ბავშვთა ქორწინებასა და ოჯახების დაშლის პრევენციაზე. ამასთანავე,

სიღარიბის შემცირების სტრატეგიებს გავლენა აქვთ ბავშვთა ძალადობის შემცირებაზე (Barrientos A.J., 2013).

2.2.3. ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერა სოციალური დაცვის კონტექსტში

მშობლობა განსაკუთრებით რთულდება სოციალური გარიყულობის რისკების არსებობისას. ამდენად, ოჯახებისთვის უმნიშვნელოვანესია სოციალური უფლებების გარანტიები. გაეროს ბავშვთა ფონდი ცენტრალურ ადგილს ანიჭებს ოჯახისა და მშობლობის მხარდაჭერას სოციალური დაცვის დღის წესრიგში. ფონდის მიხედვით, სოციალური დაცვა განისაზღვრება როგორც „საჯარო და კერძო პოლიტიკებისა და პროგრამების ერთობლიობა, რომელთა მიზანია პრევენცია, სიღარიბისა და დეპრივაციის გამომწვევი ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობის შემცირება და აღმოფხვრა“ (UNICEF, 2012). სოციალური დაცვის უფლებას ფონდი განმარტავს, როგორც საბაზისო შემოსავალზე, ჯანდაცვის ძირითად მომსახურებებზე, თავშესაფარსა და საცხოვრისზე, წყლისა და სანიტარულ პირობებზე, საკვებსა და განათლების ყველაზე საბაზისო ფორმებზე ხელმისაწვდომობის უფლებას.

უკვე დიდი ხანია არსებობს სოციალური დაცვის მოქმედი სისტემები, მაგრამ, ძირითადად, შედარებით განვითარებულ ქვეყნებში. დღესდღეობით გამოცდილება ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებშიც გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია, სოციალური დაცვის გარკვეული ფორმა არსებობდეს ყველა ქვეყანაში (Global Coalition for Social Protection Floors, 2014).

დღეს იცვლება დისკურსი სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც. უკვე საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აღიარა, რომ სოციალური უთანასწორობა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი საფრთხეა. სოციალური სამართლიანობის არგუმენტები მომგებიანი ხდება როგორც პოლიტიკურ, ისე აკადემიურ დისკუსიებში (Krugman, 2014). სოციალური დაცვის პროგრამები უღარიბესი ქვეყნებისთვისაც კი ხელმისაწვდომია, რამდენადაც ისინი არა მარტო სიღარიბის დაძლევაშია ეფექტური, არამედ ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაშიც (THE ROLE OF EMPLOYMENT AND SOCIAL PROTECTION MAKING ECONOMIC GROWTH MORE PRO-POOR, 2009). არგუმენტები სოციალური პროგრამების პრიორიტეტის წინააღმდეგ (მომჭირნეობის, მთავრობის ფისკალური პასუხისმგებლობის და ა. შ.) არარელევანტურია იმ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში, რომელიც ეკონომიკაში ხასიათდება დეფლაციური და ზრდის ტემპის შენელების ტენდენციებით (Dorfman, 2014). ამ სივრცეში ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდა სოციალური პროგრამების გაფართოებისათვის არა მარტო შესაძლებელი, არამედ სასურველიცაა, ეკონომიკური ზრდისათვის.

2.3. ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკა საქართველოში

საქართველოში რეფორმამდე ზრუნვის ყველაზე ეფექტიან ფორმად დიდი ზომის ინსტიტუციები ითვლებოდა. ამ დაწესებულებაში მცხოვრები ბავშვების 90%-ზე მეტი სიღარიბისა და მისგან წარმოქმნილი პრობლემების, შეზღუდული შესაძლებლობისა და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების არარსებობის გამო მოხვდა. ამ ბავშვთა მხოლოდ 10 %-ზე ნაკლები იყო ორივე მშობლით ობოლი. როგორც ზემო თავებშია განხილული, ქვეყნებში, სადაც სოციალური კეთილდღეობის სისტემები ეფექტიანი, ბავშვი სახელმწიფო ზრუნვაში მხოლოდ მას შემდეგ ხვდება, როდესაც ყველა საშუალება ბავშვის ოჯახში დასახმარებლად ამოწურულია. ეს არის „გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის“ მთავარი პრინციპი. საქართველო აღნიშნულ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა, რითაც სათავე დაედო ქვეყანაში ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმას, რომელიც აქტიურ ფაზაში 2004 წლიდან შევიდა (ნამიჭეიშვილი, ს., & მგელიაშვილი, მ. 2010).

საქართველოში, ბავშვთა კეთილდღეობის დღევანდელი სისტემა არსებითად ცენტრალიზებული

ხასიათისაა. 2013 წლის ჩათვლით, ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის მთავარ წარმმართველ პოლიტიკად რჩებოდა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, რომლის შედეგადაც საქართველოში დიდი ზომის ინსტიტუციები (ბავშვთა სახლები, სკოლა-პანსიონები) დაიხურა და ისინი ზრუნვის ალტერნატიული ფორმებით (მინდობითი აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლები) ჩანაცვლდა. ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და პოლიტიკის დოკუმენტები, როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკის დონეზე, ხელს უწყობენ ზრუნვის ალტერნატიული ფორმების ფუნქციონირებას (საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები, ბავშვთა კეთილდღეობის სამოქმედო გეგმა 2012-2015 წწ.), მაგრამ რეფორმის მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება ოჯახის დამხმარე და ბავშვთა პრევენციული მომსახურების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა.

„ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წწ. სამოქმედო გეგმა“ ყურადღებას ამახვილებს ზრუნვის სისტემაში მყოფი მოზარდების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობაზე. 2012 წელს საქართველოს მთავრობამ, ასევე შეიმუშავა ახალგაზრდული (14-25 წელი) პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება თანასწორობისა და სოციალური ინტეგრაციის პრინციპებს. თუმცა არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი, მწყობრი კონცეფცია, რომელიც დაეხმარება მოზარდს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ათვისებასა და ზრუნვიდან გასვლის შემდეგ საზოგადოებაში ინტეგრაციაში.

ბავშვთა დაცვა ძალადობისა და უგულებელყოფისაგან „ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წწ. სამოქმედო გეგმის“ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. 2010 წელს ხელი მოეწერა სამი სამინისტროს (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერების და შინაგან საქმეთა სამინისტროების) ერთობლივ ბრძანებას „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანება აყალიბებს ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა იდენტიფიცირებისა და მიმართვიანობის მექანიზმებს და ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, სახავს რეაგირების სტრატეგიას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლიდან საფუძველი ჩაეყარა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის მომსახურების განვითარებას (სამოქმედო გეგმა, 2012-2015, მიმართულება #2, პუნქტი 2.8). დღევანდელი მდგომარეობით, არსებით სირთულეს შემთხვევისათვის ძალადობის კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს პრაქტიკაში (SoS Children's Villages Georgia and GASW, 2012). ასევე, ბავშვზე ძალადობის მიმართვიანობის ერთ-ერთ ბარიერს ქმნის ზოგადად, ქვეყანაში არსებული გარემო, რომელიც ძალადობისადმი ტოლერანტულადაა განწყობილი (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013).

3. მეთოდოლოგია

3.1. კვლევის მეთოდები

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები, კერძოდ, ა) დოკუმენტების ანალიზი; ბ) ფოკუს–ჯგუფები, რომლებიც ჩატარდა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის სოციალური მომსახურების მენეჯერებთან, პრაქტიკოსებსა და ბენეფიციარებთან; გ) ექსპერტული ინტერვიუები განხორციელდა სფეროს ექსპერტებთან, კერძოდ, მთავრობის წარმომადგენლებთან, პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემქმნელებსა და გადაწყვეტილების მიმღებებთან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

3.2. კვლევის მონაწილეები, შერჩევა

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის მთავარმა აქტორებმა, კერძოდ, ჩატარდა ექსპერტული ინტერვიუ 15 რესპონდენტთან და 10 ფოკუს–ჯგუფი მომსახურების მენეჯერებსა და პრაქტიკოსებთან (სულ 37 მონაწილე) და ბენეფიციარებთან (სულ 44 მონაწილე).

ექსპერტების გამოკითხვის დროს შერჩევა ეფუძნებოდა მიზნობრივ შერჩევას, კერძოდ კი, მსჯელობით (დანიშნულებით) შერჩევის პრინციპებს.

ბენეფიციარებისა და მათი მშობლების ფოკუს–ჯგუფების მონაწილეები შეირჩნენ ალბათურად სამიზნე ჯგუფებიდან. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ შეირჩნენ მხოლოდ თბილისის რაიონების ბენეფიციარები.

3.3. კვლევის შედეგები

3.3.1. აქტორების საერთო ხედვები და მიდგომები

სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელებს მსგავსი ხედვები აქვთ ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული პრობლემების თაობაზე. ამას ხელს უწყობს ამ სექტორებს შორის კოორდინირებული მუშაობის გამოცდილება. მათი ხედვების საერთო საფუძველია ბავშვის უფლება, გაიზარდოს ოჯახში ან ოჯახთან მიახლოებულ გარემოში, აღიარებენ რა „ოჯახის უპირატეს როლს ბავშვის ცხოვრებაში“.

ამ მხრივ, განსხვავებული სურათი გვაქვს საპატრიარქოს სოციალურ სამსახურში, რომლის მიდგომებში ვლინდება მეტი აქცენტი ოჯახის ჩანაცვლებაზე, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებენ ოჯახის „ჩაუნაცვლებელ როლს“ ბავშვის აღზრდის პროცესში. იკვეთება რიგიდული დამოკიდებულება საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაციისადმი. საპატრიარქოს სოციალური სამსახურის წარმომადგენლის აზრით, ეს პროცესი „რთული განსახორციელებელი იქნება საპატრიარქოსთვის“, რადგან „ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ ინსტიტუციებში, გრძნობენ, რომ ყველაზე უახლოესები თვითონ არიან ერთმანეთისთვის, ნათესავებად აღიქვამენ ერთმანეთს“ და მათთვის ალტერნატიული მომსახურების შეთავაზება, მაგალითად „მცირე საოჯახო ტიპის სახლებში გადანაწილება, ისეთივე ტრავმა იქნება, როგორც, დედისაგან რომ შვილი მოწყვიტო“. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ამ სახლებში მცხოვრები ბავშვების უმრავლესობას ჰყავთ მშობლები“, რომლებიც სწორედ „სიღარიბისა და ოჯახის მთლიანობის შესანარჩუნებლად არარსებული მხარდაჭერის გამო აბარებენ ბავშვებს ამ სახლებში“. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს საპატრიარქოს დაწესებულებებში ბავშვების განთავსება სოციალური მომსახურების სააგენტოს გვერდის ავლით ხდება, ისმის კითხვა, რამდენად ეფექტიანია „ჭიშკრის დარაჯობის“ პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ბავშვების განთავსების საფუძვლების მკაცრი დაცვით უნდა მოხდეს 24 საათიან ზრუნვაში/ზრუნვიდან ბავშვების განთავსება/გამოსვლა. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მიხედვით, ამ პოლიტიკის „ამოსავალი ის არის, რომ სოციალური დახმარებისა და მომსახურების მიწოდების მთავარი მიზანი ბავშვის ოჯახში შენარჩუნებაა, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული რესურსი ბავშვის ოჯახის გაძლიერებისათვის, რათა ოჯახმა თავად შეძლოს შვილზე ზრუნვა“. ეს უკანასკნელი პრინციპი კი უგულებელყოფილია საპარტიარქოს სოციალური სამსახურის მიერ.

მიუხედავად ხედვების სიახლოვისა და თანამშრომლობის გამოცდილებისა, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობას პრობლემებიც ახლავს. ხშირად, სახელმწიფო ვერ ხარჯავს სხვადასხვა სოციალურ პროგრამაზე გამოყოფილ ფულს, მაგრამ არ ქირაობს არასამთავრობო ორგანიზაციების მომსახურებას. ასევე, სახელმწიფო აწესებს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებს, რაც ერთი

მხრივ, მისასალმებელია, თუმცა მეორე მხრივ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო „არ გამოყოფს შესაბამის ფინანსურ მხარდაჭერას, რაც არასამთავრობო მომსახურებას მისცემს საშუალებს დაიცვას ზრუნვის სტანდარტები“. როგორც თავად არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის არასაკმარისი კოორდინაციაც ხელს უშლის ეფექტიან თანამშრომლობას. „კოორდინირებული მუშაობა და ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციას შორის კვლავ გამოწვევაა“, მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია ბავშვთა და ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების კოალიცია, რომელიც აერთიანებს 50-მდე ორგანიზაციას და რომლის ერთ-ერთი დანიშნულება სწორედ კოორდინაციის გაუმჯობესებაა.

ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობა, მათი კეთილდღეობის შესახებ, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აღიარებული პრინციპია როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო აქტორების მიერ. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდები გამოთქვამენ უკმაყოფილებას მათი მონაწილეობის ხარისხის შესახებ მათივე ცხოვრების დაგეგმვაში და აღწერენ პრაქტიკას, როცა “არავინ არაფერს გეკითხება“, მონაწილეობა არათუ წახალისებულია, „ კითხვებზე პასუხსაც არ გცემენ“ და ამასთან დაკავშირებით „პროტესტს ცუდ ქცევად გითვლიან“.

3.3.2. სისტემის ხარვეზები ადამიანური რესურსის თვალსაზრისით

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ხერხემალს წარმოადგენს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული 250- მდე სოციალური მუშაკი, რომლებიც 22 მიმართულებით მუშაობენ. მიუხედავად ამისა, სოციალური მუშაკის ინსტიტუტი საჭიროებს განვითარებას. დღეს აღნიშნული სამსახური ვერ პასუხობს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის წინაშე არსებულ გამოწვევებს. სოციალური მუშაკების, როგორც რესურსის, არასაკმარისი რაოდენობა, რთული სამუშაო პირობები, კადრების გადინება და უწყვეტი განათლების ხელმიუწვდომლობა განაპირობებს მათი ინტერვენციების სისუსტეს. სოციალურ მუშაკთა სახელმწიფო მოხელის ბიუროკრატიული ფუნქცია ზღუდავს მათი ინტერვენციების მრავალფეროვნებას, ხოლო გადატვირთული სამუშაო გრაფიკი საფრთხის ქვეშ აყენებს მომსახურების ხარისხს. თავად სოციალური მუშაკები აცნობიერებენ რა აღნიშნულს, („ხშირად ერთ სოციალურ მუშაკს დიდ ქალაქებში 100-მდე შემთხვევაზე უწევს მუშაობა, ასეთ პირობებში შეუძლებელია ხარისხზე საუბარი“) „პროფესიული გადაწვის ზღვარსაც კი გასცდნენ“. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები თვლიან, რომ სახელმწიფო სოციალური მუშაკები მცირე, თუმცა ხელმისაწვდომ, ოჯახის მხარდამჭერ რესურსსაც არ იყენებენ ხშირ შემთხვევაში, რადგან „ეშინიათ პასუხისმგებლობის აღების და ურჩევნიათ, არსად არ ჩართონ ბავშვი“.

ერთ-ერთ პრობლემად იკვეთება მზრუნველის ინსტიტუტის განვითარება. მზრუნველები, რომლებიც მუშაობენ ოჯახის ჩამნაცვლებელ მომსახურებაში, არიან „ადამიანები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მუშაობენ ბავშვებთან, მინიმალური ანაზღაურებით და შეზღუდული მხარდაჭერის პირობებში“. პრაქტიკოსები საუბრობენ მზრუნველების კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ სირთულეებზეც, როდესაც „მზრუნველებმა არ იციან, როგორ იმუშაონ ბავშვებთან, რომელთაც ტრამვული ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ და რთული ქცევებით ხასიათდებიან“, რადგან „ნაკლებად კეთდება აქცენტი მათ პროფესიულ მომზადებაზე ამ მიმართულებით“. აღსანიშნავია, რომ ბავშვთა უმრავლესობას, რომელიც ოჯახის ჩამნაცვლებელ ალტერნატიულ ზრუნვაში ხვდება, სწორედ ასეთი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ.

3.3.3. სისტემის ხარვეზები პროცესის თვალსაზრისით

პრევენციული მიდგომა

დღევანდელი ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა რეაქტიულია. სახელმწიფოს მხრიდან ვერ ხერხდება

რისკჯგუფის ბავშვებისა და ოჯახების გამოვლენა. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ დღევანდელი მდგომარეობით, სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკის ინსტიტუტს აქვს რეაქტიული ხასიათი, მიუხედავად იმისა, რომ „სოციალური მუშაკების სამუშაო აღწერილობაში არის აღნიშნული „აუთრიჩის“ კომპონენტი“. სისტემა „რეაგირებს მხოლოდ შემოსულ მომართვებზე“ და არ მიმდინარეობს მუშაობა ახალი მომართვების მოსაძიებლად თემში. ეს, თავის მხრივ, ზღუდავს რისკჯგუფის ბავშვთა დროულ იდენტიფიკაციასა და პრევენციულ საქმიანობას. ამასთან, სახელმწიფო ვერ იყენებს ეფექტიანად არსებულ რესურსებს, მაგალითად, სოციალურ აგენტებს, რომლებიც სოციალურად დაუცველ ოჯახებთან მუშაობენ. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგნელების მოსაზრებებით, რადგან დღესდღეობით სახელმწიფოს სოციალური მუშაკების საკმარისი რესურსი არ გააჩნია, უნდა შეიქმნას რეფერირების ისეთი სისტემა, რომელშიც „სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური აგენტი იქნება ჩართული, „რადგანაც ყველაზე მეტად სწორედ სოციალური აგენტებისთვის არის მისაწვდომი ყველაზე მოწყვლადი ოჯახები“.

ასევე ვლინდება, პირველადი ჯანდაცვის და სამშობიარო სახლების ჩართულობის საჭიროებაც ოჯახისგან ბავშვის დაშორების პრევენციის უზრუნველყოფაში. პრაქტიკოსების აზრით, „წლების განმავლობაში სამედიცინო პერსონალის მიერ მანკიერ პრაქტიკას ლომის წილი ჰქონდა და აქვს ბავშვების ოჯახებისგან დაშორების საქმეში“, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობისა და ჯანმრთელობის პრობლემების არსებობის შემთხვევაში“. იკვეთება სოციალური სამსახურის დანერგვის აუცილებლობა პირველადი ჯანდაცვის ობიექტებსა და სამშობიარო სახლებში, რათა მოხდეს სოციალური რისკების დროული და ეფექტიანი ინდენტიფიცირება.

პრევენციული კომპონენტის გაძლიერების კუთხით გამოიკვეთა სკოლების ჩართულობის საჭიროებაც. „სკოლა ერთ-ერთი სუსტ რგოლად გვევლინება ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში, სადაც პრევენციული მიმართულები მუშაობა საერთოდ არ მიმდინარეობს“,– აღნიშნავენ ექსპერტები. პრაქტიკოსების მიხედვით, სკოლებში ვლინდება პრობლემები რთული ქცევის ბავშვების მიმღებლობასთან დაკავშირებითაც, როცა „სკოლა ცდილობს თავიდან მოიცილოს ბავშვი, რომელიც პრობლემებს ქმნის, რათა ამით სკოლის იმიჯი არ დაზარალდეს“, ხოლო არსებული მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს სკოლას იმუშაოს ბავშვსა და ოჯახთან პრაქტიკულად არაეფექტიანია.

დისკრიმინაციის პრობლემა

ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის პრევენციული მიდგომის განხორციელების პროცესში პრობლემაა ბავშვთა ბიოლოგიური ოჯახების დისკრიმინაცია. ერთი მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკა მთავარ ამოცანად სახავს ბავშვის ოჯახში შენარჩუნებასა და ოჯახის გაძლიერების მექანიზმების განვითარებაზე მუშაობას. ამ დროს საქართველოში ბავშვების დეინსტიტუციონალიზაციისა და ოჯახურ გარემოში აღზრდისთვის ბიოლოგიური ოჯახი, მეურვე ან მზრუნველი იღებს თითქმის ხუთჯერ ნაკლები ოდენობის თანხას მინდობით აღმზრდელ ოჯახთან შედარებით. ეწინააღმდეგება რა კონსტიტუციის მე–14 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორი მოპყრობის პრინციპს, სახალხო დამცველის ოფისმა ეს შეაფასა კიდეც უთანასწორო მოპყრობის თვალსაჩინო შემთხვევად. თუ სახელმწიფოს დეკლარირებული მიზანი ბავშვის კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში მათი დეინსტიტუციონალიზაცია და მიტოვების პრევენციაა, აშკარაა, რომ ამ მიზნის მისაღწევად მშობლისთვის უფრო ცუდი პირობების შეთავაზება, ვიდრე უცხო ოჯახისთვის, მიზნის მიღწევის გონივრულ საშუალებას არ წარმოადგენს. მეორე მხრივ, დადებით შეფასებას იმსახურებს სახელმწიფოს მიერ „რეინტეგრაციის წესის“ დამტკიცება. აღნიშნული წესის მიხედვით, რეინტეგრირებული ოჯახები მინიმუმ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად მიიღებენ სახელმწიფოსგან შემწეობას (თვეში 90 ლარი). ასევე, პოზიტიური ნაბიჯია სახელმწიფოს მიერ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი დახმარების ფონდის შექმნა, რომლის მიზანია კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა ბავშვზე ზრუნვის პროცესში, თუმცა, ექსპერტების აზრით, „ფონდი მოქნილად ვერ ითვალისწინებს ბავშვისა და ოჯახის ინდივიდუალურ

საჭიროებებს“, როგორც ეს ხდებოდა 2011-2013 წლებში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მართული პრევენციის ფონდის მიერ ბავშვზე ზრუნვის მომსახურებისა და სისტემის გაძლიერების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდებოდა ამერიკის განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით. ახალგაზრდებიც აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო, „ვისაც რა საჭიროება აქვს, იმით უნდა დაეხმაროს... ზოგისთვის ეს არის ბინის ქირა, სხვისთვის - ავეჯი, ზოგს, უბრალოდ ბავშვის რჩენა უჭირს“.

არსებობს სხვაგვარი ტიპის დისკრიმინაციის პრობლემაც. ბოშა ბავშვებისა და მათი ოჯახების დისკრიმინაცია გავრცელებული პრაქტიკაა და გამოიხატება სახელმწიფო მომსახურებაზე მათთვის ხელმისაწვდომობის შეზღუდვაში. „ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო არც კი რეაგირებს მომართვაზე, რომელიც ბოშა ბავშვებს ეხება, მხოლოდ იმიტომ რომ ბოშები არიან“.

სახელმწიფო ზრუნვის თვალსაზრისით, მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები დისკრიმინირებულნი არიან მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბავშვებთან შედარებით. განსხვავებით მინდობით აღსაზრდელებისაგან, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბავშვებს ხელი მიუწვდებათ მართალია მწირ, მაგრამ რიგ მომსახურებაზე ზრუნვის სისტემიდან გასვლისთვის მოსამზადებლად. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მართავენ მცირე საოჯახო ტიპის სახლებს, უფრო აქტიურად ცდილობენ, იზრუნონ აღსაზრდელების მომავალი ცხოვრების შესაძლებლობების შექმნაზე, ვიდრე ამას აკეთებს სახელმწიფო, რომელიც მართავს მინდობით აღზრდას. საჭიროა, სახელმწიფო სთავაზობდეს ამ ბავშებს დამატებით მომსახურებას, რომელიც მათ ოჯახებს დაეხმარება აღსაზრდელების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებაში.

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში კვლავ მოუგვარებელ პრობლემად რჩება ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ხელშეწყობა და მათი წარმატებული ინტეგრაცია საზოგადოებაში. სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ახალგაზრდების აზრით, სახელმწიფო „არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბავშვებმა 18 წლის შემდეგ დამოუკიდებლად შეძლონ ცხოვრება“. როგორც გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტი აღნიშნავს, სამზრუნველო სისტემაში განთავსებული ბავშვები ზრუნვის სისტემიდან გასვლის შემდეგ ცალკე ქვეკლასს ქმნიან და მნიშვნელოვან პრობლემებს უპირისპირდებიან საზოგადოებაში ინტეგრაციის დროს. ასეთი სტატუსი, პირველყოვლისა, უკავშირდება ზრუნვის სისტემიდან გამოსული ახალგაზრდებისათვის საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამების ნაკლებობას.

დეცენტრალიზაციის საჭიროება

იკვეთება მუნიციპალური სოციალური მომსახურების რეფორმირების აუცილებლობაც, კერძოდ, რისკჯგუფების იდენტიფიცირებისა და პრევენციული, ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების განვითარების მიმართულებით. დღეისათვის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური ნაკლებად პასუხობს მოქალაქეთა განსხვავებულ საჭიროებებს. იკვეთება აუცილებლობა, რომ სოციალური მუშაკები არა რაიონულ, არამედ სოფლებისა და თემის დონეზე მუშაობდნენ, რათა მათ ადრეულ ეტაპზე გამოავლინონ რისკი და ბავშვს და ოჯახს ადეკვატური მხარდაჭერა აღმოუჩინონ. სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის დეპარტამენტის წარმომადგნელების აზრით, რომელსაც ექსპერტებიც იზიარებენ, „სწორედაც თვითმართველობას უკეთესად შეუძლია რისკჯგუფის ბავშვების გამოვლენა თემების დონეზე და შემდეგ საჭიროებისამებრ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოში გადამისამართება... ადგილობრივ თვითმმართველობებს უნდა ჰყავდეთ სოციალურ მუშაკი, რომელიც მედიატორისა და სოციალური ადვოკატის ფუნქციას შეასრულებს. ეს იქნება პირველადი სოციალურ ადვოკატობა, შემთხვევისთვის სწორი მიმართულების მიცემა”. თავად მუნიციპალიტეტის სამსახურის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ „ამ მიმართულებით არ არიან ჩართულნი არც ერთ სამუშაო ჯგუფში“, თუმცა მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სოციალური მუშაკის მომსახურების დეცენტრალიზაციას შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერით უზრუნველყოფის პირობებში.

3.3. 4. სისტემის ხარვეზები მომსახურების თვალსაზრისით

რისკის ჯგუფების ბავშვთა მომსახურება

სახელმწიფოს მხრიდან რისკის ჯგუფების ოჯახთათვის შეთავაზებული მხარდამჭერი მომსახურება საკმაოდ მწირი და ძნელად ხელმისაწვდომია, თუმცა მთავარი აქტორები თანხმდებიან, რომ „პრევენციულ და ოჯახის მხარდამჭერ პოლიტიკასა და პროგრამებს უდიდესი როლი აქვთ ბავშვის სამზრუნველო დაწესებულებაში განთავსების პრევენციის დროს“. როგორც „გეითქიფინგის“ პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტი (2012 წ.) აღნიშნავს, „გეითქიფინგი“ შეთანხმებული ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის დამხმარე მომსახურებებსა და დახმარებებზე ხელმისაწვდომობას და იცავს ბავშვს 24 საათიან ზრუნვის სისტემაში განთავსებისაგან. მიუხედავად პოლიტიკის დონეზე დოკუმენტების არსებობისა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ „ოჯახებისათვის დამხმარე და პრევენციული პროგრამების რაოდენობა მწირია და შეზღუდულ ხასიათს ატარებს“. ეს პრობლემა მეტად გამოხატულია თბილისის გარეთ, რეგიონებში, „განსაკუთრებით კი - მაღალმთიან რეგიონებში“.

ამავე დროს, სოციალური მომსახურების პრაქტიკოსები და თეორეტიკოსები თანხმდებიან, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საჭიროებაა მშობლებისთვის ისეთი გამაძლიერებელი მომსახურების მიწოდება, რომელიც დაეხმარება ოჯახებს მშობლის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში „ოჯახებს ესაჭიროებათ ბავშვის აღზრდისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება და აღზრდის პროცესში ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებების, ბავშვზე ორიენტირებული ღირებულებებისა და მიდგომების სწავლება“.

ამ საჭიროებებს აღიქვამენ როგორც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, ისე სახელმწიფო ზრუნვაში მყოფნი. მათ სურთ მშობლებთან ერთად ცხოვრება და, ამასთან, უნდათ, რომ სახელმწიფო ზრუნავდეს მათი ოჯახების გაძლიერებაზე. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს დასაქმებასა და პროფესიულ მომზადებას. ბავშვები და ახალგაზრდები ყურადღებას ამახვილებენ აღზრდის საკითხებში მშობლების ცნობიერების ამაღლების საჭიროების შესახებ „საჭიროა მშობლებს გააგებინონ, რომ არაა კარგი ბავშვზე ძალადობა იხმარო“, ასევე, ყურადღებას ამახვილებენ მშობლების ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაზე, რომ მშობლები „უკეთესად უგებდნენ თავიანთ შვილებს“.

დეინსიტუციონალიზაცია და ალტერნატიულ მომსახურებათა სიმწირე

ალტერნატიულ მომსახურებათა სიმწირე მნიშვნელოვან სირთულეს ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების პრობლემას არასათანადო ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს მხრიდან. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ "დამაფიქრებელია რეფორმის ტემპი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის. ჯერაც არ დახურულა დიდი ზომის დაწესებულებები ამ პირთათვის“. რეგიონებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ეფექტიანი იდენტიფიკაცია და მათთვის დიდი ზომის დაწესებულებების დახურვა უდავო პრობლემაა. საახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლის მიხედვით, "მხოლოდ ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები არიან იდენტიფიცირებულები, რომლებსაც სტატუსი აქვთ დადგენილი და იღებენ ფულად კონპენსაციას და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ ეს ბაშვები ჩანან სოციალური სფეროსთვის. დღეს მხოლოდ 8890 ბავშვი ატარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსს, ხოლო დანარჩენები, განსაკუთრებით რეგიონებში, იდენტიფიცირებულიც კი არ არიან და, შესაბამისად, ვერ იღებენ სახელმწიფო დახმარებას“. გადაუდებელ აუცილებლობად იკვეთება, ასევე, ჩვილ ბავშვთა სახლის დახურვის და ალტერნატიული ზრუნვის შესაძლებლობების შეთავაზებაც ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ჩვილებისთვის.

დასაქმების ხელშემწყობ მომსახურებათა საჭიროება

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ეფექტიანობის მიღწევისათვის, ქვეყანაში მნიშვნელობა აქვს, როგორც ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისე სახელმწიფოს როლის გაძლიერებას სამიზნე ოჯახების დასაქმების მიმართულებით. ხშირად, სოციალური დახმარების მიმღები ოჯახები უარს ამბობენ დასაქმებაზე. ძირითადად, ამგვარი „სიზარმაცის“ მიზეზი სოციალურ დახმარების მოხსნის შიშია. მათ მიერ წამოწყებული მცირე ეკონომიკური აქტივობა და ხელმისაწვდომი დასაქმების შესაძლებლობებიც (რომელიც არ არის გრძელვადიანი და მდგრადი) შესაძლოა, გახდეს სოციალური დახმარების დაკარგვის მიზეზი. „რეალურად სახელმწიფო ხელ-ფეხს გიბოჭავს რაიმე აკეთო, იმუშავო, მუდმივ შიშში ხარ, რომ იმ მცირე სტაბილურ დახმარებასაც მოგიხსნიან“, – აღნიშნავენ მშობლები. ამ პრობლემის გადაწყვეტის გარდა საჭიროა ისეთი აქტიური სამუშაო ბაზრის პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს ოჯახების გააქტიურებას, მათი ცნობიერების შეცვლას, მცირე ბიზნესში ჩართულობას და ჯამში, მათ გაძლიერებას.

4. დასკვნა

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასებისას გამოიკვეთა საჭიროებები სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებთან მიმართებით.

4. 1. სახელმწიფო სექტორი

სახელმწიფოსთან მიმართებით გამოიყო ძირითადი კატეგორიები, როგორებიცაა სისტემური საკითხები, ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები.

4.1.1. სისტემური საკითხები

ბავშვთა კეთლდღეობის სფეროში, ყველაზე მნიშვნელოვანად არის აღიარებული სისტემური მიდგომების მხარდაჭერა, პროაქტიულობა, მულტიდისციპლინური, მუდისექტორული და ეკოსისტემური მიდგომების გამოყენება. არანაკლები ყურადღებაა გამახვილებული ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის საკანონმდებლო ბაზის დახვეწაზე, განსაკუთრებით ყურადღება ეთმობა სხვადასხვა რელიგიური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფი ბავშვთა სახლების სამართლებრივ რეგულირებას სახელმწიფოს მიერ. საინტერესოა, რომ დიდია აქცენტი სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ ღონისძიებების გატარების საჭიროებაზე (როგორიცაა ოჯახების ფინანსური გაძლიერება, განსაკუთრებით, რეინტეგრირებული ოჯახების სოციალური შემწეობის გაზრდა) და ქვეყანაში ზოგადი სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესება. გამოიკვეთა სოციალურ მუშაკთა კადრების გაზრდის აუცილებლობა, მათი პროფესიული უნარების დახვეწისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების საჭიროება, ასევე, მზრუნველის ინსტიტუტის განვითარება. ამკარად იკვეთება მუნიციპალიტეტების დონეზე სოციალური მუშაობის სამსახურის განვითარების ფოკუსი. ყოველივე ზემოთ დასახელებულის განსახორციელებლად კი ხაზგასმულია სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის მნიშვნელობა და მტკიცებულებებზე, კვლევებზე დაფუძნებული რეფორმების მხარდაჭერა.

4.1.2. ოჯახის გაძლიერებასთან დაკავშირებული საკითხები

ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ რესპონდენტების მიერ „ოჯახის კატეგორიის“ ცალკე გამოყოფა და წინ წამოწევა მიუთითებს ოჯახის მხარდაჭერის გაძლიერების როლზე ბავშვთა კეთილდღეობის, ბავშვზე ზრუნვის ხარისხიანი სისტემის უზრუნველსაყოფად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახის

გაძლიერების ქვეშ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ოჯახების ფსიქოლოგიურ, ცნობიერების დონეზე მხარდაჭერას, ვიდრე ფინანსურ, მატერიალურ ინტერვენციებს. დანახულია იმის საჭიროება, რომ ოჯახი არ გახდეს სახელმწიფოზე ფსიქოლოგიურად მიჯაჭვული და არ „გაზარმაცდეს". თუმცა ამავდროულად ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ ღონისძიებების გატარების საჭიროებაზე (როგორიცაა რეინტეგრირებული ოჯახების სოციალური შემწეობის გაზრდა). აქცენტები კეთდება მარტოხელა მშობლისა და მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერაზე. გამოიკვეთა, რომ პრევენციული მიმართულების გაძლიერება პირდაპირ უკავშირდება ოჯახების გაძლიერებას მათთვის დივერსიფიცირებული (მატერიალური, ფსიქო-სოციალური, სამედიცინო, კვებითი, რეკრეაციული და სხვა დახმარებები), ოჯახზე მორგებული მომსახურებათა განვითარების გზით.

4.1.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მიმართებაში იკვეთება საჭიროება, განვითარდეს და მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს მრავალფეროვანი მომსახურება. ხაზგასმულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ადრეული ინტერვენციების მნიშვნელობა, სკოლამდელი დღის ცენტრებისა და ბაგა-ბაღების განვითარების საჭიროება და ამ მომსახურებებში მათი ჩართულობა. ასევე, ფორმალურად არსებული ინკლუზიური განათლების პრაქტიკაში წარმატებით განხორციელება როგორც ურბანულ, ისე რურარულ დონეზე. კანონმდებლობის დახვეწაში რესპონდენტები გულისხმობდნენ, რომ სოციალურად დაუცველობის სტატუსი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მომსახურების მიღება არ იყოს დაკავშირებული. ასევე, დასახელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ინსტიტუციების საკითხის მოგვარების საჭიროება. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების უმრავლესობა აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საჭირო მომსახურების შესახებ ცოდნის გაღრმავების მნიშვნელობას.

4.1.4. ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები

ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან დაკავშირებით აღიარებულია „ამ ბავშვების არსებობის პრობლემა", მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრის გზები ნათლად არ არის გააზრებული. ძირითადად, თავად ბენეფიციარებისგანა წამოსულია იდეა, რომ საჭიროა მათი ოჯახების დახმარება ფინანსური მხარდაჭერით, მშობლის უნარების სწავლებისა და მოძალადის რეაბილიტაციით. ქუჩაში მყოფი ბავშვების მიერ ხაზგასმულია, რომ მათთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხო, ძალადობისაგან დაცული გარემოს უზრუნველყოფა. ძალადობრივი გარემო არსებობს არა მხოლოდ მათ ოჯახებში, ასევე, ქუჩაში, სადაც უხდებათ ცხოვრება. გამოკვეთილია იმის საჭიროება, რომ ასეთი ბავშვები მოიაზრებოდნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონედ და მათთვის სახელმწიფომ ამ მიმართულებით განახორციელოს პროგრამები.

4.2. არასამთავრობო სექტორი

არასამთავრობო სექტორის როლი გააზრებულია დაუცველი ჯგუფებისათვის მრავალფეროვანი მომსახურებების, ოჯახების პრევენციული პროგრამების პილოტირების კუთხით. ოჯახების პრევენციულ ღონისძიებებში რესპონდენტები გულისხმობდნენ პრევენციული მექანიზმების შემუშავებას, მათ შორის ოჯახების ფსიქოლოგიურ დახმარებას, საგანმანათლებლო კუთხით მუშაობას (ტრენინგები), ბავშვების რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის პროგრამების ხელშეწყობას. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მრავალფეროვანი სათემო მომსახურების პილოტირება-განვითარებაზე. ხაზგასმულია საჭიროება, გაიზარდოს არასამთავრობო სექტორის პროფესიონალიზმი, კოორდინაცია და კონსოლიდაცია ადვოკატირების მიმართულებით, ასევე, დაფინანსების წყაროები, განსაკუთრებით, ხაზგასმულია, კერძო ბიზნესის ჩართულობის მნიშვნელობა.

5. რეკომენდაციები

ძირითადი რეკომენდაციები უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: კოორდინაცია, მომსახურებათა განვითარება, სოციალურ დახმარების გაზრდა, დასაქმების ხელშემწყობ მომსახურებათა განვითარება, განათლება და ცნობიერების გაზრდა და გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა.

5.1.კოორდინაცია

უნდა ჩაეყაროს საფუძველი სისტემატურ დიალოგს სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს შორის ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული გამოწვევების დაძლევის პოლიტიკის საკითხებზე. უნდა მოხერხდეს ამ დიალოგში საპატრიარქოს წარმომადგენლების ჩართვა, რამაც უნდა მიგვიყვანოს სახელმწიფოს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საპატრიარქოს სოციალურ სამსახურებს შორის კოორდინაციის გაძლიერებასთან.

სახელმწიფომ უნდა შემოიღოს ყველა პროვაიდერის (მათ შორის, რელიგიური კონფესიების) მიერ შეთავაზებულ 24-საათიანი ზრუნვის მომსახურებებში ბავშვების განთავსების რეგულირება ("გეითქიფინგის" ეფექტიანობის უზრუნველყოფა).

უნდა გაუმჯობესდეს კოორდინაცია ოჯახის დამხმარე მომსახურებებსა და რეფერალურ სისტემას შორის, რათა სისტემა გახდეს პროაქტიული და შეძლოს პრობლემისადმი სისტემური მიდგომის განხორციელება. ამის მისაღწევად, რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა მოხდეს რისკჯგუფის ბავშვებისა და ოჯახების გამოვლენა.

რისკჯგუფების ეფექტიანად გამოსავლენად იდენტიფიკაციის სისტემა უნდა გახდეს მულტისექტორული. მასში უნდა მონაწილეობდნენ, როგორც მუნიციპალური მომსახურებები (რწმუნებული) და პირველადი ჯანდაცვის ერთეულები (პოლიკლინიკა, სოფლის ექიმი), ასევე, სკოლაც. რისკის ჯგუფი ბავშვებისა და ოჯახების იდენტიფიცირების ფუნქცია უნდა გაიწეროს სოციალური აგენტის სამუშაო აღწერილობაშიც.

5. 2. მომსახურებათა განვითარება

უნდა განვითარდეს ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებებზე მორგებული ოჯახების მხარდამჭერი დივერსიფიცირებული და ხელმისაწვდომი მომსახურებები. იკვეთება ქვემოთ აღწერილი მომსახურების საჭიროება:

- სკოლის ბაზაზე არსებული ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების, კერძოდ კი, ოჯახის კონსულტირების მომსახურების განვითარება რეკომენდირებულია განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც მომსახურების სიმწირეა. აღნიშნულის მისაღწევად უნდა დაინერგოს სკოლის სოციალური მუშაობა. ამ მუშაობის კონცეფცია უნდა აღიარებდეს ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვან სამკუთხედს – ოჯახი, სკოლა და სამეზობლო - შორის თანამშრომლობის განვითარების აუცილებლობას, რაც ხელს შეუწყობს როგორც ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენას, ისე რისკჯგუფ ბავშვთა დროულ იდენტიფიკაციას და მათ დაცვას.

ასევე, რეკომენდებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურების სამსახურში მომუშავე მუშაკების როლის გააქტიურება, მათი სამუშაო აღწერილობის გადახედვა და შესაბამისი პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფა.

-დღის ცენტრის მომსახურების განვითარება 2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის (ბაგა-ბაღის ტიპის მომსახურება) სოფლების დონეზე უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტების მიერ არასამთავრობო სექტორიდან აღნიშნული მომსახურების შესყიდვის პრაქტიკის დამკვიდრებით.

-მუნიციპალიტეტების დონეზე, ასევე უნდა დაინერგოს სოციალური მუშაკის ინსტიტუტი. მუნიციპალური სოციალური მუშაკები ხელს შეუწყობენ თემში რისკის ჯგუფის ბავშვთა იდენტიფიკაციას, რეფერირებას განახორციელებენ თემში არსებულ პრევენციულ მომსახურებაში და უზრუნველყოფენ ბავშვის მიმართვას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალურ მუშაკთან. ხოლო ამ სააგენტოში

არსებული სოციალური მუშაობის ინსტიტუტი უნდა განვითარდეს სპეციალობების მიმართულებით (მაგ. ბავშვთა ძალადობისგან დაცვის საკითხებს მომუშავე სოციალური მუშაკები, მინდობით აღზრდაზე მომუშავე სოციალური მუშაკები და ა.შ.).

5. 3. სოციალური დახმარების გაზრდა

სახელმწიფომ უნდა გაზარდოს ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებისთვის ფინანსური დახმარება, კერძოდ:

-რეინტეგრაციის შემწეობის გაზრდით ბავშვის ბიოლოგიური ოჯახისათვის სახელმწიფომ უნდა აღმოფხვრას უთანასწორო მოპყრობის არსებული პრაქტიკა. პარალელურად, უნდა გაძლიერდეს რეინტეგრირებული ოჯახების მონიტორინგისა და მხარდაჭერის მექანიზმი სახელმწიფო სოციალური სამსახურის მიერ.

-24-საათიან ზრუნვაში მოხვედრის პრევენციის მიზნით სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახებისთვის უნდა დაწესდეს ბავშვზე ცალკე ფულადი სარგებელი (ბენეფიტი). სიღარიბის საზომად შეიძლება აღებული იქნეს სიღარიბის დაძლევის პროგრამის ქულა (მაგ. 57000–ს ქვემოთ). მსგავსი სარგებლის მიმღებ ოჯახებს მონიტორინგი უნდა გაუწიოს სახელმწიფო სოციალურმა მუშაკმა.

-მიზანშეწონილია, მარტოხელა და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სახელმწიფოს მხრიდან დაწესდეს ფულადი დახმარება. იგი სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული პრევენციული პაკეტის მხოლოდ ერთ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს და მოწყვლადი ოჯახების მხარდამჭერ სხვა მომსახურებასთან ერთად, მუდმივ სახელმწიფო მონიტორინგს უნდა ექვემდებარებოდეს.

5.4. დასაქმების ხელშემწყობ მომსახურებათა განვითარება

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ეფექტიანობის მისაღწევად უნდა გაძლიერდეს სახელმწიფოს როლი სამიზნე ოჯახების დასაქმების მიმართულებით. კერძოდ, უნდა განვითარდეს აქტიური სამუშაო ბაზრის პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს ოჯახების გააქტიურებას, მათი ცნობიერების შეცვლას, მცირე ბიზნესში ჩართულობასა და, ჯამში, მათ ეკონომიკურ გაძლიერებას.

5.5. განათლება და ცნობიერების გაზრდა

უნდა გაღრმავდეს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში ჩართული სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საჭირო მომსახურებების სპეციფიკის თაობაზე. უნდა გაიზარდოს საზოგადოების ცნობიერება თემზე დაფუძნებული ალტერნატიული მომსახურების განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

საჭიროა ბოშათა ოჯახებისა და ბავშვების მდგომარეობის შესწავლა და სიტუაციური ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, უკეთ ჩამოაყალიბონ ამ უმცირესობათა ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის სტრატეგია.

სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები ხშირად იცვლიან ზრუნვის ფორმას. ზრუნვის ფორმის ხშირი ცვლილება უარყოფითად აისახება ბავშვის განვითარებაზე. ამ პრობლემის დასაძლევად საჭიროა მისი მიზეზების შესწავლა და კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება.

5.6. უნარების განვითარება

უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო სოციალური მუშაკის ინსტიტუტი, რაც გულისხმობს როგორც სოციალური მუშაკის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას, ისე მათი კვალიფიკაციის გაზრდას. მიღწეულ უნდა იქნეს სოციალური მუშაკების როგორც ადეკვატური რაოდენობა, ისე მათი ანაზღაურების, სამუშაო პირობების, უსაფრთხოებისა და პროფესიული სუპერვიზიის საკანონმდებლო უზრუნველყოფა. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სოციალური მომსახურების სააგენტოში სოციალური მუშაკების ხარისხიანი პრაქტიკა და ადეკვატური, თემზე დაფუძნებული, მომსახურებების განვითარება.

უნდა განვითარდეს მზრუნველების სამუშაო პირობები, კვალიფიკაცია და პროფესიული სუპერვიზია, რათა მათ შეძლონ ძალადობის მსხვერპლ ბავშვებსა და ახალგაზრდებზე ზრუნვა.

უნდა გაძლიერდეს საპატრიარქოს სოციალური სამსახურის პროფესიული შესაძლებლობები, მათ შორის, გამოცდილების გაზიარებით ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მიზნებისა და ამოცანების მიღწევის საქმეში.

5.7. გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბავშვის ჩართულობა მათი კეთილდღეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. მისასალმებელია სხვადასხვა სახელმწიფო უწყების თანამშრომლობა ბავშვთა და ახალგაზრდების მრჩეველთა საბჭოებისა თუ საკონსულტაციო ჯგუფებთან, თუმცა მსგავს მონაწილეობას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი ჩართულობით მანიპულირების რისკი. აუცილებელია, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ბავშვის მომსახურების გეგმასა თუ ინდივიდუალური განვითარების გეგმაში აისახოს ბავშვის აქტიური მონაწილეობა. შესაძლებელია, ბავშვი თავისი ხელით გაკეთებული ჩანაწერებით ამდიდრებდეს გეგმას და თავად გეგმა იყოს ბავშვზე მორგებული.

ბიბლიოგრაფია

Barrientos A.J., B. J. (2013). Social Transfers and Child Protection. Florence: UNICEF Office of Research.

Browne, K. (2009). The Risk of Harm to Young Children in Institutional Care. Save the Children.

Costa, M. (2012, October 1). Opening Doors for Europe's Children. Retrieved from eurochild.org: www.eurochild.org

COUNCIL OF EUROPE. (2005, March 16). COMMITTEE OF MINISTERS, Recommendation. Retrieved from wcd.coe.int: https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=835953

Council of Europe. (2006, December 13). Recommendation (2006)19 Committee of Ministers. Retrieved from wcd.coe.int: https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1073507

Dorfman, J. (2014 , 1 23). Why Some People Oppose Expanding Government Aid To The Poor. Retrieved from forbes.com: http://www.forbes.com/sites/jeffreydorfman/2014/01/23/why-some-people-oppose-expanding-government-aid-to-the-poor/

EuroChild. (2013). Round Table Repot, Family and Parenting Support in Challenging Times . Brussels: EuroChild.

Global Coalition for Social Protection Floors. (2014, January 27). Global Coalition for Social Protection Floors. Retrieved from ifsw.org: http://cdn.ifsw.org/assets/ifsw_22348-2.pdf

Harwin, A. B. (2003). Chaning Minds, Policies and Lives, Improving Protection of Children in Eastern Europe and Central Asia. Gatekeeping Services for Vulnurable Children and Families. UNICEF and World Bank.

J. Williamson, A. G. (2010). Families, Not Orphanages. Better Care Network.

Krugman, P. (2014, JANUERY 9). The War Over Poverty. Retrieved from nytimes.com: http://www.nytimes.com/2014/01/10/opinion/krugman-the-war-over-poverty.html?ref=opinion&_r=1

Mare, B. (2006). Procedure Guide for the Social Integration of Youngsters Leaving the National Care System. Europrint.

NOVA. (2009). Children's level of living - the impact of family economy for children's lives. Oslo and Akershus University College of Applied Sciences.

OHCHR. (1989, November 20). Convention on the Rights of the Child. Retrieved April 28, 2015, from Uited Ntions Human Rights Offfice of High Commissioner for Human Rights: http://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/crc.aspx

Palayret, G. (2012, 10 31). Central and Eastern Europe, Commonwealth of Independent States. Retrieved from unicef.org:

http://www.unicef.org/ceecis/UNICEF_Report_Children_Under_3_FINAL.pdf

Parker, C. (2011). Forgotten Europeans, Forgotten Rights. Retrieved from europe.ohchr.org: http://www.europe.ohchr.org/Documents/Publications/Forgotten_Europeans.pdf

Pillay, A. G. (2012, May 16). Commettee on Economic, Social, and Cultural rights. Retrieved from United nations Human Rights Office of the High Commissioner: http://www2.ohchr.org/english/bodies/cescr/docs/LetterCESCRtoSP16.05.12.pdf

THE ROLE OF EMPLOYMENT AND SOCIAL PROTECTION MAKING ECONOMIC GROWTH MORE PRO-POOR. (2009, May 28). Retrieved from oecd.org: http://www.oecd.org/development/povertyreduction/43514572.pdf

The UNICEF Innocenti Research Centre. (2006). General Comments of the Committee on the

Rights of the Child. Retrieved from unicef-irc.org: http://www.unicef irc.org/publications/pdf/crcgencommen.pdf

UNICEF . (2012). Integrated Social Protection Systems: Enhancing Equity for Chilren. UNICEF

UNICEF. (2010, February 24). Resolution adopted by the General Assembly, Guidelines for the Alternative Care of Children. Retrieved from UNICEF: http://www.unicef.org/protection/alternative_care_Guidelines-English.pdf

UNICEF. (2011, June 28). End placing children under three years in institutions - A call to action. Retrieved from unicef.org: http://www.unicef.org/ceecis/media_17370.html

UNICEF. (2012). Keeping families together. INSIGHTS: CHILD RIGHTS IN CENTRAL AND EASTERN EUROPE AND CENTRAL ASIA.

United Nations. (2006, August 29). General Assembly. Retrieved from unicef.org: http://www.unicef.org/violencestudy/reports/SG_violencestudy_en.pdf

SoS Children's Villages, Georgia & Georgian Association of Social Workers (2012). Child Rights Situation Analysis.

გაეროს ბავშვთა ფონდი. (2013). ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ.

ნამიჭეიშვილი, ს., & მგელიაშვილი, მ. (2010). სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები. (თავი 2).

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2014). სოციალური დაცვის უფლების განხორციელება ყველასათვის - პირველადად მისაღწევი მიზანი ადმიანის უფლებათა დაცვის პროცესში. gasw.org. მოპოვებული http://www.gasw.org/ka.html?start=35-დან

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №2, დეკემბერი, 2015

Journal of Young Researchers, No. 2, December, 2015

ზიანის შემცირების მომსახურების მიმწოდებლების კვლევა საქართველოში

ზურაბ ტატანაშვილი*

დოქტორანტი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლელა სერებრიაკოვა (თანაავტორი)

მაგისტრი, პროექტის მენეჯერი, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

რეზიუმე

უკანასკნელი შეფასების მიხედვით, საქართველოში ნარკოტიკების 45 ათასი ინექციური მომხმარებელია (Sirbiladze & Tavzarashvili, 2012), თუმცა რამდენიმე ექსპერტული შეფასებით, ეს ციფრი მნიშვნელოვნად მაღალია. შესაბამისად, ნარკოტიკებით გამოწვეული ზიანის შემცირება ქვეყნისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ზიანის შემცირება წარმოადგენს ინტერვენციების, პროგრამებისა და პოლიტიკის ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ინდივიდების, თემისა და საზოგადოების დონეზე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობის, სოციალური და ეკონომიკური ზიანის შემცირებისკენ (Rhodes & Hedrich, 2010). ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და ზიანის შემცირების ღონისძებების განხორციელების ერთ-ერთი ყოვლისმომცველი მოდელი ბიოფსიქოსოციალური მოდელია. ეს მოდელი 1977 წელს აღწერა პირველად ჯორჯ ენგელმა (Engel, 1978) და წარმოადგენს მიდგომას, სადაც ინდივიდის ჯანმრთელობა განპირობებულია როგორც ბიოლოგიური, ისე პიროვნული და სოციალური ფაქტორებით. მსგავსი ხედვა გამოყენებულია ნარკოტიკული ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულების აღწერის დროსაც (Ogborne, 2004) (Kumpfer, Trunnell, & Whiteside, 1990).

საქართველოში ხელმისაწვდომია ზიანის შემცირების რიგი მომსახურება, მათ შორის, ნაწილი უსასყიდლოდ და ნაწილი - სახელმწიფოს მიერ თანადაფინანსების, ან პაციენტის მიერ ანაზღაურების საფუძველზე. საერთო ჯამში, მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ როგორც დეტოქსიკაციის მომსახურებით (რომელიც ფიზიკური დამოკიდებულების, აბსტინენციის სინდრომის მოხსნას უზრუნველყოფს), ისე ჩანაცვლებითი თერაპიით (მეთადონი და ბუპრენორფინი). ასევე, უსასყიდლოა ზიანის შემცირების პროგრამების ფარგლებში (ან სხვა სარისკო ქცევის მქონე ადამიანებისთვის) აივ-ინფექცია/შიდსზე გამოკვლევა (და მკურნალობა), ნემსებისა და შპრიცების გაცვლის პროგრამები, რიგი სამედიცინო და არასამედიცინო სახის საკონსულტაციო და საინფორმაციო/საგანმანათლებლო მომსახურება.

წარმოდგენილი კველევა არის იმ სამუშაოს ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც ხორციელდება ნარკოტიკების მომხმარებელთათვის ზიანის შემცირების მომსახურების სტანდარტის შემუშავების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება ზიანის შემცირების მომსახურებები, ქვეყნას არ აქვს ერთიანი სტანდარტიზებული მიდგომა ამ მომსახურებების უზრუნველყოფისადმი. შესაბამისად, მარეგულირებელი პრინციპები და დოკუმენტები გაბნეულია სხვადასხვა დონორის მიერ დაფინანსებული ინიციატივების ფარგლებში. რეგულაციების ნაწილი კი განპირობებულია ცალკეული ორგანიზაციების შიდა პოლიტიკით. თუმცა ეს რეგულაციები მხოლოდ ამ ორგანიზაციის მიერ

* *ელფოსტა: zurabtat@gmail.com*

განხორციელებულ პროექტებში აისახება.

ქვეყანაში ზიანის შემცირების სტანდარტის შემუშავება, ხელს შეუწყობს არსებული პრაქტის „კარგი გამოცდილების“ ინტეგრაციას ქვეყნის დონეზე და დანერგავს ერთიან მიდგომას (სტანდარტს) მომსახურებების უზრუნველყოფის კუთხით როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

საკვანძო სიტყვები: ზიანის შემცირება, სერვისების სტანდარტიზაცია, ნარკოტიკების ინექციური მოხმარება

Abstract

According to the latest estimations there are 45,000 intravenous drug users (IDU) in Georgia. (Sirbiladze & Tavzarashvili, 2012). However, some experts in the field think that this number is underestimated. Due to high prevalence of the behaviour, harm reduction is important for the country.

Harm reduction is combination of interventions, programs and policies targeting health, social and economic harm caused by drug use on individual, community and social levels (Rhodes & Hedrich, 2010). Harm reduction is one of the holistic approaches targeting bio-psycho-social results of drug use. The bio-psycho-social model was first introduced by George Engel in 1977 (Engel, 1978). According to the theory, health condition is the result of biological, psychological and social factors. Similar ideas are emphasised to describe drug addiction (Ogborne, 2004) (Kumpfer, Trunnell, & Whiteside, 1990).

There are number of harm reduction services available in Georgia; some are free of charge, some subsidised by the government and some paid by patients. IDU population can use detoxication service (treating abstinence syndrom caused by physical dependence) and substitution therapy. Screening on HIV, syringe exchange and medical and other consultancy, as well as educational services are also provided.

Presented study is the stage of the project aiming to develop harm reduction standards for services provided in Georgia. Despite the fact, that Georgia has several years of experience of harm reduction provision, there are no unified standards in the country. Therefore, regulatory mechanisms are set up by separate donors and/or service provider organisations. Thus the regulations are only implemented by the authors and their contractors.

Harm reduction standards will promote replication of best practices in the country and unify service framework in qualitative and quantitative measures.

Key words: harm reduction, service standardisation, injecting drug use.

შესავალი

ზიანის შემცირების მიდგომა, სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს და ძირითადად მიზნად ისახავს ბიო-ფსიქო-სოციალური ნეგატიური შედეგების შემცირებას ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ზიანის შემცირების სერვისები 2001 წლიდან არსებობს, ეს სფერო არ არის რეგულირებული და მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები ძირითადად დამოკიდებულია სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის და დონორის მოთხოვნებზე.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია, საქართველოში, ზიანის შემცირების არსებული მომსახურების მოცულობისა და მიწოდების რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების განსაზღვრა.

კვლევის მეთოდებად გამოვიყენეთ ტრიანგულაცია: ლიტერატურული მიმოხილვა, გამჟღავნებული დაკვირვება, ჩაღრმავებული ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მიუხედავად ნარკოსცენის რეგიონალური თავისებურებებისა, მაინც საჭიროა განისაზღვროს მომსახურების სტანდარტები, რომელიც დაეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას შესაბამისი თვისებრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებით.

კვლევა განხორციელდა ზიანის შემცირების საქართველოს ქსელში პროექტის „Более высокое качество обслуживания для лучшей жизни – стандартизация услуг по снижению вреда в Грузии" ფარგლებში ევროკავშირისა და "Международный Альянс с ВИЧ/СПИД в Украине" ფინანსური მხარდაჭერით.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

პირველ რიგში მიმოვიხილავთ ზიანის შემცირების პროგრამებში განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2014 წელს შემუშავებული დოკუმენტი „ძირითად პოპულაციაში აივ ინფექციის პრევენციის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და ზრუნვის გაერთიანებული სახელმძღვანელო" ("Consolidated Guidelines on HIV Prevention, Diagnosis, Treatment and Care for Key Populations") წარმოადგენს განახლებულ და კონსოლიდირებულ მიდგომას ზიანის შემცირების მომსახურების უზრუნველყოფისთვის (World Health Organization, 2014). ეს დოკუმენტი და "WHO, UNAIDS, UNODC technical guide for countries to set targets for universal access to HIV prevention, treatment and care for injecting drug users" (World Health Organization, 2012) ერთობლივად წარმოადგენენ საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს ზიანის შემცირების მომსახურების განხორციელებასთან მიმართებაში. ეს პრინციპები კი ასევე აღირებულია და ინერგება გლობალური ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებულ პროგრამებში და აქტივობებში (World Health Organization, 2012).

ამ დოკუმენტების თანახმად, **ზიანის შემცირების მომსახურების სრული პაკეტი** მოიცავს:

1. ნემსებისა და შპრიცების პროგრამებს;
2. ჩანაცვლებით თერაპიასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სხვა მიდგომებს წამალდამოკიდებულის მკურნალობის მიმართ;
3. აივ ტექტირებასა და კონსულტირებას;
4. ანტირეტროვირუსულ თერაპიას;
5. სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციასა და მკურანლობას;
6. კონდომების პროგრამებს ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა და მათი სქესობრივი პარტნიორებისთვის;
7. მიზნობრივ საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო ღონისძიებებს ნარკოტიკების

ინექციური მომხმარებლებისა და მათი სქესობრივი პარტნიორებისთვის

8. ვირუსული ჰეპატიტის პრევენციას, ვაქცინაციას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;

9. ტუბერკულოზის პრევენციას, დიაგნოსტიკას და მკურნალობას.

საქართველოში ხელმისაწვდომია ზიანის შემცირების რიგი მომსახურება, მათ შორის, ნაწილი დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით და ნაწილი – სახელმწიფოს თანადაფინანსების, ან პაციენტის მიერ ანაზღაურების საფუძველზე. დაფინანსებით, სხვადასხვა წყაროს გამოყენებით, მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ დეტოქსიკაციის, ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისებით, უფასო დიაგნოსტიკით აივ ინფექცია/შიდსზე და სხვა სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე, ნემსებისა და შპრიცების გაცვლის პროგრამებით და სხვა სამედიცინო და არასამედიცინო სერვისებით.

ზიანის შემცირების მომსახურებების დანერგვა საქართველოში 1999-2000 წლებში ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით განხორციელდა. პროგრამის პირველი სერვის ცენტრები თბილისსა და ბათუმში 2001 წელს გაიხსნა. მომსახურებას ახორციელებდნენ ა/ო ,,სასოება“ (თბილისი) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტი. 2002 წლიდან გაიხსნა ზიანის შემცირების ცენტრები სხვა ქალაქებშიც (გორი, ზუგდიდი, ბათუმი). გარდა ამისა, თბილისში დამატებითი კიდევ ფუნქციონირებდა საზოგადეობრივი ჯანდაცვის დეპარტამენტთან ასოცირებული მომსახურების ცენტრიც (Georgian Harm Reduction Network, 2012).

ნიშანდობლივია, რომ საწყის ეტაპზე (2010 წლამდე) შპრიცების გაცვლის ცენტრები (შპგ) და ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების (ნკტ) ცენტრები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა, რაც ქმნიდა რისკს, რომ სერვისის ბენეფიციარების ნაწილი ერთი სერვისიდან მეორეში გადასვლის პროცესს აღარ მიყვებოდა და მხოლოდ ერთ სერვისს მიიღებდა. დღეს ეს მომსახურებები გაერთიანებულია (Georgian Harm Reduction Network, 2012).

ქვეყანაში ნარკოპოლიტიკის ცვლილებების საადვოკაციოდ, ზიანის შემცირების პროგრამების ხარისხიანი განხორციელებისთვის და ნარკოტიკების მომხმარებელთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით, 2006 წელს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი შექმნა (Georgian Harm Reduction Network, 2014).

2008 წლიდან ქსელი გახდა შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის ,,ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლების მოცვის გაფართოება აივ/შიდსზე პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების გზით“ გრანტის სუბ-რეციპიენტი (Georgian Harm Reduction Network, 2012).

დღეს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი მართავს ზიანის შემცირების პროგრამას ქვეყნის 11 ქალაქში: თბილისი, თელავი, რუსთავი, გორი, ფოთი, ქუთაისი, სამტრედია, ოზურგეთი, ბათუმი, ზუგდიდი და მათ შორის, სოხუმი. იგი უზრუნველყოფს აივ/შიდსის პრევენციით ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების მნიშვნელოვანი ნაწილის მოცვას (ყოველთვიურად დაახლოებით 3500-4000 ბენეფიციარი) სხვადასხვა სერვისით (Georgian Harm Reduction Network, 2014).

მიწოდებული სერვისების სპექტრი მოიცავს შემდეგს:

- სტერილური საინექციო აღჭურვილობისა (უმეტესად ნემსებისა და შპრიცების სახით) და სპირტიანი ტამპონების დარიგებას (რიგდება როგორც საველე სოციალური სამუშაოს (აუთრიჩის) დროს, ისე სტაციონარულად, ცენტრებიდან);
- კონდომებისა და საინფორმაციო საგანმანათლებლო მასალების გავრცელებას;
- უფასო, ანონიმურ ტესტირებას აივ-ინფექციაზე, B/C ჰეპატიტებსა და სიფილისზე;
- სკრინინგი ტუბერკულოზზე და რეფერალი სპეციალიზირებულ დაწესებულებებში;
- სხვადასხვა პროფილის სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და იურიდიულ კონსულტაციას;
- თანასწორი-თანასწორს პრინციპზე დამყარებულ ინეტრვენციას;
- ზედოზირების პრევენციას, პირველადი დახმარების ტრენინგებითა და პრეპარატ ნალოქსონის

გავრცელებით;

- შემთხვევის ინდივიდუალურ მიდგომას და მართვას.



რუქა 1: შპრიცების გაცვლის სერვისების განაწილება ქალაქების მიხედვით.

ჯამურად, საქართველოში 14 მომსახურების ცენტრი ფუნქციონირებს:

საქართველოში რამდენიმე კვლევაა ჩატარებული, რომელიც ასახავს სისტემურ ინფორმაციას ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის შესაბასმისი სერვისების მიწოდებისა და მათი მოხმარების სფეროში არსებულ ბარიერებს.

Kirtadze et al. კველევაში ასახულია სერვისის მიმწოდებელთა შეფასებები ქალი მომხმარებლების წინაშე მდგარი ბარიერების შესახებ (Kirtadze I, 2013). შეფასდა ხელმისაწვდომობის ბარიერების ისეთ პარამეტრები, როგორიცაა (1) მომსახურების მიღების/მკურნალობის ბარიერები, (2) წარმატებული მკურნალობის მაჩვენებლები, (3) პროვაიდერების განსხვავებული დამოკიდებულება ქალი და მამაკაცი მომხამრებლების მიმართ, (4) ქალი მომხამრებლების დამოკიდებულებითი მდგომარეობა, მათ მამაკაც პარტნიორთან, (5) ძალადობის მაღალი მაჩვენებელი, (6) სტიგმა, (7) პროვაიდერების ცოდნის ნაკლებობა/კვალიფიკაცია ქალ მომხმარებლებთან მიმართებაში, მათ შორის ორსულობის, მშობიაობისა და ბავშვზე ზრუნვის/ახალშობის მოვლის საკითხებთან მიმართებაში დაბოლოს, (8) ინფრასტრუქტურული და ტერიტორიული საჭიროებების ქალი მომხმარებლებისთვის მომსახურების ეფექტურად მიწოდებისთვის. ამ მონაცემების შედეგად, მნიშვნელოვნად ჩაითვალა, რომ კვლევის ინსტრუმენტის ფარგლებში შეფასებული ქალ მომახმარებლებისთვის მომსახურების მიწოდების სპეციფიური ასპექტებიც.

საერთაშორისო ფონდ „კურაციოსა“ და საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ მიერ ჩატარებული ქცევითი და ბიომარკერული კვლევის ფარგლებში 2012 და 2009 წლებში, საქართველოს რამდენიმე ქალაქში შესწავლილ იქნა მომხამრებელთა სოციალურ დემოგრაფიული პროფილი, ნარკო სცენა და კონტექსტი; აივ-ინფექციის შესახებ ცოდნა და რელევანტური ქცევა; ნარკოტიკული საშულებების მოხმარება; სქესობრივი ქცევა და ზიანის შემცირების მომსახურებებით მოცვა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებლები ძირითადად დაბალი

სოციო-უკონომიკური სტატუსის მქონე პირები არიან. ამასთან, არაინექციური ნარკოტიკების მოხმარების დაწყების საშუალო ასაკი 15-16 წელია, ხოლო ინექციურისა – 18-20 წელი.

ყველაზე ფართოდ გავრცელებულია არაინექციური ფორმის საშულებების მოხმარება, როგორიცაა მარიხუანა და ცნს-ის დამთრგუნველი საშუალებები. ასევე, ფართოდაა გავრცელებული თვითნაკეთი საინექციო საშულებების მოხმარება, როგორიცაა დეზომოფინი. ასევე გაზრდილია თვითნაკეთი ამფეტამინის ჯგუფის პრეპარატების მოხმარება. თვალსაჩინოა, რომ კვლევის ფარგლებში, თვითნაკეთი პრეპარატების ძირითადი წყარო ე.წ. "სააფთიაქო ნარკომანიაა", რაც სავარაუდოდ შემცირდებოდა 2013 წელს, რეცეპტის საფუძველზე გასაცემი მედიკამენტების კონტორლის გამკაცრების პარალელურად.

ჰეროინის ინექციური მოხმარების მაღალი მაჩვენებელი მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია, რაც სავარაუდოდ ასოცირებულია ამ მოსახლეობის გაზრდილ მობილობასთან თურქეთის ტერიოტორიაზე.

პოზიტური ცვლილებების მხრივ აღსანიშნავია, რომ შემცირებულია ქუჩაში/საჯარო ადგილებში ინექციური ნარკოტიკების მოხმარება. ასევე, მაღალია სტერილური საინქეციო საშულებების მოხმარება და ამ საშუალებების ხელმისაწვდომობა. გაზრდილია ცოდნის დონე აივ/ინფექცია-შიდსთან მიმართებაში და ტესტირების რაოდენობა, თუმცა ეს უკანასკნელი მაინც საკმაოდ დაბალია.

აღსანიშნავია, რომ პრობლემური რჩება უსაფრთხო სექსის შესახებ ინფორმირებულობისა და პრაქტიკაში გამოყენების მაჩვენებელი. გამოკითხულთა მხოლოდ 40%-ს ჰქონდა გამოყენებული კონდომი უკანასკნელი სქესობრივი კავშირის დროს.

მნიშვნელოვანია, რომ კვლავ დაბალი რჩება ზიანის შემცირების პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა და მათი მოხმარების მაჩვენებელი. გამოკითხულ პირთა უმრავლესობას არ უმკურნალია წამალდამოკიდებულებაზე, ხოლო პრევენციული მომსახურებების შესახებ ცოდნის დონე და გამოყენება ასევე დაბალია.

3. კვლევის მეთოდოლოგია

ინფორმაციის მოძებისთვის გამოყენებული იყო PubMed-ის მონაცემთა ბაზა და საძიებო ტერმინები: "Harm Reduction Standards", "Harm Reduction Guideline", "Needle Exchange Standards", Needle Exchange Guidelines". მიღებული შედეგების საფუძველზე, იდენტიფიცირდა ორი ძირითადი კვლევა, რომელიც შემდეგ გამოყენებულ იქნა ინსტრუმენტის შექმნისას. ეს კვლევებია:

1. McCutcheon JM, Morrison MA. Injecting on the Island: a qualitative exploration of the service needs of persons who inject drugs in Prince Edward Island, Canada.Harm Reduct J. 2014 Mar 4;11:10. doi: 10.1186/1477-7517-11-10. PubMed PMID: 24593319; PubMed Central PMCID: PMC3975878

კლევის ფარგლებში იდენტიფიცირებულია სერვისის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა:

1. შპრიცების არასაკმარის რაოდენობა;
2. ხანგრძლივი მოცდის პერიოდი;
3. პერსონალის ნაკლებობა;
4. პერსონალის ნეგატიური დამოკიდებულება ნივთიერებაზე დამოკიდებულ პირთა მიმართ;
5. პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია.

2. Iversen J, Topp L, Wand H, Maher L. Individual-level syringe coverage among Needle and Syringe Program attendees in Australia. Drug Alcohol Depend. 2012 May 1;122(3):195-200. doi: 10.1016/j.drugalcdep.2011.09.030. Epub 2011 Nov 8. PubMed PMID: 22071120.

კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პარამეტრები, რაც განაპირობებნ ზიანის შემცირების მომსახურებებით მოცვის მაღალ მაჩვენებელს:

1. მომსახურების პრინციპების კონტექსტისთვის შესაბამისობა;
2. ადვოკაციის წარმატებულობა;
3. ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა;
4. სამართალდამცავების კეთილგანწყობა;

5. მომსახურების გაფართოვებისთვის დაფინანსების არსებობა;
6. დაფინანსების მდგრადობა;
7. გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა;
8. ბენეფიციართა მოძიებისთვის გამოყენებული მიდგომების კონტექსტთან ადეკვატურობა;
9. თემის წარმომადგენლების ჩართულობა;
10. მართვის სტრუქტურების გამართულობა;
11. გამოცდილების გათვალისწინება მომავალ პრაქტიკაში.

განვითარებულ ქვეყნებში (რომლეთა მონაცემებიც მეტად არის ხელმისაწვდომი ინტერნეტში) რუტინულად ტარდება ზიანის შემცირების პროგრამების შეფასება. ასეთი მასალა მოძიებული იყო დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიისა და კანადის მაგალითზე.

გარდა ზემოხსენებლი მონაცმებისა, ფოკუს-ჯგუფების სადისკუსიო გეგმის და სიღრმისეული ინტერვიუს სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში, მნიშვნელოვნად ჩაითვალა, რომ გამოყენებული ყოფილიყო:

1. Guide to starting and managing needle and syringe programmes (WHO, UNAIDS, UNODC, 2007)

2. European Minimum Quality Standards (EQUS, 2012)

3. საქართველოში გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში გამოყენებული შეფასების ფორმები.

4. პრევენციული ინტერვენციის სახელმძღვანელო აივ ინფიცირების თვალსაზრისით მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებთან სამუშაოდ;

5. აივ-ინფექცია/შიდსის სტრატეგიული გეგმა.

კვლევის ინსტრუმენტის სტრუქტურირება განხორციელდა ზიანის შემცირების სერვისების მინიმალური ხარისხის სტანდარტებით განსაზღვრული ბლოკების მიხედვით, რომელიც აფასებს როგორც სტრუქტურულ, ისე ოპერაციონალურ (operational) ხარისხს.

გავაანალიზეთ სხვა ქვეყნებში განხორციელებული შეფასებების ძირითადი ბლოკები და ფოკუს-ჯგუფების და სიღრმისეული ინტერვიუს ინსტრუმენტის ფარგლები გამოიყო რვა ძირითადი მიმართულება.

კვლევის მეთოდებად განისაზღვრა მონაცემთა ტრიანგულაცია: ლიტერატურული მიმოხილვა, გამჟღავნებული დაკვირვება, ჩაღრმავებული ინტერვიუ და ფოკუს- ჯგუფები. გამოსაკითხად შეირჩნენ ისეთი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და თანამშრომლები, რომლებიც:

- მომსახურებას აწოდებენ 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში;
- გამოირიცხა მომსახურების მიმწოდებელი, რომელიც მდებარეობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

კვლევის ფარგლებში შერჩეულ სერვისის მიწოდების ადგილებზე განხორციელდა ვიზიტები, შეფასდა არსებული გარემო. მომსახურების იმ მიმწოდებლებთან სადაც ეთიკური საკითხები განსაკუთრებით სენსიტიური იყო, გამოვიყენეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ, ხოლო სადაც პრიორიტეტულად მივიჩნიეთ სერვისში ჩართულ სხვა თანამშრომელთა მოსაზრებები, ადმინისტრირება გავუწიეთ ფოკუს-ჯგუფებს.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა შვიდი ფოკუს-ჯგუფი და ოთხი ჩაღრმავებული ინტერვიუ. ყველა ფოკუს-ჯგუფში მონაწილებას იღებდა ცენტრის ხელმძღვანელი პირი და რამდენიმე თანამშრომელი: სოციალური მუშაკი, პროგრამის კოორდინატორი, ლაბორანტი და სხვა პერსონალი, რომელსაც სიღრმისეული ინფორმაცია ჰქონდა სერვისის სხვადასხვა მიმართულებაზე. კვლევის ფარგლებში თითეული ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად ვარირებდა (2 – 10 - მდე). ძირითად ეს ვარიაცია ორგანიზაციის ზომაზე იყო დამოკიდებული. ფოკუს-ჯგუფები თანამშრომლებთან ჩატარდა შვიდ ორგანიზაციაში და ჩაღრმავებული ინტერვიუ – ოთხ ხელმძღვანელთან. გამჟღავნებული დაკვირვება ხორციელდებოდა მომსახურების გარემოს შესწავლის მიზნით.

კვლევის ფარგლებში მონაწილე პირებისგან მოპოვებული იქნა წერილობითი თანხმობა კვლევაში მონაწილეობისთვის და აუდიო ჩაწერისთვის. კვლევის განხორციელდებაზე მოძიებულ იქნა ეთიკური კომისიის დასკვნა (Health Research Union IRB: 2015-02).

4. კვლევის შედეგები

მომსახურებები

ყველა ორგანიზაციის მიერ უზრუნველყოფილია ზიანის შემცირების პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებები. მცირედი განსხვავება აღინიშნება სამედიცინო და არასამედიცინო დამატებითი კონსულტაციების მხრივ: რიგ შემთხვევებში, აქცენტი სწორედ სამედიცინო ხასიათის კონსულტაციებზე კეთდება (მაგ., ქირურგი) და ეს საჭიროება არსებული ნარკოსცენის სპეციფიურობითაც იხსნება, ხოლო რიგ შემთხვევებში უზრუნველყოფილია იურიდიული სახის დახმარებაც. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ორგანიზაციაში არსებული კადრი თავად არის სამედიცინო პროფილის, ან გარკვეულწილად, შეუძლია იურიდიული დახმარების აღმოჩენაც. ამ შემთხვევაში გაწეული მომსახურებების ჩამონათვალში ეს სერვისი აღარ ხვდება.

მობილური სერვისის არსებობა გარკვეულწილად პრობლემურია. თავისი შინაარსით, საქართველოში არსებული პროგრამები ყველა საინექციო საშულებების მობილურ მიწოდებაზეა ორიენტირებული. დაწესებულებებს სტაციონარულად ამ მასალის წასაღებად მხოლოდ ერთეული პირები აკითხავენ („ზოგ კლიენტს ურჩევნია, რომ თვითონ მოვიდეს და წაიღოს, ვიდრე ვინმემ ჩვენს სოციალურ მუშაკთან ერთად დაინახოს“).

აღსანიშნავია, რომ გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში ყველა ცენტრი უზრუნველყოფილია ავტოსატრანსპორტო საშულებით; ან საკუთარი ან დაქირავებული მანქანით. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ რიგ შემთხვევაში დაწესებულება მთელ რეგიონს მოიცავს, ერთი სატრანსპორტო საშულაება აღარ არის საკმარისი მომსახურების ჯეროვნად უზრუნველყოფისთვის.

სხვა მომსახურებები, როგორიცაა გამოკვლევა აივ-ინფექცია, B და C ჰეპატიტებსა და სიფილისზე დაწესებულებებში განსხვავებული პრინციპით ხორციელდება. რიგ შემთხვევებში ორგანიზაციები ახორციელებენ კლიენტების ტესტირებას სტაციონარულად. სოციალური მუშაკის ფუნქცია ასეთ შემთხვევაში პირის მოტივირება და ოფისში ტესტირებისთვის მიყვანაა. გარდა ამისა, ხორციელდება „გასვლითი“ ტესტირებებიც. მიმწოდებლების თქმით, ველზე, ძალიან ცუდი პირობებია, როგორც ტესტირების გასაკეთებლად, ისე გამოკვლევის შედეგების პირისთვის კონფიდენციალურად მიწოდებისთვის. როგორც წესი, მსგავსი ტესტირებები ჯგუფურად ტარდება. საქმიანობა ხანდახან ხორციელდება ავტოსადგომში, მოფარებულ ადგილას ან საუკეთესო შემთხვევაში რომელიმე ბენეფიციარის საცხოვრებელ სახლში.

2014 წლიდან გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში გათვალისიწინებული მობილური ამბულატორიის შესყიდვა. ეს არის სპეციფიურად აღჭურვილი ავტოსატრანსპორტო საშულება, რომელიც საშულებას მისცემს მიმწოდებლებს მობილურად განახორციელონ ტესტირება. რამდენიმე (2-3) ცენტრს მოუწევს ერთი სატრანსპორტო საშულების გაზიარება.

მომსახურების ყველა ცენტრში, თანამშრომლები მობილური ამბულატორიისთვის უკვე მუშაობენ, თუმცა თავად მობილური ამბულატორია შესყიდული არ არის. ამიტომ მათ ჩვეულებრივი მანქანებით გადაადგილება და სტანდარტებისთვის შეუსაბამო პირობებში უწევთ მომსახურების კლიენტებისთვის გაწევა.

ქალ მომხმარებლებზე ორიენტირებული მომსახურება

ქალი მომხმარებლების მოზიდვა და შენარჩუნება განსაკუთრებული გამოწვევაა ზიანის შემცირების მომსახურებების მიმწოდებლებისთვის. საქართველოში, კერძოდ თბილისში, არსებობს მიმწოდებელი, რომელიც ექსკლუზიურად ქალ მომხმარებლებთან მუშაობს. თუმცა ყველა ცენტრს ჰყავს ქალი ბენეფიციარები.

ქალ მომხმარებლებთან მუშაობის შესახებ თანაშრომელთა კვალიფიკაცია საკმაოდ ლიმიტირებულია. როგორც მიმწოდებელი ცენტრები აღნიშნავენ, ჩატარებული იყო ერთი ტრენინგი ქალ მომხმარებლებთან მუშაობის სპეციფიკის შესახებ და სერვისცენტრების თანამშრომლების ნაწილმა ეს ტრენინგი გაიარა. ორგანიზაციის შიდა რაიმე რეგულაცია ან პროექტის რაიმე დოკუმენტი მათთან მუშაობის შესახებ არ არსებობს. თუმცა, ორგანიზაციებისა და დონორების მხრიდან მუდმივად ხდება აქცენტირება ქალ მომხმარებლებთან მუშაობის მნიშვნელოვნების შესახებ.

გლობალური ფონდის პროგრამის და ასევე სხვადასხვა დონორული პროექტის ფარგლებში ქალი მომხმარებლებისთვის გათვალისწინებული იყო სასაჩუქრე პაკეტები. როგორც მიმწოდებლები აღნიშნავენ, დღეს ამ პაკეტების სრული მოცულობით შესყიდვის საშუალება მათ აღარ აქვთ.

რამდენიმე ცენტრში ქალებისთვის დამატებით ფუნქციონირებს ჭრა-კერვის კურსები. როგორც მიმწოდებლები აღნიშნავენ, ეს პროგრამები განსაკუთრებით მოთხოვნით სარგებლობენ პრობაციონერებს შორის. მიმწოდებლების უმრავლესობას აქვს შესაძლებლობა საჭიროებების შემთხვევაში უზრუნველჰყოს გინეკოლოგის კონსულტაცია.

რამდენიმე დაწესებულებას ცალკე დღე აქვს დაწესებული ქალი კლიენტებისთვის. მათი განმარტებით, ეს იმიტომ, რომ ქალებს პრობლემა/უხერხულობა არ შეექმნათ, თუკი ცენტრში იმ დროს მამაკაცებიც იქნებიან. ეს აქტუალურია რადგან ქალი მომხმარებლები, მამაკაცი მომხმარებლების მხრიდან ხშირად ნეგატიურ დისკრიმინაციას აწყდებიან.

აღსანიშნავია, რომ ცენტრებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს იმ საკითხთან დაკავშირებით, უნდა ემსახურებოდეს თუ არა ქალ კლიენტებს ასევე ქალი სოციალური მუშაკები და კონსულტანტები. ერთ-ერთ დაწესებულებაში, მოწყობა ასეთია, და ცენტრის განმარტებით, ქალი კლინეტებისთვის ქალ სოციალურ მუშაკთან ურთიერთობა უფრო მისაღებია და თუ სოციალური მუშაკი მამაკაცია, ეს შეიძლება გახდეს შემაფერხებელი ფაქტორი. თუმცა დაწესებულებების უმეტესობაში ასეთი გამიჯვნა არ აღინიშნება. მათ უმეტესობას ჰყავთ მდედრობითი სქესის სოციალური მუშაკიც, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე კლიენტს სპეციფიურად მოეთხოვა ქალი სოციალური მუშაკი.

ასევე აღსანიშნავია, რომ ქალი კლიენტი რჩება იმ სოციალურ მუშაკთან, რომელმაც ის მიიზიდა, მიუხედავად სქესისა. მიმწოდებლები აღნიშნავენ, რომ მდედრობითი სქესის სოციალური მუშაკები, განსაკუთრებით მოხმარების ისტორიით, უფრო ეფექტურად ახერხებენ ქალი კლიენტების მოზიდვას.

ქალ მომხმარებლებთან ქალი სოციალური მუშაკების მუშაობის უპირატესობის შესახებ, მიმწოდებელთა პოზიციები რადიკალურად დაიყო. მიმწოდებლეთა მცირე ნაწილი თვლის, რომ თუ კლინეტს იმავე სქესის სოციალურ მუშაკთან აქვს ურთიერთობა, ეს უფრო მისაღებია, თუმცა რამდენიმე მიმწოდებელი თვლის, რომ ქალ მომხმარებლებს პირიქით ურჩევნიათ მამაკაც სოციალურ მუშაკთან ურთიერთობა. ამ პოზიციას ხსნიან იმით, რომ ნარკოტიკების მოხმარების ქცევა ქალებში ხშირად დაკავშირებულია მამაკაც პარტნიორებთან. ასევე, იმასთან რომ ნივთიერებაზე დამოკიდებულთა თემში, ქალებს ხშირად ადანაშაულებენ ძალოვან სტრუქტურებთან ფარულ თანამშრომლობაში.

ორგანიზაციული მახასიათებლები

აღსანიშნავია, რომ მომსახურების მიმწოდებლებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი ორგანიზაციული გასხვავებები. მათი რანჟირება რამდენიმე კატეგორიის მიხედვით არის შესაძლებელი:

- სფეროში მუშაობის გამოცდილება: მომსახურების მიწოდებაში ჩართული ორგანიზაციები სხვადასხვა „ისტორიული“ გამოცდილებით ხასიათდებიან. არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც 14 წელზე მეტია წამალდამოკიდებულ პირებთან ან აივ/შიდსის პრევენციის საკითხებზე მუშაობენ, ისევე როგორც არის ორგანიზაციები, რომლებმაც სულ რამდენიმე წელია რაც დაიწყეს მომსახურების მიწოდება;

- ორგანიზაციის ტიპი: ორგანიზაციები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მისიითა და ფორმით. მიმწოდებლებს შორის არის როგორც სათემო/პაციენტთა ჯგუფების თვითორგანიზაციები, ისე ორგანიზაციები, რომლებიც პრევენციის სფეროში მუშაობენ.

როგორც საერთაშორისო კვლევები მიუთითებს, თვით ორგანიზაციები უნდა გამოირჩეოდნენ სამიზნე ჯგუფთან უკეთესი კონტაქტის ხარისხით, თუმცა აღნიშნული ფაქტი კვლევის ფარგლებში არ დაფიქსირებულა; ყველა მიმწოდებელი დაწესებულების თანამშრომელთა შორის დასაქმებულნი არიან მომხმარებელთა თემის წარმომადგენელი პირები, რაც წარმოდგენს გარანტს თემთან ახლო ურთიერთობისთვის.

- მომსახურებების დივერსიფიკაცია: ორგანიზაციები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან შეთავაზებული მომსახურებების დივერსიფიკაციის კუთხით. აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში არ დაფიქსიებულა შემთხვევა, როდესაც რომელიმე ორგანიზაციაში წარმოდგენილი არ იყო ზიანის შემცირების პროგრამით გათვალისწინებული რომელიმე სერვისი. თუმცა ორგანიზაციების პროფილიდან გამომდინარე, რიგი მიმწოდებლები კლიენტებს დამატებით სთავაზობენ როგორც გაფართოვებულ სამედიცინო მომსახურებათა პაკეტს, ისე ფსიქო-სოციალური დახმარების დამატებით სერვისებსა და პაციენტთა სკოლებს. სავარაუდოდ, ეს პოზიტიურად აისახება კლიენტთა დაინტერესებისა და შენარჩუნების მახასიათებლებზე.

მომსახურებათა დივერსიფიკაცია (ზიანის შემცირების სერვისების მიღმა) ასევე პოზიტიურად აისახება ორგანიზაციის ფინანსურ მდგრადობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მიმწოდებელ დაწესებულებაში აღნიშნული იქნა ფინანსური პრობლემები და დაფინანსების არასაკმარისი გადანაწილება, ორგანიზაციებს, რომლებიც დაფინანსებას რამდენიმე წყაროდან იღებენ მეტი რესურსი აქვთ ორგანიზაციული სტრუქტურის მდგრადობის შენარჩუნების კუთხით.

ფინანსურ საკითხებთან მიმართებაში ასევე აღასანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი:

- ფინანსური რესურსის არასაკმარისობა: ყველა დაწესებულება აღნიშნავს, რომ პროგრამის ფარგლებში მიღებული ფინანსური რესურსი არ არის საკმარისი. განსაკუთრებით, დაწესებულები აღნიშნავენ რესურსის სიმწირეს სამედიცინო მომსახურებების (მათ შორის, ექიმთან კონსულტაციის შემდეგი მკურნალობის პროცესის დაფინანსების კუთხით), სოციალური სერვისების (მაგალითად, საცხოვრებელი პირობები ან სხვა სოციალური სერვისები) და ასევე პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებების გაფართოვების (მაგალითად, ქეისების რაოდენობა) დაფინანსების კუთხით.

- ფინანსური რესურსის გადანაწილების შესაძლებლობის შეზღუდვა: პროგრამების ფარგლებში მიმწოდებელ დაწესებულებებს პრაქტიკულად არ აქვთ უფლებამოსილება რომ დამოუკიდებლად შეისყიდონ და განსაზღვრონ სერვისებისა და საქონლის რაოდენობა. ასევე, ლიმიტირებულია მათი შესაძლებლობები, განსაზღვრონ და შეხედულებისამებრ გადაანაწილონ.

პროგრამის მიმდინარეობასთან არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, მიმწოდებელი დაწესებულებები აღნიშნავენ:

- *ანგარიშგების სირთულეებს:* პროგრამის ფარგლებში არსებული ხისტი ანგარიშგების მოთხოვნები, ხშირ შემთხვევებში მძიმე ადმინისტრაციულ ტვირთად აწვება ცალკეულ ორგანიზაციას. ყველა მიმწოდებელი აღნიშნავს ანგარიშების ფორმების სრულყოფილად წარმოებისთვის საჭირო დროის სიმცირეს;

- *მომარაგების წყვეტას:* ორგანიზაციები უჩივიან ცალკეული სახეობის საინექციო საშულებების ნაკლებობასა და ხშირ წყვეტას, რაც ნეგატიურად აისახება მოზიდული კლიენტების შენარჩუნების შესაძლებლობაზე;

- *შესყიდული მასალების დაბალ ხარისხს:* მიმწოდებელი დაწესებლებები უჩივიან როგორც საინექციო საშუალებების ხარისხს, ისე ტესტ-სისტემებისას. ეს გამოიხატება როგორც ცრუ დადებითი შემთხვევების მაღალი მაჩვენებლით, ისე რიგ შემთხვევებში, ცრუ უარყოფითი შედეგებით.

- *არარეალისტურ სამიზნეებს*: რიგი მიმწოდებელი დაწესებულებები აღნიშნავენ, რომ პროგრამის ფარგლებში ხშირად დასახულია არარეალისტური სამიზნეები ტესტირებასთან დაკავშირებით. ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ცენტრი არ არის ჯეროვნად აღჭურვილი აუცილებელი საოფისე და სამედიცინო ინვენტარით, რაც ასევე დაფინანსების სიმწირეს უკავშირდება.

მომსახურების ხელმისაწვდომობა

ყველა ცენტრი 10-დან 18 საათამდე მუშაობს, კვირაში 5 დღე. ცენტრების უმეტესობა აღნიშნავს, რომ სოციალურ მუშაკებს ხშირად უწევთ არასამუშაო დროსაც მუშაობა. ბენეფიციარებს აქვთ მათი საკონტაქტო ინფორმაცია და ზედამხედველობის შემთხვევაში, შეიძლება დაუკავშირდნენ და ნალოქონის მიწოდება სწორედ მათ უზრუნველყონ. მხოლოდ თბილისში არსებულ ცენტრში აღინიშნა, რომ ცენტრის შიდა პოლიტიკის თანახმად, სოციალური მუშაკი ბენეფიციარებს არ აძლევს საკონტაქტო ნომერს, რაც თანამშრომლების რისკების მინიმიზაციის მიზნით ხორციელდება.

ცენტრების უმრავლესობა, როგორც თანამშრომლების, ისე ინტერვიუერების შეფასებით, ადვილად ხელმისაწვდომ ადგილზე მდებარეობს. თუმცა, ინტერვიუერების შეფასება, ამ შემთხვევაში, შესაძლოა არ იყოს ვალიდური.

აღსანიშნავია, რომ თვითონ სერვის ცენტრები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან როგორც შიდა ინფრასტრუქტურით, ისე ადგილმდებარეობით.

რიგ შემთხვევებში, ცენტრების მდებარეობა არის ცალკე მდგომი, მოშორებული შენობა (მაგ, თელავი). ასეთი მდებარეობა, ცენტრის თანამშრომლების აზრით, სასურველია, რადგან კლიენტებს მოსვლის შიში ნაკლებად აქვს. მიუხედავად ამისა, არა ერთი ცენტრი მდებარეობს საცხოვრებელ კორპუსში და ამ შემთხვევაშიც, მიმწოდებლები თვლიან, რომ ეს ხელს უწყობს ბენეფიციარების მიერ მომსახურების კონფიდენციალურად მიღებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ხელმისაწვდომობის შესახებ საერთაშორისო რეკომენდაციებიც მხოლოდ "ადვილს"/სიახლოვეს და კონფიდენციალურობის ასპექტს უსვამს ხაზს, სავარაუდოდ, იმ პირობებში, სადაც არსებობს რამდენიმე მიმწოდებელი, ბენეფიციარს ეძლევა შესაძლებლობა, თავად აარჩიოს მომსახურების მიღების მისთვის სასურველი ფორმატი. გარდა ამისა, თითოეული ცენტრი მომსახურებების ნაწილს სთავაზობს როგორც ცენტრში ისე ველზე.

ისიც აღსანიშნავია, რომ მომსახურების მიწოდების მოწყობიდან გამომდინარე, კლიენტთა უმეტესობა პრაქტიკულად არ ხვდება უშუალოდ მომსახურების მიწოდების ცენტრში, რადგან შპრიცებისა და საინექციო საშუალებების დარიგებას ადგილზე სოციალური მუშაკები ახორციელებენ. შესაბამისად, ცენტრში კლიენტები მხოლოდ იშვიათად, მაგალითად, სამედიცინო კონსულტაციისთვის შეიძლება მივიდეს.

გარდა ადგილმდებარეობისა, ცენტრების შიდა ინფრასტრუქტურაც განსხვავდება.

პირველი განსხვავება არის ცენტრების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა. აღსანიშნავია, რომ ცენტრების ნაწილი დაარსებულია გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში და მათ საოფისე ავეჯი და მოწყობილობები პროგრამის ფარგლებში მიეწოდათ. თუმცა, უკანასკნელი წლების განმვალობაში შექმნილ ცენტრებს მგავსი დახმარება ან საერთოდ არ მიუღიათ, ან მხოლოდ ნაწილობრივ. შესაბამისად, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში აღნიშნავენ, რომ მათ ავეჯის და კომპიუტერების მოტანა მოუწიათ სახლიდან. ამის ფონზე, რიგი ცენტრები ნაკლებ პრეზენტაბელურად გამოიყურებიან.

მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება, შიდა ინფრასტრუქტურასთან მიმართებაში, გამომდინარეობს თვითონ ცენტერების განლაგების თავისებურებიდან – ზოგი მათგანი კერძო სახლშია განთავსებული (მაგ.,

ზუგდიდი, თელავი, ოზურგეთი), ხოლო ზოგი მათგანი საცხოვრებელ ბინაში. შესაბამისად, სივრცე და არქიტექტურა განსხვავებულია.

შიდა ინფრასტრუქურასთან დაკავშირებით ორ მნიშვნელოვან პარამეტრს გამოვყოფთ:

1. კონფიდენციალობა: პაციენტისთვის მომსახურების მიწოდების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ამ პროცესს მხოლოდ ექიმი/კონსულტანტი (ან სოციალური მუშაკი) და პაციენტი დაესწრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს პაციენტის ინფორმირებული თანხმობა სხვა პირების დასწრებასთან დაკავშირებით.

რიგ სერვისს ცენტრებში კონსულტანტთა ოთახს იკავებს ერთზე მეტი კონსულტანტი, რაც ფართის შეზღუდვით არის გამოწვეული. ხოლო ორგანიზაციებს არ გააჩნით მკაცრი პოლიტიკა, რომ მეორე (ან მესამე) კონსულტანტი, რომელიც იმავე ოთახში იმყოფება, უნდა გამოვიდეს კონსულტაციის პროცესის დროს.

2. ინფექციის კონტროლი: ორგანიზაციები არ არიან ადეკვატურად აღჭურვილები, რათა დაწესებულების შიგნით უზრუნველყონ ინფექციების კონტორლის საჭირო ზომები. მაგალითად, ულტრაიისფერი ნათურები. გარდა ამისა, მნიშვნელოვან ასპექტად ჩნდება, ზოგადად ცოდნისა და ინფორმაციის ნაკლებობა ამ ინფექციების კონტროლის შესახებ.

ნალოქსონი და ზედოზირების პრევენცია

მიმწოდებელები აღნიშნავენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, არის ნალოქსონის [1] ხელმისაწვდომობა, და ნალოქსონისთვის შესაძლოა ოფისში არასამუშაო დროსაც მოაკითხონ.

მიუხედავად ამისა, ყველა დაწესებულებაში არსებობს შემუშავებული სქემა, ნალოქსონის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის, რაც მოიცავს:

- რამდენიმე ფლაკონი ნალოქსონი მუდმივად აქვს სოციალურ მუშაკს. თვითონ სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ მათ ღამის განმავლობაშიც კი დაკავშირებიან კლიენტები ნალოქსონისთვის და განუხორციელებია მიწოდება;
- ნალოქსონის დისტრიბუცია „თემის პოპულარული ლიდერების“ გზით –ინტერვიუირების ფარგლებში არაერთხელ იქნა აღნიშნული, რომ ნალოქსონის გარკვეულ მარაგს უტოვებენ ე.წ. ლიდერს, ან ისეთ პირს, რომელიც ნდობით აღჭურვილია კლიენტებს შორის და ის ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში ე.წ. „მეორად დისტრიბუციას“
- ნალოქსონის „სამალავები“ - ერთ შემთხვევაში აღწერილი იყო სიტუაცია, როდესაც ნალოქსონის რამდენიმე ფლაკონი მუდმივად ინახებოდა „უბანში“ შეთანხმებულ ადგილას. საჭიროების შემთხვევაში, ხდებოდა მისი გამოყენება და სოციალური მუშაკი შემდგომში ავსებდა გახარჯულ ან გაუვარგისებულ ფლაკონებს.
- ერთ-ერთმა მიმწოდებელმა აღნიშნა, რომ მან ტრეინინგი ჩაუტარა პირველადი ჯანდაცვის ექიმებს ნალოქსონის გამოყენების შესახებ და ასევე მიაწოდა მათ რამდენიმე ფლაკონი ნალოქსონი. წარმოდგენილი ინიციატივა, განსაკუთრებით ე.წ. სოფლის ექიმების ჩართვით, რომელიც გეოგრაფიულად დაშორებული სოფლების მოცვის საშულებას იძლევა, შესაძლოა საკმაოდ ეფექტური იყოს. გეოგრაფიული დაშორების გამო, ადგილზე ნალოქსონის მიწოდება ზიანის შემცირების მომსახურების მიმწოდებლის მიერ, ან თუნდაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ, შესაძლოა დაგვიანებული აღმოჩნდეს. ექიმების მზაობა, იქონიონ და გამოიყენონ ნალოქსონი ზედოზირების შემთხვევებისას, პოზიტიური იქნება მსგავსი შემთხვევების დროს, რაც ზედოზირებით სიკვდილობის შემცირებას გამოიწვევს. ამ ეტაპისთვის რაიმე სახის შედეგები არ არის ხელმისაწვდომი.

---

[1] ნალოქსონი, იგივე ნარკანი, მოქმედებს როგორც ოპიატების (მაგ. ჰეროინის, მორფინის) ანტიდოტი, ანეიტრალებს მათ მოქმედებას და შედეგად ააქტიურებს სუნთქვის ცენტრს.

ადამიანური რესურსები და კვალიფიკაცია

ზიანის შემცირება, როგორც ერთ-ერთი სათემო სერვისი დიდწილად სწორედ თემის წარმომადგენელთა აქტიურ ჩართულობაზეა დამოკიდებული. საქართველოში არსებული მოწყობის გათვალისწინებით, მომსახურების მიწოდების პროცესში ხშირად სწორედ თემის წარმომადგენლები არიან ჩართულები. ბუნებრივია, რომ ამის გამო მნიშვნელოვნად შეზღუდულია რაიმე ფორმალური კვალიფიკაციის არსებობა.

თემის წარმომადგენლები, როგორც წესი, დასაქმებული არიან სოციალური/აუთრიჩ მუშაკის პოზიციაზე, თუმცა სათემო ორგანიზაციებში მათ ადმინისტრაციულ/მენეჯერული ფუნქციებიც აქვთ შეთავსებული. გამონაკლისს ამ მხრივ მხოლოდ სამედიცინო და ნკტ[2] კონსულტანტები/თანამშრომლები წარმოადგენენ.

თანამშრომლის სამსახურში აყვანისას, ყველა ორგანიზაცია უზრუნველყოფს მათთვის შიდა ტრენინგს, თუმცა პროცესი არ არის ფორმალიზებული და არ არის განსაზღვრული კონკრეტულად რა ცოდნა და უნარ-ჩვევებია საჭირო, მაგალითად, **აუთრიჩ** სამუშაოს ჩატარებისთვის.

ასევე აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები ცდილობენ, რომ თუ რაიმე თემატური ტრენინგი ტარდება, სწორედ იმ ადამიანებს მისცენ შესაძლებლობა ამ ტრენინგებში მიიღონ მონაწილება, რომლებსაც ჯერ ეს ტრენინგები არ გაუვლიათ.

აკადემიური კვალიფიკაციის მქონე სოციალური მუშაკი დღეს-დღეობით მხოლოდ ერთ ორგანიზაციაში დასაქმებული. ამ ნაკლოვანებას, ყველა რესპონდენტი ასახელებს და თვლიან, რომ მიზანშეწონილია, რომ არსებობდეს რაიმე, თუნდაც მოკლევადიანი კურსი, რომლის გავლაც სავალადებულო/წინაპირობა უნდა იყოს პირის დასაქმებისთის.

ტრენინგებთან აღსანიშნავია, რომ დაწესებულებების ბევრ თანამშრომელს აქვს გავლილი სხვადასხვა ტრენინგი. წარმოდგენილი ინფორმაცია და სერტიფიკატები ინახება დაწესებულებებში.

საშუალოდ, თითოეულ თანამშრომელს 10-15 ტრენინგ-დღე მაინც აქვს გავლილი, თუმცა ზოგიერთი თანამშრომლის შემთხვევაში, ეს 30-40 ტრენინგ-დღეს აჭარბებს უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში. 10 წლის განმავლობაში, სტაბილურად მომუშავე სოციალური მუშაკი 60-მდე სერტიფიკატს ფლობს, რაც ნიშნავს, რომ 180 ტრეინინგ-დღე მაინც აქვს გავლილი.

ტრენინგზე წასული თანამშრომელი დაბრუნების შემდეგ ატარებს პრეზენტაციას და ითვლება, რომ მსგავსი სახით, კარგად ხდება ინფორმაციის გაზიარება, თუმცა შესაბამისი ფორმალიზებული პროცესი არ არსებობს.

აქვე აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში განსაკუთრებული აქცენტი სამედიცინო პროფილისა და **ნკტ** კონსულტანტების კვალიფიკაციის შეფასებაზე არ გაკეთებულა, თუმცა კომპეტენციების თვალსაზრისით ნათლად გამოიკვეთა, რომ:

- სამედიცინო პროფილის თანამშრომელთა/კონსულტანთა უმრავლესობას არ აქვს რაიმე სახის სპეციფიური გადამზადება გავლილი წამალდამოკიდებულ პირებთან მუშაობისთვის;
- ხშირ შემთხვევაში, თანამშრომლებისთვის არ არის უზრუნველყოფილი საბაზისო ტრენინტები ისეთ თემებზე როგორიცაა ინფექციის კონტორილი და დასუფთავების/ სამედიცინო ნარჩენების მართვის საკითხები. ეს საკითხები არ არის სტანდარტიზებული და ყველა დაწესებულება შეხედულებისამებრ საზღვრავს;
- აქტუალურად გამოიკვეთა პროგრამის ფარგლებში შესყიდული ტესტ-სისტემების გამოყენების შესახებ ინფრომაციის საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტრენინგები ხორციელდება,

[2] ნკტ - ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება.

რამდენადაც ჩანს, ეს ტრენინგი ან დაგვიანებულად ტარდება, ან ყველა ლაბორანტისთვის არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, დაწესებულებები აღნიშნავენ, რომ ისინი ტესტ-სისტემის ინსტრუქციის ანაბარად არიან დარჩენილნი, რომელიც ხშირ შემთხვევაში, ქართულ ენაზე არ არის. მაგალითისთვის, ამ ინფორმაციის ნაკლებობის გამო, მიმდინარე პერიოდში ხდებოდა სისხლის შრატზე დაფუძნებული ტესტ-სისტემების გამოყენება უშალოდ სისხლით, რაც ბევრ მცდარ პასუხს იძლეოდა.

სოციალური მუშაკის საშუალო დატვირთვის მაჩვენებელი როგორც რეგიონებში, ისე თბილისში 100-150 ბენეფიციარია. წარმოდგენილ მაჩვენებელთან დაკავშირებით, რეგიონებში არსებული ყველა დაწესებულება აღნიშნავს, რომ ეს დატვირთვა ძალიან მაღალია.

აღსანიშნავია, რომ არსებობს თვისებრივი განსხვავება რეგიონებსა და თბილისს შორის, მიუხედავად პირობითად მსგავსი სამუშაო დატვირთვისა.

თბილისში არსებული სერვის ცენტრები მხოლოდ თბილისის ფარგლებში ახორციელებენ მომსახურების მიწოდებას, ხოლო რეგიონში არსებული ცენტრები – ხშირად მთელი რეგიონის მოცვას ცდილობენ. შესაბამისად, მომსახურების მიწოდების ერთეულები მნიშვნლოვნად არის დაშორებული ტერიტორიულად, რაც სამუშაო დროს მნიშვნელოვნად ზრდის.

ინტერვიურების პროცესში აღნიშნული იქნა, რომ დაწესებულებებში დიდია პერსონალის გადინება/ცვლა, განსაკუთრებით ეს ეხება თბილისს და აუთრიჩ/სოციალურ მუშაკებს.

გადინების ძირითადი მიზეზი ორგანიზაციის შინაგნაწესის დარღვევაა. დაწესებულებებში არსებული შიდა პრაქტიკით, გარდა ძალიან გამოცდილი თანამშრომლებისა, ყველას 1-3 თვიანი ხელშეკრულება, განსაკუთრებით თემის წარმომადგენელ მომხმარებლებზე ვრცელდება. მოკლევადიანი ხელშეკრულება, დაწესებულების მენეჯმენტს საშუალებას აძლებს პირის სამსახურიდან გათავისუფლების პროცედურა გაამარტივოს.

ანაზღაურების თვალსაზრისით, დაწესებულებებში დასაქმებული პირების ანაზღაურება პროგრამული შტატისთვის (სოციალური მუშაკები, ნკტ კონსულტანტები, PDI კონსულტანტი) და მენეჯერული პოზიციებისთვის ანაზღაურება საქართველოში არსებული საშუალო ნომინალური ხელფასის ტოლფასია (ნომინალური ხელფასი 2013: 773 ლარი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2013)) და 700-800 ლარის ფარგლებში მერყეობს (ერთ თვეზე გათვლით). თუმცა გარკვეულწილად, გამონაკლისს წარმოადგენენ სამედიცინო პროფილის მქონე თანაშრომლები, როგორიცაა TB კონსულტანტი და ლაბორანტი. მათი ანაზღაურება საშუალო ნომინალურ ხელფასზე დაბალია. აქვე აღსანიშნავია, რომ დასაქმების სფეროს მიხედვით, სამედიცინო პერსონალის ნომინალური ანაზღაურება 15%-ით ჩამორჩება სხვა დარგებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში ანაზღაურების ოდენობა პრაქტიკულად ფიქსირებულია. შესაბამისად, დაწესებულების მენეჯერი მოკლებულია შესაძლებლობას, რომ რომელიმე თანამშრომლის წახალისების მიზნით ანაზღაურება სხვა ფორმით გადაანაწილოს.

თანამშრომლობა სხვა სექტორებთან

ინტერვიუების დროს თანამშრომლების კუთხით არაერთი „კარგი პრაქტიკის" მაგალითი იყო მოყვანილი დაწესებულებების თანამშრომლებიც მხრიდან. პრაქტიკულად სულ რამდენიმე შემთხვევა იყო დაფიქსირებული, როდესაც ადგილი ჰქონდა ან მეზობლების უკმაყოფილებას, ან პრობლემებს სამართალდამცავ ორგანოებთან. პოზიტიური თანამშრომლებიც კუთხით, უნდა აღინიშნოს, თანამშრომლობის მაგალითები სამართალდამცავ ორგანოებთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

რამდენიმე ორგანიზაცია, რეგულარულად ატარებს შეხვედრებს როგორც სამართალდამცავ პირებთან, ისე ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ეს მოიცავს, მაღალ თანამდებობებზე მყოფი პირების

შეცვლის შემთხვევაში გაცნობით ვიზიტებს და თანამშრომლეობას მიმდინარე საკითხებთან მიმართებაში.

ამ თვალსაზრით გამოირჩევიან ორგანიზაციები რეგიონებში, რომლებიც პარალელურად გაერთიანებული არიან სხვადასხვა არასამთვრობო ქსელურ ორგანიზაციებში, რაც მათი ინტერაქციის მანდატს აფართოებს.

რამდენიმე სათემო ორგანიზაცია ასევე აქტიურად მუშაობს როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ხელისუფლებასაც, რასაც განაპირობებს მათი, როგორც თემის წარმომადგენელთა, ადვოკატირების ღონისძიებები.

პოზიტიური თანაშრომლეობის მაგალითად ასევე უნდა განვიხილოთ ის ფაქტი, რომ ერთ-ერთმა მიმწოდებელმა ადგილობრივი ხელისუფლებისგან კლიენტებისთვის საჭირო სადიაგნოსტიკო კვლევების (C ჰეპატიტი) ჩასატარებლად თანხის გამოყოფის შესახებ შეთანხმების მიღწევაც მოახერხა. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება და მოტივატორია, პირებისთვის შესაბამის სამკურნალო პროგრამში ჩართვისთვის.

ხაზგასმით უნდა იქნას აღნიშნული, რომ ცენტრების უმრავლესობა აქტიურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა, განსაკუთრებით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში დამატებითი დაფინანსების მიღების ლობირების კუთხით. უნდა ითქვას, რომ ჩვენი კვლევის ფარგლებში მხოლოდ ერთეული შემთხვევების შესახებ მივიღეთ ინფორმაცია, რომ ეს ღონისძებები წარმატებით დასრულდა; ისიც, როგოროც წესი, მიმართული იყო რომელიმე კლიენტის საჭიროებების დაფინანსებაზე და არა უშუალოდ ზიანის შემცირების მომსახურებების დაფინანსებაზე. თუმცა, ეს უკვე მნიშვნელოვანი წარმატებაა.

მიუხედავად ამისა, არსებობს თანაშრომლობის ნეგატიური გამოცდილებაც:

- ერთი დაწესებულების შემთხვევაში, მათ მოუწიათ ოფისის გამოცვლა სამეზობლოსთან არსებული კონფლიქტის გამო;
- რამდენიმე დაწესებულება იხსენებს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მომსახურების ცენტრზე გარკვეული ზეწოლის განხორციელების ფაქტს (მაგალითად, ოფისში "შევარდნა", ან მოთხოვნა, რომ კლიენტების შესახებ ინფორმაცია მიიღონ). კვლევის პერიოდის განმავლობაში, ერთ-ერთ საიტზე სწორედ მსგავსი რეიდი განხორციელდა. უფრო გავრცელებული ფორმაა, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ცენტრში შესულ პირებზე თვალთვალი. ერთ-ერთი დაწესებულების ხელმძღვანელმა ისიც განგვიცხადა, რომ ძალიან კარგია, რომ "ოფისი ქალაქის განაპირას, სასაფლაოსთან მდებარეობს, რადგან ცენტრიდან გამოსულ კლიენტს თუ დახვდა სამართალდამცავი, ის მარტივად შესძლებს სასაფლაოზე მიმალვას"

გაფართოების შესაძლებლობები

გამოკითხულ პირთა უმრავლესობა აღნიშნავს, მზაობას და საჭიროებას, რომ მათ მიერ შეთავაზებული მომსახურებები გაფართოვდეს როგორც უშუალოდ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებების ნაწილში, ისე პროგრამის ფარგლებს გარეთ სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის მიმართულებით.

პროგრამული მომსახურებების გაფართოების საჭიროებები:

- სამედიცინო მომსახურებები: კონსულტაციების რაოდენობა დაწესებულებებისთვის პროგრამის ფარგლებში შეზღუდულია. შესაბამისად, დაწესებულებები გარკვეულ რიგს აკეთებენ კლიენტებისთვის. განსაკუთრებით პრობლემატურია, ექიმის კონსულტაციის შემდგომი ღონისძებების დაფინანსება, რასაც პროგრამის ფარგლებში უკვე ვეღარ ანაზღაურებენ.

- ქეისები: ქეისების რაოდენობა შეზღუდულია, ისევე როგორც ცალკეული ქეისისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი. ორგანიზაციები მსგავს დახმარებას დამატებით კიდევ უწევენ ბენეფიციარებს, თუმცა ეს როგორც ქეისი არ აღირიცხება.
- იურიდიული დახმარება: იურიდიული კონსულტაცია ძალიან საჭირო კომპონენტია, თუმცა ასევე შეზღუდულია. მიმწოდებელთა აზრით, მნიშვნელოვანია, რომ არსებობოდეს გაფართოვებული მომსახურება, მაგალითად, ადვოკატის დახმარება უშუალოდ პროცესის მსვლელობისას.

5. დისკუსია

მიუხედავად იმისა, რომ ზიანის შემცირების იდეა, მოიცავს ჯორჯ ელ ენჯელის მიერ შემუშავებულ ბიო-ფსიქო-სოციალურ თეორიაზე დამყარებული რისკებისა და ზიანის მინიმიზაციას (Canadian Pediatric Society, 2008), სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ, ძირითადი აქცენტი სერვისებში მაინც ბიოლოგიურ ნაწილზე კეთდება. ეს შესაძლოა განპირობებული იყოს იმ ფაქტორით, რომ ზიანის შემცირების მიდგომების წარმოშობას ძირითადი ბიძგი მისცა აივ-ინფექციის ეპიდემიამ და იმის გააზრებამ, რომ თავშეკავებაზე დაფუძნებული მიდგომები ედიქციური ქცევის შემთხვევაში არაეფექტურია. აქედან გამომდინარე, ზიანის შემცირების ძირითად მიზნად რჩება აივ ინფექციისა და სხვა სისხლით გადამდები ინფექციების პრევენცია. გაცილებით ნაკლები ყურადღება ექცევა ოჯახებთან მუშაობას ან სხვა ფსიქო-სოციალური მიმართულების სერვისებს. კონსულტაციების და ინფორმაციის მიწოდების სხვა მეთოდების დიდი ნაწილის გამოყენება სწორედ ამ მიმართულებით ხდება, რაც ქცევის ცვლილების თვალსაზრისით ნაკლებად ეფექტურია.

ზიანის შემცირების პროგრამა ხშირად გვევლინება პირველ სერვისად, რომელთანაც შეხება უწევთ ინექციური ნარკოტიკის მომხმარებლებს. სწორედ ეს არის მიზეზი, თუ რატომ არიან თემის წევრები აქტიურად არიან ჩართულები ახალი კლიენტების მოძიებისა და რეკრუტირების პროცესში. აქედან გამომდინარე, გადამისამართების ძლიერი სისტემის განვითარება უმნიშვნელოვანესია, რათა მოხდეს ყველა საჭირო სერვისის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. ნეილ ბორდენის მიერ 1953 წელს შექმნილი მარკეტინგის მიქსის მიხედვით პროდუქტის თუ სერვისის წარმატებას განსაზღვრავს პრომოციის, დროის და ადგილის ფაქტორი. ამ მხრივ რეკომენდებულია, რომ როგორც სერვისის მახასიათებლები, მიწოდების ადგილი, პროდუქტის შესახებ ინფორმაცია და მისი ღირებულება შესაბამისობაში იყოს მომხმარებლის საჭიროებებთან. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოში ზიანის შემცირების სერვისის მრავალფეროვნება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პროფესიის ადამიანები არიან დასაქმებულები ამა თუ იმ სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციაში, სხვადასხვა პოზიციაზე. ეს კი ზრდის არაფორმალიზებული მომსახურების რაოდენობას, რომელიც არც რეგულაციებს და სტანდარტებს ექვემდებარება და არც ანგარიშებში აისახება. ეს კი თავის მხრივ, დამატებით რისკებს უქმნის სერვისს როგორც პროვაიდერ ორგანიზაციას, ისე მომხმარებელს.

მიწოდების ადგილის მხრივ ასევე აღსანიშნავია მობილური სერვისების მრავალფეროვნების ნაკლებობა. მომსახურების ეს ტიპი, მოწოდებულია წამალდამოკიდებულების იმ კატეგორიისთვის, რომელიც არსებული ზოგადი სოციალური და საკანონმდებლო ნეგატიური კონტექსტიდან გამომდინარე ერიდებიან ზიანის შემცირებისა და ზოგადად, სერვისში მისვლას. მობილური სერვისის მრავალფეროვნების გაუმჯობესება (ტესტირება ველზე, სამედიცინო კონსულტაციები) მნიშვნელოვნად გაზრდის სერვისებით მომხმარებელთა მოცვას, რაც ინფექციების დროული დიაგნოსტიკის და მკურნალობის, ისევე როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზოგადი გაუმჯობესების წინაპირობას ქმნის. უნდა აღინიშნოს, რომ მსგასი მიმართულებით აქტივობები უკვე მიმდინარეობს მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ.

ქალი მომხმარებლების მოცვის გაზრდისთვის და მათი საჭიროებების დაკმაყოფლებისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ფაქტორები, რომელიც მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს მათი სერვისებში ჩართვისათვის. როგორც ალბერტ ბანდურას მიერ შექმნილ სოციალურ კოგნიტურ თეორიაშია

აღნიშნული, ადამიანის ქცევა დამოკიდებულია გარემო და პიროვნულ ფაქტორებზე, რომლებიც მუდმივ ურთიერთქმედებაშია და ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე. გარემოში არსებულ ბარიერებს შორის აღსანიშნავია სტიგმა-დისკრიმინაცია, როგორც ზოგადად სოციუმის ისე წამალდამოკიდებული მამაკაცების მხრიდან, საკანონმდებლო ბაზა, ქალების საჭიროებებზე მორგებული სერვისების დეფიციტი ზიანის შემცირების პროგრამებში და ადაპტირებული სერვისების გამოცდილების ნაკლებობა. პიროვნული ფაქტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად თვითსტიგმატიზაცია გვევლინება, რომელიც ხელს უშლის წამალდამოკიდებულ ქალებს ეძიონ როგორც ზიანის შემცირების ისე სამედიცინო სერვისები. იმ პირობებშიც კი, როდესაც სერვისი ანონიმურია წამალდამოკიდებული ქალები მაინც თავს არიდებენ პროგრამებში ჩართვას.

უნდა აღინიშნოს, რომ სერვისის მიმწოდებლები არ აწარმოებენ კლიენტის კმაყოფილების რუტინულ გამოკითხვას და მხოლოდ ზეპირსიტყვიერი უკუკავშირით შემოიფარგლებიან, რაც ინფორმაციას ცალმხრივს და არასისტემურს ხდის. ამ ტენდენციას ნაწილობრივ ხელს უწყობს პროექტის ის შიდა რეგულაციები და პროცესები, რომელსაც დონორი ორგანიზაცია აწესებს. მათ შორის აღსანიშნავია, პროექტის მიერ კლიენტების მოცვის რაოდენობრივი მაჩვენებლის მაღალი მოთხოვნა, რაც რისკებს უქმნის სერვისის ხარისხს, პარალელურად ორგანიზაციის რესურსების ზრდის/გაუმჯობესების გარეშე.

სერვისების დივერსიფიკაციის ხარისხი განსხვავებულია ორგანიზაციებს შორის. შედარებით მდგრად ორგანიზაციებს, რომლებსაც დაფინანსების წყარო აქვს სხვადასხვა, საშუალება აქვთ უფრო მრავალფეროვანი მომსახურება შესთავაზონ მომხმარებლებს, რადგან ზიანის შემცირების ძირითად პროგრამაში შექმნილი საჭიროებების/დეფიციტის შევსება შეუძლიათ სხვა რესურსებიდან. შესაბამისად, ორგანიზაციებისთვის რეკომენდებულია დაფინანსების დივერსიფიკაცია და თავისუფალი სახსრების[3] მოზიდვა.

სერვისების მიმწოდებლების პრობლემები ასევე მიუთითებენ დონორ ორგანიზაციასთან ორმხრივი კომუნიკაციის დეფიციტზე, ვინაიდან არასრულყოფილად ხდება კლიენტების საჭიროებების გათვალისწინება დაგეგმვის და განხორციელების პროცესში.

ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ზიანის შემცირების პროგრამები საქართველოს სრულად ვერ მოიცავს. მაგალითად, კახეთში ჯერჯერობით მხოლოდ თელავშია ასეთი სერვისი ხელმისაწვდომი. მიუხედავად იმისა, რომ ადგილმდებარეობების დაგეგმვა მოხდა ნარკოსცენის გათვალისწინებით, წამალდამოკიდებულთა ნაწილს გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა აქვთ.

ორგანიზაციის რესურსებზეა ასევე დამოკიდებული, თუ რამდენად გამართულია ინფრასტრუქტურა იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს სერვისის მიმღებთა მოთხოვნები. ცენტრების ნაწილს არ აქვს ცალკე ოთახების საკმარისი რაოდენობა კონფიდენციალური კონსულტაციების გაწევისთვის. შესაბამისად ორგანიზაციას არ აქვს მკაცრი პოლიტიკა ამ საკითხის რეგულირებისთვის. მიზნობრივი ჯგუფის მარგინალიზაციის ხარისხიდან გამომდინარე, შესაძლოა ამან მომხმარებლებში უსაფრთხოების შეგრძნება შეამციროს.

ინფრასტრუქტურისა და ფიზიკური გარემოს მოთხოვნების მხრივ კიდევ ერთი პრობლემა არის ინფექციების კონტროლი. ვინაიდან ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებში ტუბერკულოზის რისკი მაღალია და არის შემთხვევები როდესაც თანამშრომლები ტუბერკულოზის აქტიური ფორმით დაავადებულ პირებს კონსულტაციას უწევენ შენობაში, დღის წესრიგში დგება ვენტილაციისა და სპეციალური ანტი-ბაქტერიული ნათურების დაყენების საკითხი.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ნალოქსონი, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ოპიატებით

---

[3] რესურსი, რომელსაც ორგანიზაცია განკარგავს თავისი მოსაზრებების მიხედვით. არ არის პროგრამაზე/პროექტზე მიბმული.

ზედოზირებისას, სერვისის მიმწოდებლების თქმით ყოველთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა ფორმით. უნდა აღინიშნოს, რომ 2011-2012 წლებში ნალოქსონის მნიშვნელოვანი დეფიციტი იყო სერვისის მიმწოდებლებში რაც ამ კვლევის მონაცემებით აღარ დასტურდება.

ადამიანური რესურსების მხრივ, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სათემო ჯგუფებს (ნარკოტიკების ყოფილ მომხმარებლებს) და სამედიცინო კვალიფიკაციის პერსონალს. აკადემიური ხარისხის მქონე სოციალური მუშაკების მნიშვნელოვანი დეფიციტი შეიმჩნევა. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მხოლოდ ერთ ორგანიზაციას ჰყავს დასაქმებული აკადემიური სოციალური მუშაკი. უნდა აღინიშნოს ის, რომ ორგანიზაციების დიდ ნაწილს გავლილი აქვს ტრენინგები ზიანის შემცირების სხვადასხვა საკითხის მიმართულებით, თუმცა სოციალური მუშაობის უნარები მაინც დეფიციტური რჩება. კლიენტების რაოდენობის მოცვის თვალსაზრისით სათემო ჯგუფების დასაქმება მიღებული პრაქტიკაა აივ ინფექციის პრევენციის სფეროში. ეს ტენდენცია საქართველოშიც ნათლად ჩანს. სერვისების მსგავსი განვითარება და პროფესიონალი სოციალური მუშაკების ნაკლებობა გარკვეულწილად განაპირობა, კლიენტების ფსიქო-სოციალურ ასპექტებზე სერვისის არასაკმარისმა ყურადღებამ და დამფინანსებელი ორგანიზაციის მოთხოვნის – კლიენტების მოცვის მაჩვენებლის ზრდამ. ამ უკანასკნელმა კი გაზარდა ახალი მომხმარებლების რეკრუტირების პროცესში თემის წევრების ჩართულობის აუცილებლობა.

აღსანიშნავია, რომ ზიანის შემცირების პროგრამების ფარგლებში ხდება შემთხვევების მართვა (ქეის მენეჯმენტი). თუმცა ინტერვენციის ეს ფორმა არ მიჰყვება ზოგადი ინტერვენციის მოდელს და იშვიათად არის მიმართული კლიენტის გაძლიერებისკენ, რაც შედეგების მდგრადობას რისკის ქვეშ აყენებს.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ფარგლებში თანამშრომლებთან სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების მოკლევადიანი სამუშაო ხელშეკრულებების საკითხის დეტალური კვლევა ვერ განხორციელდა, უსაფრთხოების შეგრძნების ნაკლებობა სავარაუდოდ ნეგატიურად აისახება ამ პირების მოტივაციაზე. მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიიდან კი ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანია უსაფრთხოების მოთხოვნილება, რომელიც ფიზიოლოგიური/ბაზისური მოთხოვნილების შემდეგ საფეხურზე დგას.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ პერიოდულად ხდება სახარჯი მასალებით მომარაგების წყვეტა, რაც სერვისის მიმწოდებლის იმიჯზე ნეგატიურად აისახება და სოციალურ მუშაკებს მარაგების განახლების შემდეგ უწევთ კლიენტების ხელახლა მოზიდვა სერვისში. ეს კი სერვისის ეფექტურობას მნიშვნელოვნად აზარალებს.

ზიანის შემცირების სერვისების არსებობა ფაქტიურად წარმოუდგენელია იმ გარემოში, სადაც სამართალდამცავი ორგანოები აქტიურად ავიწროებენ მომხმარებლებს, რომლებიც სერვისებში ერთვებიან. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად, ეს მსგავსი პრობლემების გარეშე მიმდინარეობს, იყო რამდენიმე შემთხვევა, რომელმაც რისკის ქვეშ დააყენა სერვისის მიმწოდებლის რეპუტაცია. მსგავსი პრობლემები მნიშვნელოვან ბარიერებს აჩენს სერვისის ხელმისაწვდომობის მხრივ, რაც საბოლოო ჯამში ზიანის შემცირების შედეგების მინიმიზაციას და ზოგადად, საზოგადოებაში სხვადასხვა სტატისტიკურ-ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლის გაუარესებას იწვევს.

განვითარებული ქვეყნების ნაწილში, ზიანის შემცირების მომსახურებები წამალდამოკიდებულ პირთა უფრო ფართო და ყოველისმომცველი პაკეტით გათვალისწინებული მომსახურებების ნაკრებია. მაგალითისთვის, დიდი ბრიტანეთი ახორციელებს სოციალური საცხოვრისის პროგრამას, რომლის ერთ-ერთი კომპონენტით არის ნემსებისა და შპრიცების პროგრამები და წამადამოკიდებულების მკურნალობის პროგრამები. საქართველოში მსგავი მოწყობა არ არსებობს და შესაბამისად, ძალინ პრობლემურ საკითხად რჩება კლიენტებისთვის სოციალური სერვისების შეთავაზების საკითხი.

კლიენტთა ნაწილს არ აქვს სტაბილური საცხოვრისი და შემოსავალი. შესაბამისად, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია კვებით უზრუნველყოფა, ან საშხაპეებისა და სამრეცხაო ინფრაქტრუქტურის შეთავაზება. არსებულ სოციალურ საცხოვრისებში, რომელსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტები მართავენ, არ არის საკმარისი ადაპტირებული სერვისები წამალდამოკიდებულთათვის, რომ ამ კონკრეტულ თემს გაუწიონ

შესაბამისი დახმარება.

6. დასკვნა

დასკვნის სახით, აღსანიშნავია, რომ პროგრამის ყველა მიმწოდებელის მიერ ბენეფიციარებისთვის შეთავაზებული სერვისების პარამეტრების ერთადერთი მარეგულირებელი ჩარჩო არის დონორის მიერ განსაზღვრული, რაც პოზიტიურად აისახება მომსახურებების მოცულობის ერთგვაროვნებაზე.

თუმცა არსებობოს გარკვეული ვარიაცია დაწესებულების პროფილისა და მდებარეობის მიხედვით.

მნიშვნელოვან გამოწვევებს შორის აღსანიშნავია პერსონალის კვალიფიკაციის უზრუნველყოფის შესაძლებლობები და სტანდარტები. არ არის განსაზღრული ძირითადი კომპეტენციების ჩარჩო და არც შესაბამისი პროგრამები არსებობს. ასევე პრობლემურია დაწესებულებების ფინანსური დამოუკიდებლობისა და მდგრადობის საკითხი. არსებული დაფინანსების სქემის ფარგლებში, დაწესებულებებს პრაქტიკულად არ აქვთ შესაძლობლობა, რომ სერვისები მოარგონ ადგილობრივ საჭიროებებს, ხოლო მათი შემოსავლის ძირითადი და ხშირად ერთდაერთი წყარო მხოლოდ პროგრამული დაფინსებაა.

ბიბლიოგრაფია

Rhodes, T., & Hedrich, D. (2010). Harm reduction and the mainstream. T. Rhodes, & D. Hedrich (რედ.)-ში, *Harm reduction: evidence, impacts and challenges* (ხმა European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction 10, გვ. 19-33). Luxembourg: Publications Office of the European Union.

Atun, R., & Kazatchine, M. (2010). Translating evidence into action — challenges to scaling up harm reduction programmes in Europe and Central Asia. E. M. Addiction, R. Tim, & H. Dagmar (რედ.)-ში, *Harm reduction: evidence, impacts and challenges* (გვ. 94-99). Luxembourg: Publications Office of the European Union.

Canadian Pediatric Society. (2008 წლის January). Harm reduction: An approach to reducing risky health behaviours in adolescents. *Paediatrics & Child Health*, გვ. 53–56.

Engel, G. L. (1978). THE BIOPSYCHOSOCIAL MODEL AND THE EDUCATION OF HEALTH PROFESSIONALS. *Annals of the New York Academy of Sciences*, 169–181.

Georgian Harm Reduction Network. (2012). *Annual Report.* Tbilisi.

Georgian Harm Reduction Network. (2014). *Annual Report 2014.* Tbilisi.

Kirtadze I, O. D. (2013). wice Stigmatized: Provider's Perspectives on Drug-Using Women in the Republic of Georgia. *J Psychoactive Drugs*(45), 1-9.

Kumpfer, K., Trunnell, E., & Whiteside, H. O. (1990). The Biopsychosocial Model: Application to the Addiction Field. R. C. Engs (რედ.)-ში, *Controversies in the Addition Field.* Dubuque, Iowa: Kendal-Hunt.

Ogborne, A. C. (2004). Theories of Addiction and Implications for Counselling. S. Carver, & V. Harrison (რედ.)-ში, *Alcohol & Drug Problems: A Practical Guide for Counsellors* (გვ. 3-21). Addiction Research Foundation, 3rd ed. .

Sirbiladze, T., & Tavzarashvili, L. (2012). *Estimating the Prevalence of Injection Drug Use in Georgia.* Tbilisi: Bemoni Public Union.

World Health Organization. (2012). *WHO, UNODC, UNAIDS technical guide for countries to set targets for universal access to HIV prevention, treatment and care for injecting drug users – 2012 revision .* Geneva: WHO Press.

World Health Organization. (2014). *Consolidated guidelines on HIV prevention, diagnosis, treatment and care for key populations .* Layout L'IV Com Sàrl, Villars-sous-Yens, Switzerland: WHO Press .

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2013). *ხელფასები*. დაბრუნებული 2015 წლის 24 06, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კორპორატიული ვებ-გვერდი: http://geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo-დან

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №2, დეკემბერი, 2015

Journal of Young Researchers, No. 2, December, 2015

საბჭოთა წარსულის გააზრება საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ

თამარ ქარაია *

დოქტორანტი, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

რეზიუმე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში, როგორც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, დაიწყო საბჭოთა წარსულის გადაფასების პროცესი. თუმცა, 1990-იან წლებში აღნიშნული პროცესი სრულყოფილად ვერ განხორციელდა, რაც მიმდინარე პოლიტიკის პრიორიტეტებით იყო განპირობებული. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა მთავრობამ აქტიურად დაიწყო საბჭოთა წარსულის ხელახალი ინტერპრეტაცია და ახალი კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირება.

მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს გაანალიზოს, საბჭოთა წარსულის გააზრების პოლიტიკა 2005-2012 წწ-ში. კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები მეხსიერების პოლიტიკის სტრატეგიის უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დაძაბვის შემდეგ, რომელიც 2005 წლის მეორე ნახევარში იწყება, მეხსიერების პოლიტიკა „მსხვერპლის“ კონცეფციის ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული და მისი, როგორც ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილის აღქმის დამკვიდრებას ცდილობს. კვლევის პროცესში გაანალიზდა ხელისუფლების მიერ განხორციელებული რამდენიმე ინიციატივა, მათ შორის: ოკუპაციის მუზეუმი, ისტორიული ჭეშმარიტების დამდგენი კომისია, ლუსტრაციის კანონი და ა.შ. განხილული ინიციატივების განხორციელებისას, უმეტეს შემთხვევაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება იქნა გათვალისწინებული, რაც, თავის მხრივ, მათი ანტირუსული განწყობებით იყო განპირობებული.

საკვანძო სიტყვები: *მეხსიერების პოლიტიკა, საბჭოთა წარსულის გააზრება, იდენტობის ტრანსფორმაცია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა*

Abstract

After the collapse of soviet imperia Georgia, as a former soviet republic began dealing with the soviet past. However, in the 90th these processes were limited and delayed. After the Rose Revolution, the new government re-addressing the totalitarian past, saw a number of problematic manifestations in political and cultural life in the post-soviet country.

This paper aims to analyze politics of overcoming soviet past in Georgia in 2005-2012. According to our hypothesis foreign policy priorities are the main motivator of strategies of politics of memories. After the ruin of Georgian- Russian relation, which started in 2005, the strategies of memory could be associated with politics of victimization and creation of the collective memory, prioritized as a national security issue. Several cases discussed in this research as the example of the politics of memory in contemporary Georgia; among them are Museum of Soviet Occupation, The State Commission for Establishing the Historical Truth and debates around so-called Lustration Low. Most of these initiatives were realized in the Eastern European countries, and using this version of the narrative in Georgia conditioned by its counter Russian character.

Key words: *politics of memory, overcoming soviet past, identity transformation, Georgian-Russian relation*

* *ელფოსტა: tamar.karaia@tsu.ge*

1. შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ სახელმწიფოებრიობის მშენებლობა ხელახლა დაიწყო. ამას თან ერთოდა ერის კონსოლიდაციისა და ახალი იდენტობის ჩამოყალიბების მცდელობა, რომელსაც უნდა ჩაენაცვლებინა თითქმის 70 წლის განმავლობაში კონსტრუირებული საბჭოთა მენტალობა. იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი კომპლექსური ხასათის იყო და თან ახლდა ახალი, კოლექტიური მეხსიერების შექმნის მცდელობები, თუმცა საბჭოთა ისტორიის ინტერპრეტირება და არსებულ საჭიროებებზე მორგება აღნიშნული პროცესის გამაერთიანებელ ფაქტორს წარმოადგენდა. კითხვაზე, თუ რატომ ანიჭებდნენ ქვეყნის მმართველები კოლექტიური მეხსიერების ფორმირებას დიდ მნიშვნელობას, პასუხი ცალსახაა: იდენტობა და მეხსიერება - ორივე განიხილება, როგორც დინამიური პროცესი, რომელიც კონსტრუქციონისტური ხედვის თანახმად, მუდმივად იცვლება და ამ ცვლილების შესაბამისად, ფორმირდება საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებები, მიზნები და ინტერესები.

კოლექტიური მეხსიერება საუკეთესო ინდიკატორია იმისა, თუ როგორ იაზრებს საზოგადობა საკუთარ თავს და „სხვებს“, რაც, თავისთავად, მის პრიორიტეტებსა და, შესაბამისად, მიღებულ გადაწყვეტილებებშიც აისახება. იქიდან გამომდინარე, რომ მეხსიერება ეროვნული იდენტობის უმთავრესი კომპონენტია, მას რთავენ პოლიტიკის დისკურსში და მეტიც, შესაძლებელია, ვისაუბროთ „მეხსიერების ოფიციალურ პოლიტიკაზე“, რომელიც სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით ქმნის საზოგადოებრივ აზრს ამა თუ იმ მოვლენის გარშემო.

საქართველოში, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ხელისუფლების ყოველ ცვლილებას თან ახლდა მეხსიერების პოლიტიკის პრიორიტეტების გადაფასება. მართალია, XX საუკუნის 80-90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, გარკვეული ძვრები შეიმჩნეოდა საბჭოთა წარსულის გააზრების კუთხით, მაგრამ ეს, ძირითადად, მკვლევართა საქმიანობასთან იყო დაკავშირებული და სახელმწიფო პოლიტიკის ფორმით ნაკლებად თანმიმდევრულ ხასიათს ატარებდა. გადაფასება უფრო მეტად შეეხო კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც უშუალოდ საბჭოთა კავშირის როლის პოზიტიურად წარმოჩენას ცდილობდა (წითელი არმიის შემოსვლა, 30-იანი წლების რეპრესიები, წინააღმდეგობის მოძრაობები და სხვ.) და უმთავრესად, ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში აისახა. საზოგადოების კოლექტიური მეხსიერების ფორმირების საკითხით ამ პერიოდში პოლიტიკოსები ნაკლებად ინტერესდებოდნენ.

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს ანტისაბჭოთა განწყობები თვალში საცემი იყო, რასაც ვერ ვიტყვით ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდზე. ხოლო ვარდების რევოლუციის შემდგომ, შესაძლებელია, ვისაუბროთ „ოფიციალური მეხსიერების“ შექმნის მცდელობაზე, რომელიც ორ ეტაპად იყოფა: პირველი მოიცავს 2003 წლიდან 2005 წლის მეორე ნახევარს და მიზნად ერის კონსოლიდირებას ისახავდა; ხოლო მეორე კი – 2005წ-ის მეორე ნახევრიდან – 2012 წლამდე პერიოდს.[1] სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს ჩვენი ნაშრომის საკვლევ პერიოდს. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის სამეცნიერო საზოგადოებაში მეხსიერების პოლიტიკა და, განსაკუთრებით, ტოტალიტარული და იმპერიული წარსულის გადაფასება კარგად ნაკვლევ თემას წარმოადგენს, საქართველოში ამ საკითხის კვლევა ახლა იწყებს განვითარებას. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს საბჭოთა წარსულის გადაფასების პროცესის, როგორც მეხსიერების კონსტრუირების ნაწილის შესწავლას.

---

[1] ნაშრომი არ შეისწავლის მეხსიერების პოლიტიკას 2012 წლის შემდეგ, რაც ხელისუფლების ცვლილების და შესაბამისად მეხსიერების პოლიტიკის პრიორიტეტების გადაფასებით არის განპირობებული. კვლევის მიზანი ასევე არ არის გაზომოს მეხსიერების პოლიტიკის საზოგადოებაზე ზეგავლენის შედეგები.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

ბოლო დროს მეხსიერების პოლიტიკის კვლევისადმი ინტერესის ზრდა სოციალურ მეცნიერებებში თვალშისაცემი მოვლენაა, რაც, თავის მხრივ, „მეხსიერების პროექტთა“ სიმრავლითაა გამოწვეული. ვერსიებს შორის დომინირებს ტექნოლოგიური რევოლუცია, რომელმაც მეხსიერებას პრევენციის ფუნქცია მიანიჭა. მას საზოგადოებისთვის უნდა შეეხსენებინა კაცობრიობის მიერ დაშვებული შეცდომების (რეპრესიები, ომები, ჰოლოკოსტი და ა.შ.) შესახებ. ეს ე.წ. კომუნიკაციური (ყოველდღიური) მეხსიერების ფორმირების პროცესია, რომელიც, თავის მხრივ, კულტურულ (ხანგრძლივ) მეხსიერებაში უნდა ტრანსფორმირდეს, საზოგადოების ცხოვრების ნაწილად იქცეს და თაობიდან თაობას გადაეცეს. ის გზადაგზა ითვისებს ნორმებს, ღირებულებებს, დამოკიდებულებებს და ერგება თანამედროვეობას (Assmann, 2006).

მეხსიერების პოლიტიკა ეს ის სფეროა, სადაც თითქმის არ არის ე.წ. „გრანდ თეორიები“. ამიტომაც, კონფინოს თანახმად „ის უფრო მეტად პრაქტიკული საკითხია ვიდრე თეორიული“ (Erll, Ansgar, Young, & (Ed), 2008). მაგრამ არის ტერმინოლოგიური სიუხვე, მათგან ყველაზე ხშირად გამოყენებადი „კოლექტიური მეხსიერებაა“. მ. ჰალბვაქსის მიერ გამოყენებული ეს ტერმინი, ხაზს უსვამს დამახსოვრებას, როგორც სოციალურ პროცესს. მეხსიერების შესახებ არსებული თეორიების ანალიზისას (Olick & Robbins, 1998), გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება. პირველის თანახმად, საზოგადობის მეხსიერება არის ე.წ. “დაგროვებული მეხსიერება”, როდესაც საზოგადოების ნარატივი წარმოადგენს ინდივიდთა გამოცდილების ჯამს (Young, 1993), რადგანაც დამახსოვრება ინდივიდუალური პროცესია და არა კოლექტიური. შესაბამისად, მეხსიერება ამ საზოგადოების შემკვრელს წარმოადგენს (Funkenstein, 1989). მეორე მიმართულების თანახმად, მეხსიერება „კოლექტიურია“ (Halbwachs, 1992) და აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ინდივიდებს არ აქვთ უშუალო გამოცდილება. ის მათ გადაეცემათ შუალედური რგოლების დახმარებით. გადაცემის პროცესი განგრძობადია, რითაც ხსოვნა თაობიდან თაობამდე აღწევს. კანსტეინერი კოლექტიური მეხსიერების ცნების ანალიზისას მიიჩნევს, რომ ის საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაციის შედეგად იქმნება (Kansteiner & Fogu, 2006).

აღნიშნული კვლევა დაფუძნებულია კოლექტიური მეხსიერების ჰალბვაქსისეულ გაგებაზე. ის ე.წ ზემოდან ქვემოთ მიმართულ მეხსიერების კონსტრუირების პროცესს შეისწავლის, რომელიც, თავის მხრივ, საზოგადოების დომინანტური ჯგუფების მიერ ნარატივების ფორმირების და საზოგადოებისათვის მიწოდების პროცესს გულისხმობს. ი. ასმანის მეხსიერების „კომუნიკაციურიდან“ „კულტურულში“ ტრანსფორმაციის თეორიის მეშვეობით, შესაძლებელი გახდა ჰალბვაქსის კომპლექსური მიდგომის ქმედებაში დანახვა და მისი ყოველდღიურ პროცესამდე დაყვანა. მმართველებსა და მართულებს შორის კომუნიკაცია ის მედიუმია, რომლის საშუალებითაც „კულტურული“ (ყოველდღიური) მეხსიერების პოლიტიკაში ჩართვა და მისი პოლიტიკის დღის წესრიგისადმი მორგება ხდება.

კოლექტიური მეხსიერების პოლიტიკურ განზომილებამდე დაყვანისას, შესაძლებელია, ასმანის ხელისუფლების მიერ მეხსიერების კონსტრუირების კონცეფციის გამოყენება, რომელიც ძალაუფლების მქონეთა მიერ მისი შექმნის შესაძლებლობას უშვებს. აგილარი და ჰამბელბეკი ერთმანეთისგან განასხვავებენ სოციალურ და პოლიტიკურ მეხსიერებებს, რამდენადაც ეს უკანასკნელი კონკრეტულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება (Aguilar & Humbelbek, 2002). მეხსიერების პოლიტიკის დაგეგმვისას საზოგადოების მოთხოვნის გათვალისწინებაზე ამახვილებენ ყურადღებას გედი და ელამი, რამდენადაც, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, თუ როგორ და რა რესურსების გამოყენებით ხდება აღნიშნული საჭიროების განსაზღვრა და გამოხატვა. ისინი არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ შესაძლებელია საზოგადოების წევრებს თანაბარი წვდომა ჰქონდეთ მეხსიერების ყველა ვერსიაზე, რათა მათ საფუძველზე ჩამოყალიბდეს/რეკონსტრუირდეს საუკეთესო. მაგრამ დომინანტურ ჯგუფებს, საკუთარი გავლენის წყალობით, შეუძლიათ გამოვიდნენ საზოგადოების სახელით და მიიღონ მონაწილეობა მეხსიერების მათი

შეხედულებისამებრ კონსტრუირების პროცესში (Gedi & Elam, 1996). შესაბამისად, პოლიტიკური და სოციალური ელიტები ხდებიან მეხსიერების აგენტები, მისი საკუთარი ინტერესების შესაბამისად შემქმნელები (Paabo, 2011). ეს არის ე.წ. ზემოდან ქვემოთ მიმართული მეხსიერების პოლიტიკის ფორმირების პროცესი. თუმცა მკვლევართა აზრით, წარსულის „მოქნილობა“ (malleability of past) ლიმიტირებულია (Olick & Robbins, 1998). წარსულის ყველა ასპექტის გაკონტროლებაც არ ძალუძთ დომინანტურ ჯგუფებს. ეს მოვლენა უკვე ასახულია ინდივიდების მეხსიერებაში და ის იმდენად დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე, რომ მისი სხვა ინტერპრეტაციით გადაფარვა შეუძლებელია. სწორედ ეს არის ქვემოდან ზემოთ მიმართული მეხსიერების პოლიტიკა. მეხსიერების თაობიდან თაობაზე გადაცემის ფუნქციაც, ამ მიდგომის ერთ-ერთი გამამყარებელი არგუმენტია. თუმცა, აღნიშნული იდეაც გვერდს ვერ უვლის პოლიტიკური ელიტის როლს მეხსიერების კონსტრუირების პროცესში. მართალია, მათ არ ძალუძთ არსებული მეხსიერების წაშლა და ახლის შექმნა, მაგრამ აქვთ რესურსი მნიშვნელოვნად შეცვალონ არსებული (Paabo, 2011).

3. მეთოდოლოგია და თეორიული ჩარჩო

აღნიშნული კვლევა ორიენტირებულია შეისწავლოს საქართველოში საბჭოთა წარსულის გააზრება, როგორც მეხსიერების პროექტი, რომელიც ზემოდან ქვემოთ არის მიმართული და, როგორც წესი, მმართველთა მხრიდან მეხსიერების ოფიციალური პოლიტიკური კურსის შემუშავებას გულისხმობს. ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირება. კვლევის ობიექტად შეირჩა სახელისუფლებო დისკურსი, რომელიც მეხსიერების ოფიციალურ პოლიტიკას ასახავს.

კვლევის თეორიული ჩარჩოა სოციალური კონსტრუქციონიზმი, რომლის მიმდევრები (Berger & Luckmann, 1967) საზოგადოებას, როგორც კონსტრუქციას განიხილავენ, ხოლო კოლექტივი ხდება სოციალური არტეფაქტი, რომლის რეფაბრიკაცია და მობილიზაცია ძალაუფლების ზეგავლენის შედეგია. ეს არის ერთგვარი „ინსტიტუციონალური სამყარო“, ინსტიტუციონალიზაცია ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოების წევრები იზიარებენ აქტივობებს. შედეგად, გაზიარებული აქტივობა ყალიბდება, როგორც ჩვეულება, რომელსაც ყველა მისდევს და დროთა განმავლობაში ცხოვრების ნაწილად იქცევა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირება და, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში კოლექტიური მეხსიერების კომპონენტების ცვლილებაც. მათი შინაარსი კი დიდწილად, პოლიტიკის დღის წესრიგზეა დამოკიდებული. მეხსიერების კონსტრუირება და მართვა ხელეწიფებათ მათ, ვისაც საზოგადოების დარწმუნების მექანიზმებზე აქვთ წვდომა (Nora, 1989).

მონაცემების მოპოვება შესაძლებელია ხელისუფლების მიერ მიღებულ ისეთ გადაწყვეტილებებში, როგორიცაა: საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმისა და ისტორიული ჭეშმარიტების დამდგენი კომისიის შექმნა, ასევე „თავისუფლების ქარტიის“ (ლუსტრაციის კანონის) მიღება და საბჭოთა კავშირის დროინდელი საარქივო მასალების გასაჯაროება. გარდა ამისა, ნაშრომში ასახულია დებატები მეორე მსოფლიო ომის დასრულების თარიღის, საბჭოთა პერიოდის ძეგლების ჩამოგდების და ქუჩებისთვის საბჭოთა პერიოდის სახელწოდებების შეცვლის შესახებ.

მონაცემების მოპოვებისა და დამუშავებისათვის გამოყენებულ იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდოლოგია. ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით 2010-2014 წწ-ში ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები ისტორიკოსებთან და პოლიტიკოსებთან, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულები მეხსიერების პოლიტიკის ფორმირების და რეალიზაციის პროცესში. ასევე, თვისებრივად გაანალიზდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის 2004-2012 წლების მიმართვები და გამოსვლები, ასევე პოლიტიკოსების გამოსვლები და სხვადასხვა კომისიის მიერ მომზადებული ანგარიშები, რომლებიც მეხსიერების პოლიტიკის საკითხებს ეხებოდა.

4. საბჭოთა ოკუპაცია, როგორც მეხსიერების პროექტი

2003 წელს „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლების კარგი სასტარტო პირობები და საზოგადოებაში მისდამი არსებული დიდი მხარდაჭერა, დიდწილად, წინა ხელისუფლების დისკრედიტირებული მდგომარეობით იყო განპირობებული. ეს თავისთავად, ახალი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოშობდა - იგი უნდა გამიჯვნოდა ძველს და დაეძლია წარსულის ნეგატიური მემკვიდრეობა. ასევე, განესაზღვრა, იქნებოდა ახალი ეტაპი ძველის მემკვიდრე, თუ სახელმწიფოს მშენებლობა თავიდან დაიწყებოდა.

აღნიშნული საკითხი მარტივად, წარსულზე საზღვრის გავლების სტრატეგიის არჩევით მოგვარდა. კერძოდ, ოფიციალური დისკურსის თანახმად, დაიწყო სახელმწიფოს მშენებლობის ახალი ეტაპი, რაც თავისებრივად, ნიშნავდა ურთიერთობების ხელახლა დამყარებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, ინსტიტუციების რეფორმირებასა და შექმნას, საზოგადოების ახალი მენტალიტეტის ფორმირების ხელშეწყობას. ასევე, აღსანიშნავია, რომ ახალი სახელმწიფო სამოქალაქო ნაციონალიზმის მშენებლობაზე აკეთებდა აქცენტებს და ამით, საზოგადოების უნიფიცირებას ისახავდა მიზნად. ამისთვის საჭირო იყო, წარსულის ინტერნალიზაცია, გათავისება, რასაც ასმანი „ეროვნულ მეხსიერებას“ უწოდებს (Assmann, 2006). შესაბამისად, 2003-2005 წწ. მეხსიერების პოლიტიკა, ძირითადად, ახალი იდენტობის კონსტრუირების მცდელობაში, სიმბოლოების შექმნასა და მათ ყოველდღიურობის ნაწილად ქცევაში გამოიხატება. საბჭოთა წარსულის გააზრების და მისი „ოფიციალური მეხსიერების პოლიტიკის“ ნაწილად ქცევის პროცესი 2005 წლის მეორე ნახევრიდან იწყება.

2005-2012 წლებში მეხსიერების პოლიტიკის ანალიზისას გამოიყოფა რამდენიმე თემა, რომელიც დომინანტურია მიხეილ სააკაშვილის დისკურსში[2]. ისინი, ამავე დროს, ერთგვარ ინდიკატორსაც წარმოადგენენ, რომელთა საფუძველზეც გაანალიზდა საქართველოში საბჭოთა წარსულის გადაფასების პოლიტიკა. ეს თემებია: წარსულის კონკრეტული ფაქტების გახსენება/„აღმოჩენა“ და მათი შესაბამისი ინტერპრეტაცია, რუსეთის ფედერაციისადმი დამოკიდებულებისა და აღქმის ტრანსფორმაცია პარტნიორიდან ისტორიულ მოწინააღმდეგემდე და მეხსიერების პოლიტიკის მასზე მორგება.

ურთიერთობების ხელახლა დამყარების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობის განმუხტვას ენიჭებოდა. ქვეყნებს შორის ურთიერთობაში მიღწეულ დიდ წარმატებად საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები 2005 წელს რუსული სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის პროცესს განიხილავდნენ (სააკაშვილი მ. , საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით ორ ქვეყანას შორის მიღწეული შეთანხმების თაობაზე ბრიფინგი გამართა, 2005). ამ პოზიტიურ მოვლენაზე აქცენტირებით ცდილობდნენ, ხაზი გადაესვათ წარსულის ცუდ გამოცდილებაზე და მომავალი ურთიერთობები შეძლებისდაგვარად სუფთა ფურცლიდან დაეწყოთ. ეს დამოკიდებულება, გარკვეულწილად, უახლოვდება სტრატეგიას, რომელიც პოსტ-რევოლუციური საქართველოს საშინაო პოლიტიკაში შევარდნაძის პერიოდის შეფასებისას გამოიყენებოდა. იმ განსხვავებით, რომ ხელისუფლება მართალია, ორივე შემთხვევაში წარსულისგან დისტანცირებას ცდილობდა, მაგრამ, შევარდნაძის მოღვაწეობა ხაზგასმით ნეგატიურად იყო შეფასებული, ხოლო მეფის რუსეთისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შეფასებას ან საერთოდ არიდებდნენ თავს, ან არადა, შეძლებისდაგვარად ნეიტრალური ფორმით განიხილებოდა.

რუსეთის როლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის პროვოცირების საკითხში ამ დროს

---

[2] აქცენტი პრეზიდენტის დისკურსზე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ძირითადი ინიციატივები ცხადდებოდა მიხეილ სააკაშვილის მიერ.

ნიველირებულია. საბჭოეთის გახსენებისას აქცენტები მხოლოდ მანკიერ მენტალიტეტზე კეთდება. შესაბამისად, 2003-2005 წლის მეხსიერების პოლიტიკის ძირითადი ტენდენცია საზოგადოების კონსოლიდაციისათვის ჰეროიკული წარსულის გამოყენებაა.

რუსეთთან ურთიერთიერთობის დაძაბვის და შესაბამისად, ზიარი წარსულის განსხვავებულად გადაფასების მცდელობები 2005 წლის დასასრულიდან ჩნდება. ერთ- ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ენერგოკრიზისი იყო, როდესაც რუსეთ-საქართველოს მაგისტრალურ გაზსადენზე განხორციელებული დივერსიის შედეგად, საქართველოს თითქმის მთელ მოსახლეობას გაზის მიწოდება შეუწყდა. საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთი ენერგიის მომწოდებელ „არასაიმედო და არასანდო პარტნიორად" (სააკაშვილი მ. , საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა უშიშროების საბჭოს სხდომაზე, 2006) შეფასდა. ხელისუფლების დისკურსში უკვე გაჩნდა ტერმინი „მტერი". *„ჩვენი მოთმინება უსაზღვრო არ არის... ჩვენ დავბრუნდებით, საკითხი დგას მხოლოდ ასე – როდის? როდის და მალე – მტრის ჯინაზე და ჩვენს გასახარად!* (სააკაშვილი მ. , დღევანდელი დღიდან ვიწყებთ ათვლას აფხაზეთში დასაბრუნებლად, 2005).

ქვეყნებს შორის ურთიერთობა უფრო გაამწვავა რუსეთიდან ქართველების დეპორტაციამ და ქართულ პროდუქციაზე დაწესებულმა ემბარგომ. შედეგად, საქართველო-რუსეთის წარსული გამოცდილების შეფასება გამკაცრდა. მაგალითად, თუკი აფხაზეთის კონფლიქტში გარე ძალების ჩართულობაზე საუბრისას საქართველოს პრეზიდენტი 2004 წელს აქცენტს ჩრდილოკავკასიელებზე აკეთებდა და ბესლანის ტრაგედიის გათვალისწინებით, მათ საქარველოსა და რუსეთის საერთო მტერს უწოდებდა (სააკაშვილი მ. , საქართველოს პრეზიდენტის საჯარო გამოსვლა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრებთან შეხვედრაზე, 2004), 2005 წლის მიწურულს უკვე ხაზი გაესვა რუსეთის მიერ სეპარატისტების მხარდაჭერის ფაქტს (სააკაშვილი მ. , საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე, 2005), გაჩნდა ტერმინი „ანექსია", რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის კონფლიქტებში რუსეთის ჩართულობის აღსანიშნავად გამოიყენება.

პირველად საქართველოს ხელისუფლებამ 2006 წლის თებერვალში განაცხადა საბჭოთა წარსულის გადაფასების დასაწყისის შესახებ, როდესაც პრეზიდენტმა პატივი მიაგო 1921 წლის თებერვალში დაღუპული იუნკრების ხსოვნას. სააკაშვილის განცხადებით საბჭოთა რუსეთმა „საქართველო გააჩანაგა, გაანადგურა და ევროპული განვითარების გზას ჩამოაშორა" (სააკაშვილი მ. , საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ქართველ იუნკერთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, 2006). ამასთანავე, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც თებერვალში აღნიშნავენ წითელარმიელთა დღეს და არიან ადამიანები, რომლებიც აღნიშნავენ გმირი იუნკრების დღეს. სწორედ აქ გადის ზღვარი, საქართველოს მომავალ განვითარებას და სტაგნაციას შორის. საქართველოსაც უნდა გაეკეთებინა არჩევანი თუ რომელ დღეს აღნიშნავდა. აღნიშნული გამოსვლისას ხელისუფლებამ ხაზი გაუსვა რუსეთსა და ევროპას და წარსულსა და აწმყოს შორის პარალელის გავლების არჩევანის აუცილებლობაზე. ასევე, გააჟღერა ინფორმაცია საფრთხის ახალი წყაროს შესახებ. როგორც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკისთვის 1921 წელს იყო საბჭოთა რუსეთი, ასევე დღესაც, საქართველოსთვის უმთავრესი საფრთხე სწორედ ჩრდილოეთიდან მოდიოდა. მიუხედავად 85-წლიანი სხვაობისა, მეთოდებიც მსგავსი იყო. კერძოდ, ორჯონიკიძე საქართველოში მე-11 არმიას აჯანყებულთა დასახმარებლად შემოუძღვა. ახლაც იგივე პრობლემა იდგა, რადგანაც საუბარი დაიწყო საქართველოში ქართველების მძიმე მდგომარეობაზე და შესაძლებელი იყო „ახალი ორჯონიკიძის" გამოჩენაც (სააკაშვილი მ, იქვე).

მეხსიერების პრიორიტეტების ცვლილების შესაბამისად, საჭირო გახდა „მეხსიერების ადგილების" (Nora, 1989) შექმნა, რომელიც მუდმივად შეახსენებდა საზოგადოებას, რომ ის მსხვერპლია და დამნაშავეს სახელი უნდა დაერქვას. ოკუპაციის თემის აქტუალიზაცია და მისი საზოგადოებაში დამკვიდრების მცდელობა იმდენად აქტიური იყო, რომ მას შესაძლებელია, „ჰეგემონური" ნარატივიც ვუწოდოთ, რომლის თანახმადაც, კოლექტიური მეხსიერება არ მოიცავს მხოლოდ დამახსოვრებას. ის

უფრო მეტად დამახსოვრებული ფაქტების ყოფიერ გათვალისწინებას უკავშირდება, კერძოდ, „კოლექტიური მეხსიერება ეს არის თხრობა, თუ როგორ მოხდა ეს მოვლენა, ამასთანავე, ამ თხრობას თან ახლავს სურათები, რომელიც აღნიშნულ თხრობას აფიქსირებს გონებაში“ (Sontag, 2003).

მიხეილ სააკაშვილმა 1921 წელს წითელ არმიელებთან ბრძოლაში დაღუპული იუნკრების მემორიალთან ასევე აღნიშნა, რომ 26 მაისს გაიხსნებოდა საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, რომელიც საზოგადოებას შეახსენებდა საბჭოთა იმპერიის მმართველობის სისასტიკეს საქართველოში. ამ განცხადებით, საქართველოში დაიწყო ოკუპაციის, როგორც „მეხსიერების პროექტის“ პოპულარიზაცია. თუკი სონტაგის თეორიას გამოვიყენებთ, დაიწყო იმ „სურათების“ შექმნა, რომელიც ოკუპაციის შესახებ მეხსიერებას რეალური ცხოვრების ნაწილად აქცევდა და ყოველდღიურობაში გამოხატავდა (Sontag, 2003). ამის ერთ-ერთი მაგალითი ოკუპაციის მუზეუმი იყო, რომლის შექმნისას ბალტიისპირეთის სახელმწიფოების გამოცდილება გამოიყენეს. ამ ფაქტს სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა და ხაზს უსვამდა საქართველოს ევროპულ ორიენტაციას. თავისი ისტორიული ნარატივით საქართველო ევროპულ ოჯახში გაერთიანებას ცდილობდა (ურუშაძე, 2010).

ოკუპაციის მუზეუმში წარსული და აწმყო ერთმანეთს კომპლექსურად დაუკავშირდა. აღნიშნულის მაჩვენებელი მუზეუმში „ვარდების რევოლუციის“ ექსპოზიციაში ჩართვა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ოკუპაციის მუზეუმის ნარატივში ძალიან მწირია ან თითქმის არ არის მასალები 1956 წლის მარტის მოვლენების, 1978 წლის აპრილში დედაენის დაცვისთვის გამოსვლის, 1980-იანი წლების დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პირების მონაცემების შესახებ, ფილმი „ვარდების რევოლუციის“ შესახებ მუდმივად აცნობდა ვიზიტორებს აღნიშნული მოვლენის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. აღნიშნულის გამართლებად ოკუპაციის მუზეუმის ერთ-ერთმა ავტორმა, ირაკლი ზაუტაშვილმა, განაცხადა, რომ „ვარდების რევოლუციას“ დამთვალიერებელთათვის ოპტიმიზმი მოჰქონდა (ელისაშვილი, 2006) . ეს სიტყვები ერთგვარი გამოძახილია პრეზიდენტ სააკაშვილის ადრე გაკეთებული განცხადების, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლიდან თოთხმეტი წლის შემდეგ განთავისუფლდა (სააკაშვილი მ. , საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა მიუნჰენის 42-ე საერთაშორისო კონფერენციისადმი მიძღვნილ სადილზე, 2006). თავად „ვარდების რევოლუციაც“ ერთგვარ მეხსიერების პროექტად იქცა.

პროექტ „ოკუპაციის“ კიდევ ერთი კომპონენტი მისი საკანონმდებლო დონეზე გაფორმება იყო. 2010 წ. საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც 25 თებერვალი ოფიციალურად საბჭოთა ოკუპაციის დღედ გამოცხადდა. პარლამენტის დადგენილებით, მთავრობას დაევალა ყოველ 25 თებერვალს მოემზადებინა სხვადასხვა ღონისძიება ამ დღის აღსანიშნავად და ასევე, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გლოვის ნიშნად დაეშვათ სახელმწიფო დროშები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვთქვათ, რომ ოკუპაციის მუზეუმის საშუალებით, ოფიციალურად მოხდა საბჭოთა ისტორიის რუსული ნარატივისგან დისტანცირება. ამასთანავე, აღნიშნული გზა არჩეულ იქნა ორი მიზნით: პირველი, ოკუპაცია ხდებოდა საზოგადოების მეხსიერების ნაწილი და მეორე, ამ გზით საქართველო უერთდებოდა ევროპის იმ ნაწილს, რომელიც არ იზიარებდა რუსეთის ფედერაციის ღირებულებებს. შერჩეული ფაქტების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად ქცევის კიდევ ერთი მაგალითია ტელეპროექტი „ოკუპაცია“, რომელიც საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის მიერ განხორციელდა.

აღნიშნული პროექტი შეიძლება განვიხილოთ ორი მიმართულებით: სონტაგის თეორიის შესაბამისად, აუცილებელია ჰეგემონური „მეხსიერების ვიზუალიზაცია“. სატელევიზიო ფილმი ამის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. ოფიციალური ისტორიის თხრობის თანახმად, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია, როგორც 1921 წელს, ისე 2008 წელს არ იყო გამონაკლისი, მხოლოდ საქართველოს შემთხვევა, კოლაბორაციონისტული მოძრაობის პრაქტიკა არსებობდა აღმოსავლეთ ევროპაშიც. ამ ასპექტზე აპელირება საქართველოს მისცემდა საშუალებას ეზრუნა კოლექტიური

მეხსიერების კონსტრუირებაზე და ჩაწერილიყო საერთო ევროპულ ოჯახში. ევროპაში წინააღმდეგობის მოძრაობის წარმატებული მაგალითების საქართველოში მეხსიერების პოლიტიკაში ჩართვა კიდევ ერთი მორიგი არგუმენტია, თუ რატომ უნდა ემუშავა სახელმწიფო პოლიტიკას აღნიშნული მიმართულებით.

5. ლუსტრაციის საკითხი

ერთ-ერთი დაპირება, რითაც სააკაშვილის გუნდი ხელისუფლებაში მოვიდა, ლუსტრაციის კანონის მიღება და საბჭოთა საიდუმლო სამსახურებთან დაკავშირებული პირების ხელისუფლებიდან ჩამოშორება იყო. ამასთანავე, ამ კათარზისის პირობას იმ იმედით იძლეოდნენ, რომ ხელისუფლებაში მოდიოდნენ ახალგაზრდები, რომელთაც, წესით, საბჭოთა წარსულთან კავშირი არ უნდა ჰქონოდათ. ამასთანავე, ლუსტრაციის საკითხი, ერთგვარად, „მოუქნელი წარსულის“ მაგალითს წარმოადგენდა, რამდენადაც საზოგადოებაში მუდმივად არსებობდა ხსოვნა მისი არგატარების შესახებ.

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, დაპირებისამებრ, 2004 წელს ლუსტრაციის კანონის მიღების შესაძლებლობაზე დაიწყო საუბარი. დროთა განმავლობაში, ამ საკითხის განხილვის ინტენსივობა და ინტერესი იცვლებოდა, იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო ურთიერთობები პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს შორის. მაგრამ, ფაქტია, მისი ინსტიტუციონალურ დონეზე გაფორმების ერთსულოვანი ნება ჯერაც არ არსებობდა. ლუსტრაციის საკითხს მოგვიანებით ორი თემა დაუკავშირდა: 1) კოლაბორაციონისტებთან ბრძოლა და 2) ქვეყნის უსაფრთხოების პრიორიტეტები. შესაბამისად, სახელმწიფოს პოლიტიკა მოცემულ ჭრილში უნდა განვიხილოთ.

2004 წ. უშიშროების მინისტრ ზურაბ ადეიშვილის საზოგადოებისთვის წარდგენისას, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ „ახალი ქართული სახელმწიფო არანაირად არაა ვალდებული საბჭოთა კავშირის დროინდელი საქმეები საიდუმლოდ შეინახოს...იუსტიციის მინისტრობის დროს მას აქვს ნანახი აღნიშნული სიები და, შესაბამისად, იცის, რომ იქ საკმაოდ პატივსაცემი ადამიანები არიან მოხსენიებულნი... " (სააკაშვილი მ. , პრეზიდენტმა სააკაშვილმა უშიშროების მინისტრი წარადგინა, 2004) ახალ მინისტრს საჯაროდ დაავალა, რომ მეორე დღესვე გაეხსნა ყოფილი საბჭოთა სუკ-ის არქივები 1920-1930 წლებიდან მოყოლებული და გამოექვეყნებინა საბჭოთა სპეცსამსახურის ქართველი აგენტების სია. ამ განცხადებით ჩანდა, რომ ხელისუფლების ყველა დონეზე არსებობდა აღნიშნული კანონპროექტის მიღებისთვის მზადყოფნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მსგავსი დოკუმენტი არ მომზადებულა.

სააკაშვილის ეს განცხადება ერთი მხრივ, წარმოადგენდა ლუსტრაციის კანონის მიღების შესახებ წინასაარჩევნო დაპირების შესრულების მცდელობას, მაგრამ, ამავე დროს, მასში შესაძლებელია სხვა მიზნების დანახვაც. იმდენად, რამდენადაც ინტელიგენციისა და პოლიტიკოსების ნაწილი არ თანაუგრძნობდა პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ რეფორმებს, არქივების გახსნის დაპირება ერთგვარი სასჯელი იყო ამ არალოიალურობისთვის. ამასთანავე, პრეზიდენტმა დააფიქსირა, რომ ის არ იყო წინააღმდეგი ლუსტრაციის კანონის მიღების და თუნდაც, კანონი არ მომზადებულიყო, არქივების განსაჯაროებით ის აღნიშნულ პროცესს შეუწყობდა ხელს.

ლუსტრაციის საკითხის გამწვავება დროში ემთხვევა ასევე 2005 წ. გააქტიურებულ რუსეთის დედაქალაქს შეფარებული, ყოფილი უშიშროების მინისტრის, პარტია "სამართლიანობის“ ლიდერ იგორ გიორგაძის გამოსვლას, რომელიც არ ფარავდა თავის ანტიპათიას სააკაშვილის მიმართ. მან 28 ნოემბერს "იზვესტიასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაციის გზით აპირებს დღევანდელი "ვარდების რეჟიმის“ შეცვლას და დასძენდა, რომ ამისთვის სიტუაცია „უკვე მომწიფდა“ (ხურციძე, 2005). ლუსტრაციის კანონის ამოქმედების შემთხვევაში ის აუცილებლად შეეხებოდა გიორგაძეს და მის თანამებრძოლებს და აღნიშნული თემის გააქტიურება მათი გაფრთხილების ერთ-ერთი საშუალება იყო.

კანონპროექტის ძირითადი მხარდამჭერები ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ დღის წესრიგში

ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღება არ იდგა. საბოლოო ჯამში, 2007 წელს პარლამენტმა 45 ხმით 37-ის წინააღმდეგ, ლუსტრაციის შესახებ კანონი ჩააგდო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კანონპროექტს მხარი არა მხოლოდ უმრავლესობის წარმომადგენლებმა, არამედ თავად ინიციატორი ფრაქციის „დემოკრატიული ფრონტის“ წევრთა ნაწილმაც არ დაუჭირა. მიზეზად სრულყოფილი საარქივო სიების არ არსებობა დასახელდა, რისი გადაჭრის მექანიზმსაც აღნიშნული კანონპროექტი არ იძლეოდა (ბერძენიშვილი, 2014).

ლუსტრაციის საკითხი ეროვნული უსაფრთხოების სივრცეში გადაიყვანა „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ მომზადებულმა ლუსტრაციის კონცეფციამ, რომლის თანახმადაც, საბჭოთა პერიოდის ლიდერებისა და იდეოლოგების გარდა, ლუსტრაცია ასევე უნდა შეხებოდა მოქმედ სახელმწიფო მაღალჩინოსნებს, დეპუტატებს, კანდიდატებს და პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებსაც, რომლებსაც პირადი სატელეფონო, საფოსტო კომუნიკაცია ჰქონდათ იმ სახელმწიფოს მოქალაქეებთან, რომელთა „შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს ნების საწინააღმდეგოდ იმყოფებიან და რომელთა მიზანია კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა" (civil.ge, 2007). ამ ჩანართით, ლუსტრაციის კანონი სცილდებოდა ლუსტრაციის ტრადიციულ გაგებას, რომლის თანახმადაც ის შრომის კოდექსის ნაწილია. ამ შემთხვევაში, კანონი შეეხებოდა არა მხოლოდ წარსულის დანაშაულებს, არამედ ახლანდელსაც, რაც არსებული კანონმდებლობით ისედაც ისჯება.

საბოლოო კანონპროექტი, რომელზედაც მოხერხდა შეთანხმების მიღწევა და რომელიც ორი წლის შემდეგ დამტკიცდა, პარლამენტს გია თორთლაძემ წარუდგინა. „თავისუფლების ქარტიის“ სახელწოდებით მიღებული ლუსტრაციის კანონი სამ ძირითად პრინციპს ემყარება. ესენია: ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერება, საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიის აკრძალვა, ნებისმიერი აღნიშნულ იდეოლოგიებთან ასოცირებული სიმბოლიკის აკრძალვა და სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც შეიმუშავებს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან საიდუმლო თანამშრომლობაში ეჭვმიტანილთა ე.წ. „შავ სიას“ („თავისუფლების ქარტია“ მუხლი 1).

კანონპროექტის ინიციატორის თანახმად, სახელწოდება "თავისუფლების ქარტია“ იქიდან გამომდინარეობდა, რომ ის გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ლუსტრაციის კანონი. თავისუფლების ქარტიას უნდა გაენთავისუფლებინა საზოგადოება ტერორიზმის საფრთხიდან (ტერორისტული აქტ ების სერია განხორციელდა იმ პერიოდში გორში და მიმდებარე ტერიტორიაზე, მათი გამოძიებისას ხელისუფლება რუსულ კვალზე ალაპარაკდა), იდეოლოგიური ზეგავლენისგან და იმ სიმბოლოებისგან, რომელიც საზოგადოებას ახსენებდა და, შესაძლოა, „აძლიერებდა კიდეც“ საბჭოთა იდეოლოგიურ განწყობებს. ლუსტრაციის კანონი იყო კომპრომისის შედეგი. უშუალოდ კანონპროექტში გაწერილი იყო ლუსტრაციის ფარგლებში განსახილველი ყოფილი თანამდებობების პირთა გაცილებით ვრცელი ნუსხა, ვიდრე ეს არის თავისუფლების ქარტიაში. აღნიშნული სიის შემცირება კანონპროექტის ავტორმა გია თორთლაძემ იმ ფაქტით ახსნა, რომ იმდროინდელი უმრავლესობის წევრებმა ფრაქციის ხელმძღვანელს რამდენიმე პოზიციის ამოღების მოთხოვნით მიმართეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ულტიმატუმი წაუყენეს, რომ უმრავლესობას დატოვებდნენ (თორთლაძე, 2014).

შესაბამისად, ლუსტრაციის საკითხის მიმართ საზოგადოების ინტერესის გააქტიურება თუ შენელება პირდაპირ უკავშირდება უსაფრთხოების პრობლემატიკას. მტრის პოტენციურ აგენტებთან ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება კოლექტიური მეხსიერების შექმნა და მათი ლუსტრირება იყო, რათა არა მხოლოდ ხელისუფლებას და კანონმდებლობას ებრძოლა მათთან, არამედ საზოგადოებისთვისაც მიუღებელი გამხდარიყვნენ.

6.სტალინისა და მეორე მსოფლიო ომის შეფასება

ერთი მხრივ, სტალინის, როგორც ბელადის და მეორე მხრივ, მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქართველი ჯარისკაცების საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სიმბოლოების ჩანაცვლების და ახალი სიმბოლოების დამკვიდრების მცდელობა. ეს თემა, ასევე, მოიცავს დერუსიფიკაციის, რუსული ნარატივისაგან განთავისუფლების და ევროპულ ოჯახში გაწევრიანების მცდელობას. სააკაშვილის ხელისუფლება სტალინის შეფასებისას არათანმიმდევრული იყო და დამოკიდებულება პოლიტიკის დღის წესრიგის შესაბამისად იცვლებოდა. ამ საკითხისადმი ხელისუფლების დამოკიდებულების პირველ ეტაპს ერთგვარად „სიჩუმის სტრატეგია“ შეიძლება ვუწოდოთ (Connerton, 2008), როდესაც არ სურთ გააქტიურონ საზოგადოებაში რაღაცის არსებული ხსოვნა, თუმცა, არც დავიწყებისთვის ემეტებათ. სტალინი – ბელადი, საქართველოს გმირთა პლეადაში, რომელთაც ქვეყნის მშენებლობის პროცესში იყენებდნენ, არ ირიცხებოდა, თუმცა მისი დისკრედიტაციაც არ ხდებოდა. რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვასთან ერთად, სტალინი პოლიტიკურ დისკურსში საბჭოთა კავშირის რეპრესიების ავტორად წარმოჩინდა. ბელადის პოზიტიურად შეფასება მიუღებელი გახდა. მაგალითად, 2007 წლის თებერვალში ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში დაიწყო სერიალ „სტალინი LIVE”-ის ჩვენება. ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი აღნიშნული სერიალის რეკლამირებისას აცხადებდა, რომ „ეს ფილმი მაყურებელს საშუალებას აძლევს გაიგოს, იყო თუ არა სტალინი მართლა ასეთი ცუდი, როგორც ჩვენ ამდენი წლები თავში“. აღნიშნულმა განცხადებამ, ხელისუფლების წარმომადგენლების მკაცრი კრიტიკა გამოიწვია. მას სამარცხვინო და სკანდალური შეფასება უწოდეს, რადგანაც სტალინის შესახებ მითის შინაარსის სისხლიანი ტირანიდან ძლიერ ქართველ პოლიტიკოსად შეცვლის მცდელობის განსხვავებულად შეფასება ვერ მოხდებოდა (ლუსტრაცია სტალინზე დებატების ფონზე, 2007).

სტალინის შეფასების საკითხი განსაკუთრებით ნეგატიური 2008 წლის რუსეთ- საქართველოს ომის შემდეგ გახდა და ამ ომისგან ყველაზე მეტად დაზარალებული ქალაქის - გორის მოედანზე სტალინის მონუმენტის არსებობის მართებულობის საკითხს დაუკავშირდა. ქალაქში, რომელიც ომის დროს პერმანენტულად და დაუნდობლად იბომბებოდა რუსი აგრესორების მიერ, არ შეიძლებოდა მდგარიყო საბჭოთა ბელადის ქანდაკება. სტალინის ძეგლი, ასევე, ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ოფიციალურ პოლიტიკას, რომელიც წარსულის შეფასებას და საზოგადოებაში საბჭოთა მენტალიტეტის დამსხვრევას ითვალისწინებდა. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, „XXI საუკუნეში, როდესაც საქართველოს აქვს თავისი დამოუკიდებელი ისტორია, არ შეიძლება ერთდროულად არსებობდეს ოკუპაციის მუზეუმი და ოკუპანტთა ძეგლები“ (ფუტკარაძე, 2010). ეს საფუძველშივე ეწინააღმდეგება საქართველოს, როგორც თავისუფალი ქვეყნის მენტალიტეტს და სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებს.

გორში სტალინის ძეგლის დემონტაჟის საკითხი საქართველოს სხვადასხვა ქალაქში არსებულ ძეგლებზეც გავრცელდა და სტალინის მონუმენტების საქართველოში არსებობის ლეგიტიმურობის საკითხის ერთიან კონტექსტში განიხილებოდა. ძეგლების დემონტაჟის პროცესი გორიდან დაწყო. ძეგლი ღამით, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, გორის ცენტრიდან მალულად გადაიტანეს. ანალოგიურად წარიმართა ძეგლების გადატანის პროცესი საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, კერძოდ, ტყიბულში, ქუთაისში, ახმეტასა და თელავში. ამავე პოლიტიკის ნაწილი იყო გორში სტალინის მუზეუმის კონცეფციის შეცვლის იდეა, რომლითაც ეს უკანასკნელი სტალინიზმის მუზეუმად უნდა გადაკეთებულიყო და სტალინის ძეგლის ადგილზე სტალინური საბჭოთა რეპრესიების შედეგად დაღუპული ადამიანების ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი უნდა აღმართულიყო, მაგრამ ამ იდეის განხორციელება სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში ვერ მოესწრო.

მიუხედავად ვარდების რევოლუციის შემდგომი ხელისუფლების ისტორიული გმირების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულებისა, მეორე მსოფლიო ომში მებრძოლი ქართველი ჯარისკაცები

ნაციონალური გმირების სიაში არ ჩაეწერნენ. ისინი საბჭოთა სისტემას ემსახურებოდნენ, რასაც, მათი აზრით, საქართველოსთან არაფერი ჰქონდა საერთო. ეს აღქმა ასევე, დაკავშირებული იყო საგარეო პოლიტიკის საკითხებთან, რადგანაც მსგავს განცხადებებზე ოფიციალური რუსეთი ძალიან მწვავედ რეაგირებდა. მაგალითად, სიმბოლოების ჩანაცვლების ერთ-ერთი გამოხატულება იყო ქალაქ ქუთაისში არსებული მეორე მსოფლიო ომის დიდების მემორიალის აფეთქება და იქ საქართველოს პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობის დაწყება. აღნიშნულზე პასუხად რუსეთის ხელისუფლებამ მოსკოვში მონუმენტი აღმართა, რომელიც სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა და ერქვა „ფაშიზმის წინაღმდეგ ჩვენ ერთად ვიყავით“. ის კომპოზიციურად გამოხატავს ფოტოს, სადაც ქართველ მელიტონ ქანთარიასა და რუს მიხაილ ეგოროვს რაიხსტაგზე საბჭოთა დროშა ააქვთ, ხოლო ქუთაისში აფეთქებული დიდების მემორიალი წარმოადგენს კომპოზიციის უკანა ხედს. აღნიშნული მემორიალის გახსნაზე ქართველი პოლიტიკოსების ნაწილის ჩასვლა, საქართველოს პოლიტიკური წრეების მიერ კონფორმიზმში დადანაშაულების და მათი განკიცხვის მიზეზი გახდა.

რუსული ნარატივისგან დისტანცირების მცდელობას გამოხატავდა ხელისუფლების განცხადება - მეორე მსოფლიო ომის დასრულების თარიღად აღენიშნათ 8 მაისი. მეორე მსოფლიო ომს განსხვავებულად აღიქვამენ საბჭოთა სივრცეში და მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში. საბჭოთა კავშირისათვის და დღესდღეობით მისი სამართალმემკვიდრე რუსეთისათვის, ის დიდი სამამულო ომია, დასავლური გაგებით კი მეორე მსოფლიო ომი. ამ განსხვავებულ აღქმას კიდევ უფო მეტად ამძაფრებს ის ფაქტი, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ გერმანული ნაციზმი და საბჭოთა სტალინიზმი ერთმანეთს გაუთანაბრა და ორივე დაგმო. ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა დღედ კი - 23 აგვისტო, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის გაფორმების თარიღი დააწესა.

საქართველოში პოსტსაბჭოთა ნარატივის გადაწერისა და რუსეთისაგან დისტანცირების ფონზე, დღის წესრიგში დადგა არჩევანის გაკეთება - როგორ და როდის უნდა აღინიშნოს ეს დღე, როგორც მეორე მსოფლიო ომი თუ როგორც დიდი სამამულო ომი. არჩევანი, ფაქტიურად, ორიენტაციისა და ფასეულობების საკითხს უტოლდებოდა. 2008 წლის რუსეთ- საქართველოს ომის შემდეგ საბოლოოდ გადაწყდა, რომ ეს 8 მაისი იქნებოდა.

აღნიშნულს დაემატა კიდევ ერთი ასპექტი: რა იყო საქართველოში 8 თუ 9 მაისის აღნიშვნის მიზეზი - ფაშიზმზე გამარჯვების აღნიშვნა თუ საბჭოთა დღესასწაულისადმი პატივის მიგება?! პირველი საკითხი ეხებოდა იმას, თუ რამდენად უნდა აღგვენიშნა სტალინის კოალიციის წევრობა და წითელ არმიაში სამსახური არა თავისუფალი, არამედ დაპყრობილი ქვეყნის სტატუსით. მითუმეტეს, ქართველები მოწინააღმდეგე ჰიტლერის არმიაშიც იბრძოდნენ. თუკი გერმანელებთან მებრძოლ ქართველებს ჰქონდათ გათვლა, რომ ნაციზმის გამარჯვებით საქართველოს დამოუკიდებლობას დაუბრუნებდნენ, საბჭოთა მხარეს მებრძოლებს, ხელისუფლების განცხადების თანახმად, არანაირი ნაციონალური მიზანი არ ჰქონიათ.

შესაბამისად, სტალინის, მეორე მსოფლიო ომისა და მასში მონაწილე ქართველი გმირების ახალ კოლექტიურ მეხსიერებაში ასახვის საკითხი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების ცვლილებას უკავშირდებოდა. საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციის, როგორც ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ მოწონებული ნარატივი, მიუღებელი იყო საქართველოსთვის. ახალ ქართულ ნარატივში ხაზი გაესვა სტალინის „არაქართველობას“, მეორე მსოფლიო ომისთვის ქვეყნის მიერ იძულებით გაღებულ მსხვერპლს და კომუნიზმისა და ფაშიზმის გათანაბრების ევროპულ კონცეფციას.

7. ისტორიული ჭეშმარიტების ძიება

ღირებულებების გადაფასებისკენ მოწოდებისა და მოვლენების ხელისუფლებისეული ინტერპრეტაციისას მუდმივად კეთდებოდა აქცენტი რუსეთთან ურთიერთობის შესწავლისა და შეფასების აუცილებლობაზე. ჰეგემონური ნარატივის დანერგვისას მხარდამჭერი დოკუმენტის შემუშავება ამ პროცესს

უფრო გაამარტივებდა. ამის კლასიკურ გამოხატულებას „ისტორიული ჭეშმარიტების დამდგენი კომისიის“ შექმნა წარმოადგენდა.

„კოლექტიური მეხსიერების შექმნას ერები და საზოგადოებები ხშირ შემთხვევაში ტრაგიკული და სისხლიანი ოკუპაციების შემდეგ იწყებენ, რათა ოკუპაციით შერყეული ეროვნული იდენტობას და ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბებას შეუწყონ ხელი... რაც საქართველოში ვერ მოხერხდა და ამის შედეგია რომ დღესაც არსებობს კოლაბორაციონისტების წარმოშობის საფრთხე“ (რუხაძე ვ. , 2010). კენტის უნივერსიტეტის (აშშ) დოქტორანტ ვასილ რუხაძის სტატიამ, რომელშიაც ის რუსეთის 200 წლიანი მმართველობის წინააღმდეგ კოლექტიური მეხსიერების შექმნის აუცილებლობაზე საუბრობდა და ამ პროცესში გადამწყვეტ როლს სწორედ ხელისუფლებას ანიჭებდა, საზოგადოებაში დიდი რეაქცია გამოიწვია. ამ გამოწვევის საპასუხო, ერთ-ერთ აუცილებელ ნაბიჯად ავტორს ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისიის ჩამოყალიბება მიაჩნდა. რუხაძის სტატიის გამოქვეყნება წინ უსწრებდა კომისიის ჩამოყალიბების შესახებ სააკაშვილის განცხადებას, რაც რუხაძის განცხადებით, შემთხვევითი იყო; თუმცა, ფაქტია, რომ მისი და ხელისუფლების შეხედულება კოლექტიური მეხსიერების შექმნის აუცილებლობის შესახებ ერთმანეთს ემთხვეოდა.

კომისიის დებულების თანახმად, ის შეისწავლიდა საქართველოს XIX-XX საუკუნეების ისტორიული მეხსიერების, საქართველოში რუსეთის იმპერიის 200-წლიან პოლიტიკასა და მის შედეგებს და საფუძვლიან სამეცნიერო-ისტორიულ კვლევა-ძიებაზე დამყარებულ ანგარიშს მოამზადებდა, რომელიც სრულად აღწერდა საქართველოს მიერ მეფისა და საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის პერიოდში გადატანილი ისტორიული ძალადობის ფაქტებს.

საზოგადოების კითხვაზე, დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში თუ რამდენად იყო შესაძლებელი ღირებული ნაშრომის შექმნა, რომელიც ასახავდა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის 200 წლიან პერიოდს, კომისიის მდივანმა თ. შარაშენიძემ უპასუხა, რომ დოკუმენტი არ იქნებოდა სქელტანიანი სამეცნიერო ნაშრომი, არამედ 40-50 გვერდიანი ნაშრომი, რომელსაც თარგმნიდნენ რუსულ და ინგლისურ ენებზე ანუ, ნაშრომი ფართო აუდიტორიისთვის უფრო იქნებოდა განკუთვნილი და არა ისტორიკოსებისთვის, ვინც საქართველოს ისტორია ისედაც კარგად იცის. *„შემდგომში თუ ვინმეს ჩაღრმავება მოუნდება, შეუძლია გაეცნოს მოხსენებებს, რომლებიც დაწერეს ჩვენმა ისტორიკოსებმა და რომლებიც ედება საფუძვლად ამ ჩვენს საბოლოო მოხსენებას”* (ჩხეიძე, 2010).

კომისიის წევრების ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ კომისიის მუშაობის შედეგად შეიქმნა 105 გვერდიანი ნაშრომი, რომელიც აღწერდა მე-18 საუკუნიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე საქართველოს ისტორიას. თუმცა, ის გაურკვეველი მიზეზების გამო არ გამოქვეყნებულა. კომისიის წევრების მიერ სხვადასხვა დროს გაკეთებული განცხადებების გაანალიზებიდან (ლაბორატორია, 2011) იკვეთება რამდენიმე საინტერესო ტენდენცია:

1. *ქართველების წვლილი ოკუპაციის და საბჭოთა რეპრესიების განხორციელების პროცესში;* კომისიის მუშაობის შედეგად გაანალიზდა არა მხოლოდ ქართულ-რუსული ურთიერთობები, არამედ თითოეული მხარის როლი რუსული პოლიტიკის ფორმირებაში;

2. *საზოგადოება არ იცნობს ისტორიას, ამიტომაც ჩვენ უნდა გავაცნოთ.* არსებული ისტორიის თხრობა ხაზგასმით დადებითად წარმოაჩენს რუსეთის როლს საქართველოში და ხშირად მითებზეა დაფუძნებული;

3. *წარსულიდან გარკვეული დასკვნების გამოტანის აუცილებლობა, რათა მომავალში არ გავიმეოროთ;* კომისიის მუშაობის შედეგი უნდა იყოს ისტორიის, როგორც „მასწავლებლის“ გააზრება. 200 წლის განმავლობაში რუსეთთან ურთიერთობის ყველა მცდელობა საქართველოსთვის საზიანოდ დასრულდა.

შესაბამისად, ხელისუფლების დისკურსი და დამოკიდებულებები რუსეთის ფედერაციისა და კოლაბორაციონისტების მიმართ ამ დოკუმენტით ლეგიტიმაციის უფრო მაღალ ხარისხს იძენდა, რამდენადაც აწ უკვე წყაროებზე დაყრდნობით, მეცნიერულ საფუძველზე იქნებოდა ნაჩვენები ის სურათი, რომელიც ქართულ-რუსულ 200-წლიან ურთიერთობას მოჰყვა შედეგად.

8. დასკვნა

მეხსიერების აქტუალიზაცია და მისი გამოყენება სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში უაღრესად აქტუალურ თემას წარმოადგენს. მისი აქტუალურობა განსაკუთრებით იზრდება. თუ ქვეყანას აქვს იგივე გამოწვევები, რაც ჯერ კიდევ წლების წინ აწუხებდა და ასევე, გამოირჩევა განსაკუთრებული დამოკიდებულებით საკუთარი წარსულის მიმართ. საქართველოს შემთხვევა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმს აკმაყოფილებს. რამდენადაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დარღვეული იდენტობისა და ახალი სახელმწიფოს მშენებლობის საკითხი თავიდან დადგა დღის წესრიგში. საქართველოსთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი თავისებურება სახელმწიფოს მშენებლობის არამემკვიდრეობითობა იყო, კერძოდ, დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული, თითოეული პრეზიდენტი ქვეყანაში მშენებლობის პროცესს ხელახლა იწყებდა, რაც, თავისთავად, ზეგავლენას ახდენდა წარსულის მემკვიდრეობის გააზრებისა და მეხსიერების პოლიტიკის ფორმირების პროცესზე, მის ხასიათსა თუ სტრატეგიაზე.

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს გამოკვეთილია საბჭოთა წარსულის გადაფასების, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად ქცევის მცდელობა, მაგრამ მეხსიერების პოლიტიკის ტენდენციები ცვალებადია და ის გამოკვეთილად არის მორგებული საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს. ზემოთ განხილული მაგალითების გათვალისწინებით შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება:

1. მეხსიერების პოლიტიკა საქართველოში მიმართული იყო ზემოდან ქვემოთ; საქართველოში მეხსიერების პოლიტიკის ტენდენციის ანალიზისას იკვეთება, რომ, როგორც წესი, სახელისუფლებო წრეებში ფორმირდებოდა ის მთავარი ინიციატივები, რომლის დანიშნულება საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, კონკრეტული მიზნის გარშემო გაერთიანება იყო.

2. მეხსიერების ძირითად მიმართულებას „ჰეგემონური ნარატივის" დანერგვის მცდელობა წარმოადგენდა, რომელიც ხორციელდებოდა ვიქტიმიზაციის სტრატეგიის გამოყენებით. 2006 წლის შემდეგ სახელისუფლებო დისკურსში აქტიურად გამოიყენებოდა ტერმინები „ოკუპანტი", „აგრესორი", „მტერი", რომელიც საზოგადოებისთვის ერთგვარ მაიდენტიფიცირებელ მარკერებს უნდა წარმოადგენდეს. იქმნება მეხსიერების ადგილები, რომლებიც ქმნიდნენ და ატარებდნენ ხსოვნას საქართველოს, როგორც ევროპის ნაწილის შესახებ, რომელიც სამჯერ გახდა რუსეთის აგრესიის მსხვერპლი;

3. მეხსიერების სტრატეგიის არჩევანზე ზეგავლენას ახდენდა საგარეო პოლიტიკის ორიენტირები; რუსულ - ქართული ურთიერთობის გაუარესებამ, რაც საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელ ენერგომატარებლებზე დივერსიითა და ქართველების რუსეთის ფედერაციიდან მასობრივი დეპორტაციით დაიწყო, სახელისუფლებო დისკურსში ანტისაბჭოთა რიტორიკით ჰპოვა ასახვა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, საქართველოში მეხსიერების პოლიტიკის პრიორიტეტები, მთლიანად საბჭოთა წარსულის გადაფასებას მოიცავდა.

ზემოთაღნიშნული დასკვნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოში მეხსიერების პოლიტიკა 2005-2012 წლებში დაფუძნებული იყო წარსულიდან ფაქტების პოლიტიკური დღის წესრიგის შესაბამისად შერჩევაზე, მის ინტერპრეტირებასა და საზოგადოებისათვის სხვადასხვა პროდუქტის სახით მიწოდებაზე. ამ პერიოდისათვის ასევე დამახასიათებელია ე.წ. „ჰეგემონური ნარატივის" შექმნის მცდელობა, რომლის საზოგადოებაში პოპულარიზაციისათვის აქტიურად გამოიყენებოდა ინფორმაციის გავრცელების ყველა საშუალება მონუმენტებიდან კინოფილმებამდე. ამასთანავე, მეხსიერების პოლიტიკას არა მხოლოდ საშინაო დანიშნულება, არამედ საგარეო გათვლებიც ქონდა. კერძოდ, ამ პოლიტიკით საქართველოს ხელისუფლება მიზნად ისახავდა ერთიანი

ევროპული ოჯახის წევრად გახდომას. ისტორიის ქართული ნარატივი, მსგავსად აღმოსავლეთ ევროპულისა, უპირისპირდებოდა რუსეთს, როგორც საბჭოთა კავშირის უშუალო მემკვიდრეს.

ბიბლიოგრაფია

Aguilar, P., & Humbelbek, C. (2002). Collective Memory and National Identity in the Spanish Democracy. The legacies of Francoicism and the Civil War. *History and Memory*, 121-164.

Assmann, A. (2006). Memory, Individual and Collective, in Contextual Political Analysis,. In R. Goodin, & C. Tilly, *The Oxford Handbook of Contextual Political Analysis* (pp. 211-227). Oxford : Oxford University Press.

Berger, P., & Luckmann, T. (1967). *The Social Construction of Reality: A Treatise in the Sociology of Knowledge*. New York: Texas Tech University, Institute for Studies in Pragmaticism. Anchor Book.

civil.ge. (2007, 02 21). *"თავისუფლების ინსტიტუტი" ლუსტრაციის შესახებ ხედვას აქვეყნებს.* Retrieved 11 20, 2010, from www.civil.ge: http://www.civil.ge/geo/article.php?id=14849

Connerton, P. (2008). Seven Types of Forgetting. *Memory Studies*, 59-71.

Erll, A., Ansgar, N., Young, S., & (Ed). (2008). *Cultural Memory Studies:An International and Interdisciplinary Handbook.* Berlin: de Gruyter.

Funkenstein, A. (1989). Collective Memory and Historical Consciousness. *History and Memory*, 5-26.

Gedi, N., & Elam, Y. (1996). Collective Memory — What Is It? *History and Memory*, 1-14.

Halbwachs, M. (1992). On Collective Memory. *Heritage of Sociology Series*.

Kansteiner, W., & Fogu, C. (2006). *The Politics of Memory in Postwar Europe.* Durham: Duke University Press.

Nora, P. (1989). Between Memory and History. *Special Issue: Memory and Counter-Memory*, 7-24.

Olick, J., & Robbins, J. (1998). *Social Memory Studes: from Collective Memory to the Historical Sociology of Mnemonic Practices*. New York: Annual Review of Sociology Columbia University.

Paabo, H. (2011). *Potential of Collective Memory Based International Identity Conflicts in Post-Imperial Space.* Tartu: University of Tartu.

Sontag, S. (2003). *Regarding the Pain of Others.* New York: Picador.

Young, J. (1993). *The Texture of Memory.* New Haven: Yale University Press.

ელისაშვილი, ა. (2006, 27 05). *თბილისში საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი გაიხსნა.* Retrieved 09 23, 2011, from http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1547061.html

თორთლაძე, გ. (2014, 11 14). ჩაღრმავებული ინტერვიუ.

ლაბორატორია, ს. კ. (2011, 05 2). *წარსულის რეკონსტრუქცია: ისტორიოგრაფიის როლი საბჭოთა წარსულის გააზრებაში.* Retrieved 05 10, 2011

ლუსტრაცია სტალინზე დებატების ფონზე. (2007, 02 17). Retrieved 11 24, 2009, from www.civil.ge: http://www.civil.ge/geo/article.php?id=14829

რუხაძე, ვ. (2010, 01 30). Retrieved 02 03, 2010, from კოლექტიური მეხსიერება: http://www.24saati.ge/weekend/story/2904-koleqtiuri-mekhsiereba

სააკაშვილი, მ. (2004, 02 18). *პრეზიდენტმა სააკაშვილმა უშიშროების მინისტრი წარადგინა.* Retrieved 09 11, 2010, from www.president.gov.ge.

სააკაშვილი, მ. (2004, სექტემბერი 10). *საქართველოს პრეზიდენტის საჯარო გამოსვლა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრებთან შეხვედრაზე.* Retrieved 11 04, 2010, from www.president.gov.ge.

სააკაშვილი, მ. (2005, 10 5). *დღევანდელი დღიდან ვიწყებთ ათვლას აფხაზეთში დასაბრუნებლად.* Retrieved 10 04, 2011, from www.president.gov.ge.

სააკაშვილი, მ. (2005, სექტემბერი 23). *საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე.* Retrieved 09 08, 2011, from www.president.gov.ge.

სააკაშვილი, მ. (2005, 05 31). *საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით ორ ქვეყანას შორის მიღწეული შეთანხმების თაობაზე ბრიფინგი გამართა.* Retrieved 09 17, 2010, from www.president.gov.ge.

სააკაშვილი, მ. (2006, თებერვალი). *www.president.gov.ge.* Retrieved from www.president.gov.ge.

სააკაშვილი, მ. (2006, 03 06). *საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა მიუნჰენის 42-ე საერთაშორისო კონფერენციისადმი მიძღვნილ სადილზე.* Retrieved 09 11, 2011, from www.president.gov.ge.

სააკაშვილი, მ. (2006, 01 22). *საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა უშიშროების საბჭოს სხდომაზე.* Retrieved 11 09, 2010, from www.president.gov.ge.

სააკაშვილი, მ. (2006, 02 25). *საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ქართველ იუნკერთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.* Retrieved 09 17, 2009, from www.president.gov.ge.

ფუტკარაძე, გ. (2010, 06 26). *უგზოუკვლოდ დაკარგული სტალინი.* Retrieved 03 09, 2011, from http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=2687

ჩხეიძე, თ. (2010, 09 11). *როგორ იწერება ისტორიული სიმართლე.* Retrieved 10 05, 2010, from http://www.netgazeti.ge/GE/25/Life/2344/

ხურციძე, ნ. (2005, 11 2005). *ოპოზიცია ლუსტრაციის კანონის მიღებას ითხოვს.* Retrieved 12 11, 2011, from www.civil.ge: http://www.civil.ge/geo/article.php?id=11163

ჩაღრმავებული ინტერვიუები

ლევან ბერძენიშვილი. საქართველოს პარლამენტის წევრი. "თავისუფლების ქარტიის" 2013 წლის ცვლილებებათა კანონპროექტის ერთ-ერთი ინიციატორი.

გია თორთლაძე. "თავისუფლების ქარტიის" კანონპროექტის ავტორი.

ფარნაოზ ლომაშვილი. ისტორიკოსი.

ვასილ რუხაძე. ისტორიული ჭეშმარიტების აღმდგენი კომისიის ხელმძღვანელი.

ლევან ურუშაძე. საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის დირექტორი.

გოგი ხოშტარია. საგარეო საქმეთა მინისტრი 1990-1991 წწ.

ოთარ ჯანელიძე. ისტორიკოსი.